ალ. სუმბათაშვილი

ლ ა ლ ა ზ ი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმედებით

თარგმანი

გრიგოლ ყიფიძისა

საბჭოთა მწერალი
19 თ ბ ი ლ ი ს ი 48

ა. სუმბათაშვილი—იუჟინი და მისი „ლაღატი“

ალექსანდრე ივანეს-ძე სუმბათაშვილის სახით იშვიათი ნიჭის მსახიობი, დრამატურგი და თეალსაჩინო საზოგადო მოღვაწე შესძინა საქართველომ რუსულ თეატრალურ კულტურას.

სუმბათაშვილი დაიბადა 1857 წლის 16[4] სექტემბერს.

მამა სუმბათაშვილისა ქართველი თავადი იყო რუსეთში სამხედრო სამსახურში ყოფნისას დაცოლშვილდა, შემდეგ თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

ბავშვობა ალ. სუმბათაშვილმა თბილისში გაატარა. 1869 წლიდან თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ ვასო აბაშიძე და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო. სცენით გატაცებულმა სუმბათაშვილმა, ჯერ კიდევ მოწაფეობისას, მათთან ერთად გამართა პირველი თავისი წარმოდგენა 1875 წელს.

1877 წელს ალექსანდრე სუმბათაშვილი პეტერბურგში გაემგზავრა უმაღლესი ცოდნის მისაღებად. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და აქვე განაგრძო სასცენო მოღვაწეობა.

პეტერბურგშივე მოჰკიდა ხელი სუმბათაშვილმა მწერლობას.

1882 წლიდან მას უკვე ვხედავთ ერთ-ერთი საუ-

კეთესო რუსული თეატრის—მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობად.

მთელი თავისი სასცენო მოღვაწეობა ალექსანდრე სუმბათაშვილმა მოსკოვის მცირე თეატრში გაატარა და იყო ამ თეატრის მოწინავე შემომქმედი, როგორც მსახიობი და 1909 წლიდან-კი როგორც თეატრის ხელმძღვანელი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ალექსანდრე სუმბათაშვილი შეხვდა ისე, როგორც შეეფერებოდა პატიოსან და გულწრფელ მოღვაწეს. მან იგრძნო, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში თეატრის განვითარებას უდიდესი პერსპექტივები ესახებოდა. უკვე 60 წლის მოხუცი იყო ალექსანდრე სუმბათაშვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დიდი ხალისით და მონდომებით ჩაება საბჭოთა თეატრის შენებაში.

1922 წელს მოსკოვის საზოგადოებრივობამ სუმბათაშვილს დიდი ზეიმით გადაუხადა მცირე თეატრში მოღვაწეობის 40 წლის იუბილე და მთავრობის დადგენილებით მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელწოდება.

ალექსანდრე სუმბათაშვილს დედა რუსი ჰყავდა, თბილისში რუსულ სასწავლებელში სწავლობდა, უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო, იქვე დაიწყო სასცენო მოღვაწეობა და, ამრიგად, მოსალოდნელი იყო, რომ იგი სავსებით მოსწყდებოდა თავის ქვეყანას. მით უმეტეს, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში, არც თუ ისე ადვილი იყო ქართული კულტურის სარბიელზე მოღვაწეობა.

მაგრამ ალექსანდრე სუმბათაშვილი ახალგაზრდობიდანვე სიყვარულით იყო გამსჭვალული თავისი ქვეყნისადმი და მას სიკვდილამდე შერჩა ეს კეთილშობილი გრძნობა.

1880 წლის ზაფხულს, სუმბათაშვილის თბილისში ყოფნის დროს, ადგილობრივ მომუშავე რუსულმა თეატრმა მისი ახალი პიესის დადგმა განიზრახა, მისივე მონაწილეობით.

ქართული საზოგადოებრივობისათვის შეუმჩნეველი არ იყო სუმბათაშვილის სასცენო და საბწერლო წარმატება პეტერბურგში. ამიტომ მისი პიესის დადგმის ამბავი გაზეთმა „დროებამ" პატარა შენიშვნით ამცნო საზოგადოებას. ნაქები იყო დასადგმელად განზრახული პიესა „მეხსარიდი" და შემდეგ ეწერა: „ამ წარმოდგენაში თანამონაწილეობას იღებს თითონ ავტორიც, რომელიც სცენიურს ნიჭს არ არის მოკლებული. იმედი გვაქვს, რომ ჩვენებური ეს ახალგაზრდა მწერალი არ დაკმაყოფილდება მარტო რუსულ ენაზე წერით, დაეხმარება სამშობლოს ლიტერატურასაც, რომელსაც ასე ესაჭიროება რიგიანი და ნიჭიერი მწერალი. (გაზ. „დროება", № 179, 1890 წ.)

ამ შენიშვნამ, ალბათ, შეაშფოთა სუმბათაშვილი, რადგან მასში ქართული საზოგადოების ერთგვარი სამდურავი იგრძნო. ამიტომ მან იმავე გაზეთის საშუალებით პასუხი გასცა შენიშვნაზე. სუმბათაშვილი სწერდა: „კაცს მინიჭებული აქვს ისეთი სულის გრძნობა, რომელთანაც ბრძოლა ყოვლად შეუძლებელია. ეს გრძნობა არის—თავის მამულის, თავის მოძმეთ სიყვარული. არის ავადმყოფობა, რომელსაც არავითარი წა-

მალი არ მიეკარება—ეს არის წუხილი სამშობლოზედ. ყოველს პატიოსანს კაცს აქვს ერთი რწმუნება და ეს რწმუნება არის მამულის სამსახური... არის განა ქვეყანაში ისეთი დამახინჯებული ვინმე, რომელსაც ეთქვა: „მე არ მიყვარს ჩემი სამშობლო, მე არ მესმის მამულისათვის ზრუნვა, მე არ მინდა მისი სამსახური?!“ და თუ ასეთი ხალხი შესაძლებელნი არიან, ნუთუ იმათ ვეკუთვნი? და თუ ეგრე იქნებოდა, ვიქნებოდი—რა ღირსი ადამიანის სახელის ტარებისა?“... ბოლოს დასძენდა: „მე შევსწირავ მთელს ჩემს ღონეს სამშობლო ლიტერატურაზედ შრომასა, როდესაც დავრწმუნდები, რომ მზადა ვარ და შემეძლება ვემსახურო სასარგებლო მშრომელად“, (გაზ. „დროება“, № 189, 1880 წ.).

მთელს თავის ხანგრძლივ შემოქმედებითს და საზოგადოებრივ მოღვაწეობის მანძილზე ალექსანდრე სუმბათაშვილი პირნათლად ასრულებდა 1879 წელს დადებულ სიტყვას: მუდამ ახსოვდა თავისი მშობლიური კუთხე და აქტიურად ხელს უწყობდა მის განვითარებას.

მისი არტისტული ფსევდონიმი, რომელიც მან სასცენო მოღვაწეობის დასაწყისშივე აირჩია, — „იუტინი“ (სამხრეთელი), ეს უკვე ერთგვარი სიმბოლო იყო თავის ქვეყანასთან კავშირისა. და სუმბათაშვილს სწორედ თავიდანვე მუდმივი კავშირი ჰქონდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ის აქტიურად უწყობდა ხელს რუსული და ქართული თეატრების ურთიერთობას.

ალექსანდრე სუმბათაშვილი არაერთხელ ჩამოვიდა

თბილისში საგასტროლოდ მოსკოვის მცირე თეატრის სხვა ცნობილ მსახიობებთან ერთად იგი უჩვენებდა ქართველ მაყურებელს თავის შემოქმედებითს მიღწევებს, ხოლო ქართული თეატრი და საზოგადოებრივობა კი სუმბათაშვილს მუდამ აღტაცებით ეგებებოდა და მის პატივსაცემად საზეიმო შეხვედრებს აწყობდა

ალექსანდრე სუმბათაშვილმა თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი უნარიანობა გამოიჩინა მოსკოვში არსებულ „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ თავჯდომარეობისას, 1909 წლიდან.

ეს საქველმოქმედო ხასიათის წამოწყება, რომლის მიზანს ძირითადში ქართველ სტუდენტობისათვის დახმარება შეადგენდა, სუმბათაშვილის მოთავეობისას ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციად იქცა ქართული კულტურის რუსულ კულტურასთან დაკავშირების საქმეში.

ალექსანდრე სუმბათაშვილს 20 დრამატიული ნაწარმოები აქვს დაწერილი. მცირედი გამონაკლისით, ყველა ეს პიესები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ რევოლუციამდელ რუსულ სცენაზე; ბევრი მათგანი უცხოურ ენაზეც გადაითარგმნა.

„ღალატი“ ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ამ პიესათა შორის, იგი დაწერილია დიდი მონდომებით, დასახული მიზნისადმი დიდი სიყვარულით და დამამტკიცებელია ალექსანდრე სუმბათაშვილის გულწრფელი თანაგრძნობისა თავისი ქვეყნის ბედისადმი.

პიესას ახასიათებს დრამატურგიული სიმძაფრე

სცენიური სახეების სიმკვეთრე და სისრულე, ჩინებული დიალოგი, საერთო სცენიური ეფექტიურობა და ავტორის კარგი ცოდნა საქართველოს წარსულისა. როგორც წინასიტყვაობაში თვით ავტორი აღნიშნავს, პიესას „ისტორიული სინამდვილე აკლია"; ეს არის დრამა-ლეგენდა, მომქმედნი მოგონილები არიან, მაგრამ პიესას ეს არ უკარგავს ინტერესს. პიესა მკვეთრად ხატავს ირანელ დამპყრობელთა საშინელ წლებს საქართველოში და დიდი ცოდნით და სიზუსტით აგვიწერს მთელს მათ ბუნებას.

ალექსანდრე სუმბათაშვილმა „ლალატი" 1903 წლის ზაფხულს დასწერა. ამ წლის მაისში ის თბილისს ესტუმრა საგასტროლოდ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობთა ამხანაგობის წევრები ვ. ლეშკოვსკაია, ო. პრავდინი, კ. რიბაკოვი და სხვანი. ამხანაგობამ თბილისში სულ რვა წარმოდგენა გამართა. თვით სუმბათაშვილმა ითამაშა ოტელოს, ჰამლეტის და რიჩარდ III-ს როლები.

ქართული საზოგადოებრივობა დიდის პატივით შეხვდა სუმბათაშვილს თბილისში ჩამოსვლისას. მას საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს. მსახიობების ვასო აბაშიძისა და კოტე მესხის თაოსნობით ქართულ თეატრში გაიმართა სუმბათაშვილის პატივსაცემი წარმოდგენა. წარმოადგინეს მეოთხე მოქმედება ქართულად თარგმნილ მისი პიესისა „არკაზანოვები" და ა. ცაგარელის „ხანუმას" მეორე მოქმედება. მესამე განყოფილებაში მომღერალთა გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები. წარმოდგენის დასასრულს ვასო აბაშიძემ ძვირფას სტუმარს მისალოცი ადრესი წაუ-

კითხა და ნატო გაბუნიამ მსახიობთა სახელით დაფ-ნის გვირგვინი მიართვა. სუმბათაშვილმა თავის მხრივ ვერცხლის გვირგვინი მიუძღვნა ქართველ მსახიო-ბებს.

თბილისიდან ალექსანდრე სუმბათაშვილი საგასტ-როლოდ ოდესაში გაემგზავრა და როგორც თავის დღიურებში აღნიშნავს, ოც ივნისს იქ შეუდგა „ღა-ლატის" წერას.

პიესა ერთ თვეში დაამთავრა და შემოდგომაზე თვითონვე დადგა მცირე თეატრში. როლები განაწი-ლებული იყო რუსული თეატრის საუკეთესო მსახი-ობთა შორის (ზეინაბი—მ. ერმოლოვა, ოთარ-ბეგი—კ. რიბაკოვი, ანანია—ა. ლენსკი და სხ.).

„ღალატის" პირველმა წარმოდგენებმა დიდი გამო-ხმაურება ჰპოვა მთელს რუსეთში და პიესა გასაოცა-რი სისწრაფით მოედო რუსულ სცენას. ამის შემდეგ რევოლუციამდელ რუსეთში არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად ხეირიანი თეატრი, რომ მის რეპერტუარ-ში წლიდან წლობით არ ეთამაშათ „ღალატი".

შესანიშნავ შეფასებას აძლევდნენ „ღალატს" რუსე-თის თეატრის მცოდნენი და რუსეთის მთელი თეატ-რალური საზოგადოებრივობა. საკმარისია ამ მხრივ მოვიყვანოთ ა. ლუნაჩარსკის აზრი. ის სწერდა: „მისი „ღალატი" ისეთი სპექტაკლია, რომელიც მუდამ ურყე-ვად სარგებლობს წარმატებითა და სიყვარულით და მე არ მიკვირს, რომ ამერიკელები ეპატიჟებიან მის თეატრს—დადგას ეს სიმპატიური პიესა ამერიკის ყვე-ლა დიდ ქალაქში..." (კრებული „ა. სუმბათაშვილი—იუჟინი, 1882—1922 წ.", გვ. 11, მოსკოვი, 1922 წ.)

საქართველოში თავიდანვე ყურადღება მიიპყრო „ღალატის“ დაწერის ფაქტმა.

ჯერ კიდევ 1903 წლის აგვისტოს თვეში თბილისის გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ იტყობინებოდა, რომ „თავადმა ა. ი. სუმბათაშვილმა (იუჟინმა) დაამთავრა ახალი პიესა, რომლის სიუჟეტი კავკასიის ცხოვრებიდან არის აღებული და პიესა უკვე შეტანილია ორივე საიმპერატორო სატახტო ქალაქების თეატრების რეპერტუარში“.

ქართულმა თეატრმა დაიწყო „ღალატის“ დადგმის მზადება, მაგრამ მას პიესის დადგმა თბილისში აქ არსებულმა „არტისტული საზოგადოების“ რუსულმა დასმა დაასწრო. ეს წარმოდგენა 1903 წლის 7 დეკემბერს გაიმართა.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასი ამზადებდა „ღალატის“ დადგმას. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ: „ამჟამად დრამატიული საზოგადოების გამგეობასა და დასს დიდი მზადება აქვს თავ. სუმბათაშვილის დრამის „ღალატის“ წარმოსადგენად. რეპეტიციები რამდენიმე დღეა დაიწყო და წარმოდგენაც იმ კვირია უსათუოდ გაიმართება. როგორც გავიგეთ, გამგეობას პირველ წარმოდგენისათვის სახაზინო თეატრი აუღია. დამზადებულია ახალი დეკორაციები და ტანისამოსი“.

ამ სეზონში დასს ჩვენი დიდი მწერალი აკაკი წერეთელი რეჟისორობდა. მანვე მოამზადა „ღალატიც“.

პირველი წარმოდგენა „ღალატისა“ გაიმართა 1904 წლის 20 იანვარს თბილისის სახაზინო თეატრში.

პრესის ცნობით წარმოდგენას აუარება მაყურებელი დასწრებია, „თეატრი გაჭედილი იყო“, მაგრამ წარმოდგენა სრულყოფილი ვერ გამოსულა.

ამ პირველ წარმოდგენაში თამაშობდნენ: ზეინაბს— ე. მესხი, ოთარ-ბეგს—ვ. გუნია, სოლეიმანს—ლადო მესხიშვილი, ანანიას—კ. ყიფიანი, ბესოს—კ. მესხი. 22 იანვარს დასმა „ღალატი“ ბათუმში წარმოადგინა.

23 იანვარს დასს უკვე ქუთაისში ვხედავთ.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართა 29 იანვარს თბილისში. ამ ჯერად სპექტაკლი უნაკლო ყოფილა, და „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავს: „სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული დასი გამოსწორდა და სუმბათაშვილის განთქმული დრამა კარგად წარმოადგინა“.

ამ სათეატრო სეზონში „ღალატის“ წარმოდგენები თბილისში კიდევ გაიმართა 22 თებერვალს, 13 მარტს, 14 მარტს, 22 აპრილს და 16 მაისს.

ამ დროიდან მოყოლებული „ღალატი“ დამკვიდრდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის რეპერტუარში, როგორც ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოები. იდგმებოდა როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებში. სახიერდებოდა არა ისე, როგორც პირველი წარმოდგენა, არამედ დიდი მხატვრული სიძლიერითა და დამაჯერებლობით. „ღალატის“ სცენიურმა სახეებმა ბევრი საუკეთესო შემსრულებლები ჰპოვა ქართულ სცენაზე. შესანიშნავი იყო ოთარ-ბეგის როლში მსახიობი ვ. გუნია, ზეინაბის—ნ. ჩხეიძე, ანანიას—კ. ყიფიანი, ბესოს—ვ. აბაშიძე, დათოს— ა. იმედაშვილი და მრავალი სხვანი.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით გავარჩიოთ „ღალატის“ იდეური არსი. ამ მხრივ პიესას, ცხადია, ნაკლი აქვს. ეს არის ქართველი ხალხის ზოგიერთ ისტორიულ პირთა სახეების დასურათება ისეთ მერყევ ტიპებში, როგორიც არიან ოთარ-ბეგი, ზეინაბი და ერეკლე, რაც დამახასიათებელი არ იყო ჩვენს ისტორიაში და გამონაკლისს შეადგენდა. მაგრამ პიესა იმითაა ძლიერი, რომ ავტორი, სახავს რა ასეთ ტიპებად მხოლოდ ფეოდალურ-მონარქიულ ფენების წარმომადგენლებს, ამავე დროს ურყევი და მარადისი პატრიოტული სულისკვეთების შემცველად ხატავს ხალხს, მის წარმომადგენლებს. უფრო მეტი — ხალხი სცდილობს, რომ მისი მოთავენი მუდამ მასთან იყვნენ. დამახასიათებელია, მაგალითად, მეოთხე მოქმედებაში ანანია გლახას დალოცვა მის მიერ გაზრდილ ბატონიშვილის ერეკლესი: „იყავ მამა ერისა, ისე როგორც ერი იყო შენი მამა და აღმზრდელი“.

„ღალატის“ იდეური მნიშვნელობისათვის დამახასიათებლად უნდა ჩავთვალოთ სუმბათაშვილის მისწრაფება, აჩვენოს ქართველი და რუსი ხალხის დაკავშირების ჩანასახები. ამ დაკავშირების დადებით თვისებებზე ლაპარაკობს ის პიესის წინასიტყვაობაში. თვით პიესაში ამას მოწმობს ბესოს სიმღერა მეოთხე მოქმედებაში: „იმედს მეფე მოსკოველი გვაძლევს დიდსა მტერთა მსვრელი“... ჩვენ ვიცით თუ რა მისწრაფება იყო წარსულში ორიენტაციის საკითხში, რაც დაბოლავდა. რუსეთთან კავშირის დაჭერით და შეერთებით. სუმბათაშვილი თავის დრამაში მკვეთრად და რელიეფურად სახავს თუ რა დამ-

ლუპველი იქნებოდა ქართველი ხალხისათვის რუსეთს რომ არ დაკავშირებოდა და ორიენტაცია აზიის სახელმწიფოებზე აეღო.

„ღალატმა“ ჩვენს ეპოქაშიც არ დაჰკარგა მნიშვნელობა. პიესა რუსთაველის თეატრში იდგმებოდა დიდი სამამულო ომის წლებში და შეუწყო ხელი პატრიოტიზმის გაღვივებას ფაშისტურ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. პიესა დადგა სსრკ სახალხო არტისტმა ა. ხორავამ. დადგმა საბჭოთა ქართული თეატრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩავთვალოთ არა მარტო შესრულების მაღალხარისხოვნობით. მთავარი ის არის, რომ საბჭოთა თეატრის კოლექტივმა და დამდგმელ-რეჟისორმა პიესას სრულიად მართებული გაგება მისცეს. დადგმაში იგრძნობა ხალხის ძალა, ხალხის გმირობა, ხალხის უტეხი ნებისყოფა მტერზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

საინტერესოა „ღალატის“ თარგმნის ისტორია. პიესა ჯერ კიდევ მოსკოვში არ იყო დადგმული, რომ საქართველოში უკვე შეუდგნენ მის თარგმნას. ასეთი იყო ცხოველი ინტერესი ქართული საზოგადოებრივობისა სუმბათაშვილის ამ ნაწარმოებისადმი. 1903 წლის დამლევს უკვე გამოქვეყნდა პიესის ორი თარგმანი, სახელდობრ: კოტე მესხის (ჟურნ. „მოამბე“, № №11, 12) და გრიგოლ ყიფშიძის (გაზ. „ივერია“, № № 269-280). ეს ორივე თარგმანი ცალკე წიგნად გამოვიდა 1904 წელს. გაზ. „ცნობის ფურცელში“ (1904 წ., 22 იანვარი, № 2386) ვკითხულობთ, რომ ცნობილი მთარგმნელი ივანე მაჭავარიანიც სთარგმნის „ღალატს“ და „თვით თავადი ილიაც აპირობს ამის თარგმნას“.

ივანე მაჭავარიანისა და ილია ჭავჭავაძის თარგმანი „ღალატისა“ არ არის ცნობილი. შემდგომში (1906 წელს) ცალკე წიგნად გამოვიდა კიდევ ერთი თარგმანი (დასურათებული)—ნიკო ავალიშვილისა.

„ღალატის“ პირველი წარმოდგენა კოტე მესხის თარგმანით მომზადდა, მაგრამ ის არ მოეწონათ თეატრის მესვეურთ და საზოგადოებას ორი წარმოდგენის შემდეგ მიღებული იყო გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი და პიესა შემდგომ მხოლოდ ამ თარგმანით მიდიოდა. ამ თარგმანითვე განახორციელა დადგმა რუს თეველის სახელობის თეატრმაც.

გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი „ღალატისა“ სანიმუშოდ უნდა მივიჩნიოთ ამ პიესის სხვა ოარგმანებთან შედარებით. წინამდებარე გამოცემის მომზადებისას თარგმანი ჩვენ ერთხელ კიდევ შევადარეთ დედანს (შეტანილია ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორებანი) და დავრწმუნდით, რომ ის სიზუსტით გადმოგვცემს ორიგინალის მთლიან შინაარსს და ამავე დროს ქართული ენის მთელი სიმდიდრის გამოყენებით არის შესრულებული. იგი იმდენად სრულყოფილია, რომ შეიძლება მკითხველს და მსმენელს აზრი დაებადოს თითქოს რუსული „ღალატი“ ქართულიდან იყოს ნათარგმნი. ეს უკანასკნელი თვისება, ალბათ, არა მარტო გრიგოლ ყიფშიძის თარგმანის დიდი ხარისხიანობით აიხსნება, არამედ იმითაც, რომ სუმბათაშვილს ქართული თავისებურებით აქვს ნააზრევი და გამოსახული „ღალატის“ სცენიური სახეები.

პიესა „ღალატის“ სიუჟეტზე ოპერა დასწერა ქართული მუსიკის კარგმა მცოდნემ, ქართული მუსიკა-

ლური კულტურის განვითარების ერთ-ერთმა ხელის-შემწყობმა კომპოზიტორმა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, რომელიც მრავალ წელს ეწეოდა მოღვაწეობას საქართველოში. ოპერა პირველად დადგმული იყო 1910 წლის დეკემბრის თვეში ერთსა და იმავე დროს მოსკოვში (ზიმინის ოპერაში) და თბილისში. ოპერა ქართულად სთარგმნა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა და პირველად დადგმული იყო თბილისის საოპერო თეატრში 1920 წელს. ოპერა „ლალატი“ მრავალჯერ იყო წარმოდგენილი ჩვენს დროს ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ.

ქართველი მოწინავე საზოგადოებას არა ერთხელ აღუნიშნავს ალექსანდრე სუმბათაშვილის ღვაწლი ქართული კულტურის საკეთილდღეოდ და კერძოდ პიესა „ლალატის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

1909 წელს სუმბათაშვილს მოსკოვის მცირე თეატრში გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. საიუბილეო საღამოს დაესწრო ქართული თეატრის წარმომადგენელი მსახიობი კოტე მესხი და მოსწრებული სიტყვით მიულოცა იუბილარს. ქართული დრამატიული საზოგადოებისაგან სუმბათაშვილმა ამ იუბილეზე საჩუქრად მიიღო „ვეფხის ტყაოსანი“ და ადრესი, რომელშიაც ეწერა: „ბატონო ალექსანდრე! სალამთან ერთად გიგზავნით სახსოვრად ივერიის უკვდავ გენიოსის თხზულებას, თხზულებას იმ ადამიანისას, რომელმაც თავისი მადლიანი კალამით უკვდავჰყო როგორც თავისი სახელი, აგრეთვე თავისი სამშობლო. დეე, ამ წიგნმა ხშირხშირად მოგაგონოთ ხოლმე ის შორეული მხარე, ის სამშობლო დედა, რო-

მელიც სიყვარულით თავს ბევლებათ, გირწევდათ აკვანს და თანდათან დაგმღეროდათ ხან ტკბილს, ნაზ-ჰაეროვანს ნანას და ხანაც მძლავრს, საგმირო სიმღერას! თქვენ არ დაგვიწყებიათ სრულიადაც ეს ჰანგები. ამას მოწმობს თქვენი ნიჭიერად დაწერილი „ღალატი". (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., 30 ოქტომბერი.)

სუმბათაშვილი აღტაცებული იყო თავისი მშობლიური ქვეყნის გულთბილი მომართვით და თავისი განწყობა გამოჰხატა საგანგებო წერილში „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების" მიმართ. ის მადლობას უხდიდა თავის მოძმეებს ყურადღებისათვის და ამასთანავე სწერდა: „...მე ვიცი, თუ სამშობლოსადმი და ერთმანეთისადმი რა ღრმა სიყვარულით ვართ ჩვენ გაერთიანებული და რა ბედნიერება იყო ყველა ჩვენთვის ამ ცოცხალი სალამის გაგონება. ვიმეორებ, რაც ვუთხარი ჩვენს კოტეს—„ვკოცნი ძვირფას სამშობლოს მიწას, სისხლით ვარ დაკავშირებული ყოველ მის სიხარულთან, ყოველ მის ტანჯვასთან". და ყველა ჩვენგანთათვის, რომლებიც გაერთიანებული ვართ ამ სიყვარულით, ვფიქრობ, გასაგებია რა ბედნიერება და სიამაყე იყო ჩემთვის მეგრძნო ამ დღეებში, რომ ქართველი ვარ, რომ მე ჩემი დედა-საქართველოსაგან მივიღე დალოცვა აქ, სადაც ვმუშაობ და სადაც არც ერთ წუთს არ დამვიწყებია, თუ რომელ ქვეყანამ გაათბო თავისი მზით თავისი შვილის სიყრმის ოცნებანი"... (სახ. სათეატრო მუზეუმი, ფონდი 1, ხელნაწ. № 2158).

1923 წელს ალექსანდრე სუმბათაშვილი უკანასკნელად

ესტუმრა თავის მშობლიურ ქვეყანას და აქ ორ თვემდე დარჩა. მან კიდევ ერთხელ უჩვენა თავისი სცენიური მემოქმედება საბჭოთა ქართულ მაყურებელს. ჩვენმა საზოგადოებრიობამ მას საიუბილეო საღამო გაუმართა საოპერო თეატრში.

გახარებული იყო სუმბათაშვილი იმ გულწრფელი, საზეიმო განწყობით, როგორითაც მას შეხვდა საბჭოთა საქართველოში მთავრობა და საზოგადოებრივობა. სუმბათაშვილმა დაინახა, რომ ეს იყო ქართველი ხალხის დიდი მადლობა იმ ღვაწლისათვის, რაც მას წარსულში მიუძღვოდა თავისი ქვეყნის წინაშე. ამ ღვაწლს კი ამშვენებდა მისი დრამა-ლეგენდა „ღალატი“.

ამ დროს სუმბათაშვილმა მოიწადინა თბილისში გადმოსახლება. უკვე დაისვა საკითხი მისი ყოფილი სახლ-კარის აღდგენის შესახებ სოფელ თელეთში.

ერთერთ თავისი ახლობელის და ნათესაეის ნ. ა. სუმბათაშვილისადმი მოწერილ წერილში 1926 წლის 9 აგვისტოს ის ნატრობდა თბილისში ცხოვრებას. სწერდა რომ აქ დასახლების სურვილი მას ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე დაებადა, მაგრამ ეს ნატვრა ვერ განახორციელა მთელ რიგ მიზეზების გამო. თურმე აპირებდა თბილისში მუდმივად ცხოვრებას, ხოლო წელიწადში 4—5 თვე მოსკოვის მცირე თეატრში მუშაობას. ახლაც სწერდა, რომ „თუ ზამთარმა მშვიდობით გაიარა (გულისხმობდა თავის ავადმყოფობას) შეიძლება მომავალ ზაფხულს მე მივინიჭო სიხარული და საქართველოში ჩამოვიდე, საითაც გული სულ უფრო და უფრო მიმიწევს“. საუბედუროდ, ზამთარმა მისთვის მშვიდობით ვერ ჩაიარა. ის მძიმე

ავად გახდა, საზღვარგარეთ წაიყვანეს სამკურნალოდ და იქვე გარდაიცვალა 1927 წლის 17 სექტემბერს.

ასე ძლიერად უყვარდა თავისი ქვეყანა ამ დიდ შემომქმედს და ასე ბრწყინვალედ და ნიჭიერად გამოხატა ეს სიყვარული თავის ნაწარმოებში.

ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატის“ გამოცემა ერთხელ კიდევ საშუალებას გვაძლევს დიდის პატივისცემით მოვიხსენიოთ ამ გამოჩენილი ოსტატის, საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტის სახელი .

გ. ბუხნიკაშვილი

წინასიტყვაობა ავტორისა

რამდენადაც ვიცი, ,ვითარება და ეროვნა-ცხოვრება საქართველოსი, ს

მთელი ისტორია ამ ქვეყნისა ამ დროამდე, გიდრე საქართველო რუსეთს შეეერთებოდა საკუთარის სურვილითა და ნებაყოფლობით, ერთი შეუპოვარი და გამწარებული ბრძოლა იყო ჰატარა ერისა უძლეველ მაჰმადიანობის წინააღმდეგ ქრისტეანობის კულტურის დასაცველად. ძნელია გაღაწყვეტით თქმა, — შეგნებით თუ თუ არა, მაგრამ საქართველოს მთელმა ერმა-კი, მეკიდან უკანასკნელ ვლეს-კაცამდე, ბუარებელის სისხლის დათხევით, ცხლად კეთა და სრულიად ერის ღვაწლ-მოსილებით, შესძლო და დაიცვა 1200 წლის განმავლობაში ის, რის სიწმინდით დაფვაც ვერ ძალუნდა ბევრად უფრო კარგს მდგომარეობაში მყოფმა ერმა და ქვეყანამ.

ეკლესია, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია და დაჰკვირვებია, როგორ ეკიდებიან დღეს ქართველნი ეგრეთ, მწვალებელთა და თუნდა ისეთ მაჰმადიანთ, რომელთაც სულ ამ ას-რვა წლის წინად ქვაქვაზედ ან დასტოვეს თბილისში და თითქმის აკვიდრთა სახვეარი ამოსწყვიტეს, დაამოუშვებს და ბლიარებს, რაოდენად შემწენარებელნი და ჰატივის-მცემელნი არიან ქართველნი ხვეთა სარწმუნოებისა და თან რაოდენად მოშორებულნი არიან სარწმუნოებრივს გულგრილობას, ინდიფერენტიზმს.

თავისუფლება ქართველის დედაეცისა თუ ჰირადი, თუ ოჯახში, და მისი დიდი მნიშვნელობა, როგორც მაღალსა, ისე დაბალს წოდებაში, არა მარტო კერძოსა, არამედ საზოგადო ცხოვრებაშიაც, სწორედ დაუჯერებელია, ძნელად ასახსნელი ამბავია, თუ შეუდარებთ ქართველის დედაეცის თავისუფლებასა და მნიშვნელობას დღეგანდელ მაჰმადიანთა დედაეცის ეოფასა და მდგომარეობას და ვაკვირვებლისწანებთ, რომ საქართველო ათასის წლის განმავლობაში გართხეული იყო მაჰმადიანობის ეუს-ქვეშ და მხოლოდ ოშვიათად, და ისიც არა დიდხანს, საარაკო, გმირულის თავგანწირულებით, ძალწევდა ხოლმე თავს შესლვანობის ძმიმე

ულგლეს. ჰირადი ადამიანური დირსება თვითთვეულისა, კინც უნდა ეოფილიეო, დიდებული თუ მცირე, მდიდარი თუ ღარიბი, დირსება, ამოირჩებული თავსედობისა ანუ ალგირ-ახსნილობას, ხაკსე ჰატეგისცემით, როგორც თავის თავისა, ისე სხვათა მიმართ,—ნიშნობლიგი თვისებაა ქართველთა ერისა. ის ნიშნობლიგი თვისება, რომელიც კერ შეკმუსრა და კერ წარხოცა ეურ-მოკრიალმა ემიანამ და ფეხთა-მტკერობამ მთავრობისა და ფეულის ძალიერების წინაშე, რაიცა უმთავრესი მირითადი ხაეუმკელია ხამაკმაღლინი ხახელმწიფოების ცხოვრებისა. დასასრული, საქართველოს სუსტმა კულტურამ ბოლოსა და ბოლოს მაინც შესძლო და შეირნინა არა თუ თვისი ხარწმუნოება, არამედ თვისი ერეოვნული განცალკევება, თვისი ხაკუთარი კინაობა მაშინ, როდესაც სპარსთა ძალიერმა კულტურამ კერ მოასერხა და კერ ჭეოფა ისლამში ძალი და ლონე თვისის ათას წლობით შემუშავებული ერეოვნული ხასიათის დასაცავად.

ეს კულტურული ბრძოლა საქართველოსი ქრისტეანულის კაცთ მოეგრეობისათვის, ბრძოლა მით უმეტეს კეთილშობილური, რომ ეოველეე ის, რისთვისაც ებრძოდნენ, მუდამ შეგნებითა და ცნობიერებით არ ეფო გაშუქებული, არამედ უეარა ინსტინქტურად ეფო ძვირეული ერის უმრავლესობისათვისაც და მის წინამძღოლთათვისაც,—ეს ბრძოლა ეოველთვის ერთისა და იმავე გ'ხით, ერთისა და იმავე ლონისძიებით არ სწარმოებდა. სწრაფად, ხანმოკლე თავისუფლების შემდეგ, მხეგარელ ისლამის უღლიდგან განთავისუფლების უმალვე, დგებოდა საშინელი დრო შეუბრალებელის დამონებისა და სისხლის ღვრისა. ისლამი, როგორც მგხი, ისე დაეცემოდა ხოლმე ქვეყანას და თავ-ზარსა ხცემდა. მამაცობას ჭელეტდნენ, ტანვად ჭეიდნენ. ბუარებელი ხიერაკლე სპარსთა თუ ოსმალთა, ურდოსი თათართა თუ არაბთა სიკვდილა ეშირობით ადხაკსე ერთ შეჭა მებრძოლთ თავისუფლებისაკენ; ხამა-

კარდებოდა სასარგებლო შეუდრეობა აგარიანთა შორის უდელ-ქვეშ; გაბატონდებოდა სარწმუნოება მათი, ეოველს სინათლეს მოკლებული, ბრაკის და ბრაკურის შემწენარებელი, გარეგან წესთა შესრულებასად დამეარებული, არ გამთბარი არც სიეკარული, არც მიტევებით, სავსე ამა ხოეილის სიბოროტისა და სიხარულის უგულებელ-ეოეოთა და მშულკარებით. ისე მოედებოდა ხოლმე მაჭმადიანობა საქართველოს, თითქოს უდაბნოთა გაკარკარებული ქეიშა ეოეკინა ზის აღეკაკებულ მაღლიან ბუნებასა. ხმა სიმღერისა შესწედებოდა, სარის რეკა ეალესიებისა ზარსს ჭკარიდა და ბაკთრებდა გარინდებით ეიქრს სკეულს გამარკვებულებს, ნადრ-მოუსერავი ჰირი-სახე ქართველ დგლაკცთა შეურაცხეოკდა მაჭმადიანთა ეკარისეკლობას, რომელმაც სიეკარული ხორცის დატკბობად გადააქცია, ოკახი—ჯარამსანად, მსურკლე სიეკარული დეთისა და შეკნებარე აკეთქება სარწმუნოებისა—ეკანატიკოსობად, ულმობელ წეს-ადათად და ძრწოლად მრისხანე ალლაჰის წინაშე.

მაგრამ ისკამი მარტოოდენ საეულკელი არ იეო ქართველის ნათელ-მოსილის ბუნებისათეის. ისკამის მრისხანე ტალღებმა წალეკა, მაშინდელ ქართველთა ზირთ, მთლად ქვეშიერობა. ეერუსალემი, ბიზანტია,—ეს ორი ბურკი ქრისტეანობისა, უკვე მის ხელთ იეო. მთა კავკასიონისა,—ისედაც მტერი ბარისა და საქართველოს ეაშლილ მინდორ-ველისა,—ისკამს ემორჩილებოდა. საქართველო ერთი ეკეხის ბიდგმა კუნძულია-ლა იეო ამ ზღვაში, რომელიც ეკვეთებოდა მისს კიდეებს და ზ'ხად იეო ზ'ხედ გადაკარკნილიეო და შთეენთქა თავის ზ'ვირთებში. ამ საშინელმა ძლიერებამ დაიმონა და შეკაჭკა ფიცხი გონება ამ ხამხრეთის მკვიდრთა, ვისიც მთელი ალ-ლონე იეო არა ცნობიერი, არამედ ინსტიქტიური სიეკარული და ერთგულება სიმართლეს. და აი ნნდება განდგომილება, ლალატი სარწმუნოებისა, მსახურება ძლეკამოსილ მტერთა, ეურ-ეოერილი ემობა ეათ წინაშე, გამცეკლობა,

ლაგიწყებს ეროვნულისაკენ იმისი, რაც წინად თვით სიცოცხლეზედ უძ-
ვირაესესი იყო.

მაგრამ ერის ცნობიერების სიღრმეში, თვით უსაშინელეს და-
მონების დროს, სცოცხლობდა სიმბოლო. ეს სიმბოლოში იყო
მოთავსებული ის საეკლესიურო წმიდათა-წმიდა, რომელსაც ინს-
ტექტიურად იმარხავდა გულში საქართველო და არ ერიდებოდა იმი-
სთვის არავითარ სისხლის ღვრას, თითქო იცის და ჭვრეტნობს,
რომ, ოდრე თუ გვიან, ეს წმიდათა-წმიდა ძლიერად შეუაბეშირებს
ასიელთა ბატარა ხალხს მსოფლიოს დიდებულ ერსა და ქვეყნებს,
და რომ ბრძოლა მაგ წმიდათა-წმიდისათვის სიმართლისა და ხელ-
შეუვალ უფლებას მისცემს, ისე შეიღებს მათს კრებულში, რო-
გორც თანასწორი, როგორც ტოლი და ამხანაგი. ეს სიმბოლო
იყო ჯვარი.— და ეი ეს ჯვარი შეინახა უმთავრესად ქართველმა
დედაკაცმა. ალბავ გაიმეორებ, შეინახა თითქო ინსტექტიურადა,
მაგრამ ნამდვილად კი სრულის შეგნებით ესმოდა, რომ იგია მისი
ხსნა, მისი თავისუფლება.

საქართველოს ეროვ-ცხოვრების ეპოქა ისტორიულნი და
მკვლევარნი ერთ-ხმად ამოწმებენ, რომ ქართველმა დედაკაცმა და-
იცვა სწავლა-განათლება საქართველოში და რომ მისი როლი და
მნიშვნელობა ეროვნად დიდია ამ საქმეში. დედაკაცნი ‘ნეზირად სწავ-
ლობდნენ საიმრთო წერილსა, ლოცვებსა, ქართველ მწერალთა
ძველურ თხზულებათა, თითქმის ეპოქამ იცოდა წერა-კითხვა და
თითოეული სცდილობდა მის გაგრძელებას შინაურ მასწავლებლო-
ბით, „ოსტატობით“. დედაკაცნიც ამ‘ხადებდნენ თავიანთ შვილებს
სიბრძოლველად თვისის საიმრთო სიმბოლოსათვის, რადგან ამ
სიმბოლო‘ნე იყო დაბეჭდილი ეროვლიკენ მათი სასოება, ეროვლი-
კენ იმედი ჭირამხანაში მონად ყოფისაგან განთავისუფლებისა, ოჯა-
ხის დადგენისა ისე, რომ მის სახელისა და პატიოსნების დაცვა-
ლად ეროვლიეთ თვით დედაკაცი და არა ხოლა, ან საჭურისი,

დედაცი ბერ-ბადე ნამოუყარებელი და არა სადრში გიხვეული და ბერ-მობურვილი, სიცოცხლითვე დამარხული.

და ი დარბევისა და მოოხრების შემდეგ, როცა მაქმადიანობის ულელი დაეწყებოდა ერს, როცა სამოვარდებოდა ბატონობა გამცემელთა, განდგომილთა, ხოჯა-საჯურისთა, დიდთა და ბატარა მტარვალთა, მაშინ დაიწყებოდა ხოლმე შემოქმედებითი გამრჯელობა ქართველის დედაცისა ეოველად დანაგრულსა და გაღატაკებულს ქვეყანაში, შემართალსა და შეშინებულ მონათა მორის. დედაცნი ამზადებდნენ შვილებს განთავისუფლების დროწლისათვის, უმღერდნენ მშობელ ქვეყნის სიმღერას, უამბობდნენ, რა დროწლით შეიმოსა და რა გმირულად გასწირა თავი მათმა მამა-პაპამ, სწერდნენ ბერძვარს და ეოველს ამას იქმოდნენ მორიდებითა და მოკრძალებით, არავინ-რა გაიგონოს, არავინ-რა დაინახოს, თორემ სიკვდილი და წამება არ აგვცდება არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს შვილებსაცა. ხოლო ეს შვილები მარტო სისხლი და ხორცი კი არ იყო მათი, არამედ სულიც იყო, იმედი და სასოება იყო მომავლისა. ასეთნი დედაცნი ამზადებდნენ კ ა ც ე ბ ს. სხვანი ამზადებდნენ თვით ს ა ქ მ ე ს, ამზადებდნენ ასევე ხანგრძლივ, ასევე ჭარხალად, ეოველ წუთს შიშ ქვეშ მეოეანი, რომ ი გაგიგებენ, შეგვიტეობენ და ამდენის ხნის აშაგი, ათისა და თცის წლობით მოგვარებული საქმე ერთის ხელის გაქნევით წახდება, ნაიშლებაო. ამისთანების როლი ბევრად უეარო მნელი იყო და რთული. ესენი იყვნენ ის დედაცნი, რომელნიც ჭარმახანაში მოქეოლოდნენ, სხვის საამებლად და ხორცის დასატკბობად იეკნენ დანიშნულნი, ითქო სასუქი წვრილ-ეეხიაო. არამც თუ არავითარი უეელებანი. არამედ არავითარი მოეგლეობაც არა ქქონდათ იმის მეტი, რომ თვიანთ ბატონ-მეულობელის ქვეყნა გულის-თქმანი დაეემაეოეელებინათ. საშინელება იყო ამ ტიპის დედაცის მდგომარეობა, რომელსაც ასეთ ეოეაში ნაკარდებოდა, რაც ხშირად მოხდებოდა ხოლ-

ში; მთელი ქარაგმანა ეოგელის თვისის წვლილით ბუტბუტის ტანჯვას ეუნებდა მის სულიერს არსებასა. ასეთს გარემოებაში ნაკარნილისათვის საბრძოლველად საჭირო იო არა მარტო გამბედობა და თავ-განწირულობა, არამედ მეტად ბევრის დათმობაც, "სნეობრივ. თვისის საღმრთო წადილის შესასრულებლად, მეტი ლონე არ იო, უნდა მოეთმინა დამცირება თვისის სახელისა, ბატიოსნებისა და ადამიანურის ღირსების შელახვა და ეეხქვეშ გაქელვა. ცხადია, რომ ეოგელსაკე ამას კვალ-დაუტოვებელი არ გადურჩებიდა მისი სულიერი არსება. შესამე ტიპის დედაკაცნი იკენ წამებულნი, მოწამეობრივის გვირგვინით შემოსილნი. მათი რიცხვი ეუარებელი იო. ცნობილია დარნენილი, რომ 1220 წელს 50.000 დედაკაცი აწამა სარწმუნოებისათვის ხორასნის სულთანმა ჯალალ-ედინმა.—ესენი ამ"ადებლნენ ს ე ულ ს ერისას, ისე როგორც ბრალნი ამ"ადებლნენ კაცებს, ხოლო მეორენი—საქმეს.

ამ სახით, ხა"ოგადო ტ ი პ ი ქართველთა ხანგრძლიეის ბრძოლისა ჯვარისათვის, რიგორც სატრეიალო კულტურულ მისწრაფებათა განსთრციელებულ სიმბოლოსათვის, ასეთი იო: მხედარნი და მებრძოლნი ამოხწედებოდნენ ქვეენის მოოხრების დროს, გადიბეეწებოდნენ, ქედს მოუსრიდნენ მტერს, ქვეანა დაინაგრებოდა, ეული გაუტეედებოდა, სულით დაეცემოდა. ამ დროს დედაკაცი ეწყებდა თვის შემოქმედებითს მუშაობას, შეეღებეთ გულში ატარებდა მომავალს და ყ"ნდა ხანგრძლიეის მ"ნრუნველობით, სიეგარულით, თითქო ის ჭურჭელია, რომელშიაც დაცულია უმაღლესი მადლი.

მაგრამ რიგორც საშობლოსათვის მებრძოლ მამაკაცთა საწინააღმდეგოდ გამოქეავდა ისლამს თვისნი მხედარნი, მამაცნი და ძლევა-მოსილნი, რომელთაც, მართალია, ბევრი ნაკლულევანება ქონდათ, მაგრამ მაინც მოშიბვლელნი იკენ თვისის მაღლითა და ეშირობით, ისე დედაკაცთა საწინააღმდეგოდ ისლამმა მო-

ამბავდა და გაწურილნა ქართველნაში თვისი დედაცი, ბევრად ნაკლებს სიწმინდისა, მაგრამ არა ნაკლებ მლიერი. მართალია, მაგრა მისი ისეთი იო, რომ დიდის ხნით ვერ გაიმარჯვებდა, რადგან სულიერი არ იო, არაფერ ნიკოთიერის ხასიათისა, მაგრამ მაინც ეგ ან ძალა იო გრძნობა-აკუაკუნებისა და მეკვნიერებისა, რომელსაც ისტორია მარტო ოდენ ისლამში არ უწევდა ენგარიშს. ქართველნამ ეგ ტიპი ინტრიგისა და ხორცის დატკბობისათვის განნილის დედაკაცისა განაკითარა უმაღლეს ხარისხამდე; დიდის მოხერხებითა და თანდათანობით მოსპო და გაანადგურა თვისთა დედაკაცთა შორის ეროვნულიკე უმაღლესი სნეობრივი ღირსება, ხელის შემშლელი ინტრიგანობისა და ბორიტებისა, და სამაგიეროდ აღჭურვა დიდის უფლებებითა, რათა გამეკეთებულიო ეროვნებან, ხალა-ი სამაკლობელოთ გრძნობა-აკუაკუნებისა. როგორც ქვენა ხასიათისაა ღონისძიებანი, ისევე ქვენა ხასიათისაა ის, რაცა აქვს ლაკალებული ქართველნის დედაკაცს.

გარნა ლაკალებულის შესასრულებლად იგი ნაკლებ გულმტკიცე და ნაკლებ შეიარაღებული არ იო, ვიდრე დედაკაცი უმაღლესის კულტურისა და მადალის სნეობისა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ინსტიქტიური ქ�nობა ამ ორგვარის კულტურის დედაკაცთა შორის შეურიგებელ მეტოლგარებამდე მიაღწევდა ხოლმე, როცა საქმეთა მსვლელობა პირის-პირ დაკენებდა ორივეს ერთმანეთთან საბრძოლველად, რაც ძალიან ხშირად იო საქართველოსა და ისლამის დაუსრულებელ ბრძოლის დროს.

პესის წერა რომ დაგიწეი, რასაკვირველია, დიდად გამიტაცა ამ გვარის სხვა-და-სხვაობითა და ეკერადებით მლიდარმა ალმოსავლეთის ქვეყანამ. მინდოდა, შესლებისა და ვვარად, გამეცნო რუსთათვის ნიშნობლივი თვისებანი და სასოგადო ხასიათი ქართველთა ერის ისტორიულის ბედისა. ამიტომ გადაგწეიტე, რაკი ასეთია

ნემი წადილი, არ შეეიბორეთ თავი ერთის რომელიხამ ხისტიკად და მტიცედ განსაზღვრულ ისტორიულის ხანათი-მეთქი. ეს ხანა, უეჭველია, თავის დროებითს ხასიათს ადამანგვდა დახასურათებელ ადამიანთა და ამბავთა და მეც ხელ-ეკეხს შემეერავდა თვისის განხაზღვრულობით. ამ მიზეზით, არაკი დრამისა და მომქმედთა სახელები მე თვითონ მოვიგონე, ისტორიული ხანა გარკვეით არ ადგნიშნე, არ განვსაზღვრე. ამ მხრივ „ილალატს“ უეჭველი ისტორიული სინამდვილე აკლია. ხოლო აზრი და არსება ჰიესის ამბავია, ხასიათები და ფსიხოლოგია მიმქმედთა, რომელნიც ასურათებენ ტიპიურსა და ერის ძირ-მოსილ მისწრაფება-წადილსა, დახასრულ, ზოგადი სული და ხასიათი საქართველოს ეხტორიისა ეს საგანი ჩემის განსაკუთრებულის ეურადღებისა და სიკურთხილით შემუშავებისა. არა ვმალავ ჩემის ჰიესის ნაკლულევანებას, მაგრამ მაინც ვგონებ, რომ არსად და არაკურით არ ავცდენილვარ ისტორიულს შინაგანს სიმართლეს; ამ სიმართლეს, ჩემის აზრით, ბევრად უეკრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გარეგანს ქრონოლოგიურსა და ფაქტიურს სინამდვილეს, მერე ამისთანა თხზულებაში, რომელიც სამეცნიერო ხასიათს არ ჩემულობს.

ღალატი

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი

სოლეიმან-ხანი—შაჰის ძრახთა გვარდიის უფროსი და შაჰის მოადგილე ხაქართველოში
ზეინაბი—40 წლისა, მისი უფროსი ცოლი, ქვრივი ხაქართველოს მეფის თეიმურაზისა
რუქაია—25 წლისა, ეონა-შხვკილი სოლეიმანისა
ისახარ—ზეინაბის გამდელი, ცოლი ანანია გლახასი
ოთარ-ბეგი—ქართლის გამგებელი, განდგომილი ქართველი, 50 წლისა
გაიანე—მისი ქალი, 18 წლისა
ანანია გლახა—გლეხ-კაცი, 70 წლისა
ერეკლე—მისი შვილობილი, 22 წლისა
დათო—მისი შვილი, 25 წლისა
საბა-ბერი—50 წლისა
ყარა-იუსუფი—გამგებელი ტფილისისა
ალ-რაზაკი—ბაბელი, უფროსი ხოჯა სოლეიმანისა
ბესო—ოთარ-ბეგის მსახური, 45 წლისა
მაიკო—გაიანეს გამზრდელი
იბნ-საადი—უფროსი დარაჯთა, ძრახი
ორბელიანი, �ემბატი } წინამძღოლნი ქართველთა ჯარისა

მცველნი სოლეიმანისა, ქართველთ მხედარნი, ეონა-მხევალნი სოლეიმანისა, გლეხ-კაცნი, მსახურნი ოთარ-ბეგისა

I მოქმედება—სოლეიმან-ხანის სასახლე თბილისში
II და III მოქმედება—ოთარ-ბეგის ბალი გორის ახლოს
IV მოქმედება—ხევი თბილისის ახლოს
V მოქმედება—სოლეიმან-ხანის სასახლე თბილისში

მთელი მოქმედება სწარმოებს საშუალო საუკუნეების დამლევს საქართველოში სპარსელების მიერ მისი დაპყრობის ერთ-ერთ ეპოქაში.

I და II მოქმედებას შორის გადის ხუთი დღე
II და III შორის—დღე და ღამე
III და IV შორის—ხუთი დღე
IV და V—სწარმოებს ერთ ღამეს

მოქმედება პირველი

ტერასა-აივანი სოლეიმან-ხანის სასახლეში, რომელიც თბილისის ციხეშია მოთავსებული მტკვრის პირას. უკანა დეკორაცია წარმოადგენს მტკვრის გაღმა მხარეს ქალაქისას, მეტეხის კლდეს; ზედ ციხეა და ეკლესია. ტერასას მტკვრისაგან ჰყოფს ფერადი მარმარილოს ხვეული სვეტები, კამარა-შეკრულ თაღებით გადაბმული ერთმანეთზედ, მოფენილი არაბულის წარწერებითა და შემკული ფერადის აიასოფიის კენჭით. გარშემო ყველგან ვარდის ბუჩქებია და ხვეული მცენარენი, მაყურებელთაგან მარჯვნივ და მარცხნივ კედლები, მოვარაყებულ მინანქრიან სურათებით. კედლებს კარები აქვს, აღმოსავლეთის გემოვნებაზედ მოქედილი ფერადის თვლებითა და ქვის კენჭებით. სცენის შუაგულ ოთხ-კუთხიანი აუზია; ოთხ-კუთხივ ლომების ქანდაკებანია; მათის პირითგან ამოდის სურნელოვანი წყალი შადრევნად და ავსებს აუზს. ჩარცხნივ ფართო კვარცხლბეკია, მორთული ხალიჩებითა და ბალიშებით. ადრე გაზაფხულია. მზე ჩადის და მალე დგება მშვენიერი მთვარიანი ღამე.

სოლეიმან-ხანი პირ-ხმელი, მაღალ-მაღალი მოხუცია

შავგვრემანი, შავ-წვერა, ოდნავ ჭაღარა-შერთული; ტანთ გრძელი სამეფო სამოსელი აცვია, თავსა ჰხურავს მაღალი დოლბანდი, შემკული ბრილიანტის ფრთით, ოქროს ხმალი მუხლებზედ უდევს, ხმალს ზედ მრავლად ჰკიდია თილისმები და აჭრელებულია წარწერებით ალ-ყურანიდგან; ზის შადრევანთან ფართო სავარძელში, რომელიც ხალიჩებითა და ბალიშებით არის მორთული. მის სავარძელს უკან დგანან მცველნი, თაციოფეხამდე შეიარაღებულნი არიან და თავზედ დოლბანდები ჰხურავთ, მარცხნივ დგას ხოჯა ალ-რაზაკი, სქელ-სქელი აბაშელი, პირ-მდიდარი. მაჭატა და სწრაფად მოძრავის თვალებით; მარჯვნივ სდგას ყარაიუსუფი, თხელ-წვერა, პირხმელი, დაბალ-დაბალი ტანისა. სოლეიმან-ხანის წინაშე სდგას ოთარ-ბეგი, გორის ერისთავი, მაღალ-მაღალი, სრული, ახოვანი, სპარსულად ჩაცმული, წვერ-მოპარსული, გრძელი და სქელი ჭაღარა ულვაშები მკერდზედ სცემს, სქელი წარბები აქვს, სახე მამაცური, გაშლილი, ხან მხიარული, ზედ ღრმა ნაბმლევი ამჩნევია შუბლიდან შუა ლოყამდე, უიარაღოა. მოისმის ყრუ ბორბოქი მტკვრისა. ალ-რაზაკი, იუსუფი და ოთარ-ბეგი თავ-დაზრილნი დგანან და ძირს დაიცქირებიან. ხელები კაბის კალთებით აქვთ დაფარული სოლეიმანი მრისხანე, მაგრამ მოქანცულისა და მკვდრის ფრად გაყვითლებულის სახით გარინდებით იცქირება მაღლა და ფირუზის კრიალოსანს ათამაშებს. ხანგრძლივი დუმილია. კარის კაცნი ძლივს სულს ითქვამენ მოკრძალებითა.

I

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: დიდ არს ალლაჰი!

ს ა მ ი ვ ე ' კ ა რ ი ს-კ ა ც ნ ი: (თავ-დახრით) დიდ არს ალლაჰი! (დუმილი)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ფადიშა საყვედურს მითვლის მე, გურჯისტანის მბრძანებელს. ჯერ შორიდგან ყრუდ მოისმის მისის მრისხანების გრგვინვა. ჩვენ ყველანი მისი ფეხთა მტვერნი ვართ.

ს ა მ ი ვ ე კ ა რ ი ს-კ ა ც ნ ი: მისმა ჩრდილმა დაჰფაროს მთელი ქვეყნიერება!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ვერაგი მეფე იმერეთისა, წყეულ ახალციხელ ფაშის მუქარით შეშინებული, კაცს კაცზედ ჰგზავნის საიდუმლოდ ქართლში, ამხნევებს და ასისიანებს უწმინდურ ძალლ-ქრისტიანებს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მათმა სისხლმა მოუკლას წყურვილი მელა-ტურებსა!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: შორს მხედველია თვალი ჩემი და მახვილია ყური ჩემი. (ოთარ-ბეგს გადახედავს) გორის ერისთავო! შენ ხარ ჩემი ბურჯი ქართლში. შენი სიტყვები ყურს ასია-

მოვნებს, მაგრამ გულში ღალატი გაქვს დამარხული.

ოთარ-ბეგი: ვიყო მსხვერპლი შენის სიმართლისა, მბრძანებელო! შენი რისხვა მეხია ჩემთვის! ჩემი გული წმინდაა შენს სამსჯავროს წინაშე.

სოლიმან-ხანი: რაკი უარ-ჰყავ სიბნელე და მიიღე ნათელი ისლამისა, მეც დავივიწყე შენი ურიდი ბრძოლა ჩემ უძლეველ მხედრობის წინაღმდეგ, დაგიახლოვე და მოგეც შენ, მონას, ბატონობა ქართლისა.

ოთარ-ბეგი: მახვილო წინასწარმეტყველის მაჰმადისაო! შენის წყალობის სანაცვლოდ დავაქციე ის ტაძარნი, სადაც ოდესმე ვლოცულობდი! ჩემის მამა-პაპის სამარხს თავზე დავაქციე ქამარა-შეკრული თაღები და იმათს საფლავზედ მგლებს გააქვთ დღეს ყმუილი. შევიბრალე განა ჩემი მახლობელნი და შორეულნი?! შენ არ მომიწოდე განა, ცეცხლითა და მახვილით მოსრე ყოველიეფერ? ჩემი მარჯვენა არ აქცევდა განა უწმინდურ ქრისტაანეთა სისხლს და არ ღებავდა მით მტკვრისა და არაგვის წყალს, აგერ თვრამეტი წელიწადია? იმ სისხლში არ ერია განა

ჩემის ძმებისა, ნათესავებისა და მეგობრების სისხლი?! ქვა-ქვაზედ აღარ დავტოვე იქ, საცა 23 ეკლესია იყო აგებული, მიწასთან გავასწორე 11 მონასტერი, ხის ჯვრებზე დავაკარ შეგინებულნი გვამნი მღვდლებისა და მონოზნებისა და მივეც მტკვრის ტალღებს გურგანის ზღვაში ჩასატანად. იდიდოს სახელი ირანისა! მე, ქართველმა დაბადებით, გავქელე საქართველო ისე, როგორც ჰქელავს შვილი თავის შემცოდე დედას. გავქელე და ფეხთ-ქვეშ გადმოგიგდე შეკრული და მორჩილი. და თუ ესეც ცოტაა, თუ ესეც სათნო არ არის შენთვის, შეიწირე ჩემი სიცოცხლე, დამსაჯე, მეფევ ძლიერო! (თავს იხრის მის ფერხთა წინაშე)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (ყურს უგდებდა გარინდებული და თვალებ ზე-აპყრობილი) კახეთის ერისთავი შენზედ ერთგულია: ყელამდე ჩაჰფლა მიწაში 12 წყეული ერევნელი და სიცხე-პაპანაქებაში შვიდს დღეს დასტოვა ისე ბუზებისა და მუმლის შესაჭმელად. იმათმა კურდღელივით მშიშარა გულმა ვერ აიტანა წამება და გასცეს ბოროტნი ზრახვანი ერევნის სარდლისა. ისა მღუპავს მე ისპაჰანსა. ძლევნს

ძღვენზედ უგზავნის ფადიშასა და ყოველ-გაგზავნაზედ მასმენს და ცილსა მწამებს მეცა. რითი-ღა გავიმართლო თავი!

ოთარ-ბეგი: (მხოლოდ ახლა წამოიწევს) შენის მახვილის ძლიერებით, მეფეე დიდებულო!

სოლეიმან-ხანი: (ჩაფიქრებით) მარტო მახვილი არ არის ძალა ქვეყნიერების მპყრობელთა. ლომი დიდხანს ეპარება თავის საკბილოს, მაგრამ როდესაც კამარას შეჰკრავს და გადახტება, მის ნახტომს აუცილებელი სიკვდილი უნდა მოჰყვეს. მიაძინე მტერი და გაჰგლიჯე შუაზედ.

ყარა-იუსუფი: სიბრძნე ძველის მეფის სოლეიმანისა მტვერია ჩვენის მბრძანებელის სიბრძნესთან!

სოლეიმან-ხანი: ერევნის ბატონი უგზავნის ირანის მფლობელს ოქროსა და ვერცხლს, ყარაბაღულს ცხენებს და დატვირთულ აქლემებით ბრინჯს, ხილსა და პურს, ჯან-ღონით სავსე მონებსა და მშვენიერს მხევლებსა. ფადიშას ფეხქვეშ ჰხოხავს და კბილები უკაწკაწებს ჩემს გურჯისტანზედ. მერე სად იყო მაშინ ის მხდალი ძალი,

როცა მე, ამ ოცის წლის წინად, როგორც შავ-
მა ჭირმა, ისე ამოვსწყვიტე საქართველოს
ვაჟკაცნი და მათნი ცოლ-შვილნი? განა იმან
აქცია ირანის ყმებად თავადნი კახეთისა და
ქართლისა, ხოლო აზნაურნი და გლეხ-კაცო-
ბა თავის სანადირო ძაღლების საჭმელად?
განა მე არ დავაბნელე მზე საქართველოსი
და ამ მარჯვენამ არ ამოჭგლიჯა მკერდიდგან
მისს უკანასკნელ მეფეს გული, რომელიც
ჯერ ისევ ჰფეთქავდა? (კარები ნელა იღება. კა-
რებს იქით სდგას ზეინაბი, დიდებულად ჩაცმული
სპარსულს გემოვნებაზედ)

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი:	თითქმის	ვინ გაუმაგრ-
ალ-რ ა ზ ა კ ი:	ყველანი	დება ძლიერ-
ო თ ა რ-ბ ე გ ი:	ერთად	სა? შენა ხარ
		ნამგალი ალ-
		ლაჰისა! თვა-
		ლებიმც დასდ-
		გომიათ შენს
		მტრებს!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (თავს დაჰხრის). ესა ყო-
ფილა ჯაცის დიდება! — მე აქა ვზივარ ჩემს
ტახტზედ და ჩემმა მტრებმა უკვე დაივიწყეს
ჩემი ძალა, გარს შემომერტყნენ ჯაჭვივითა.

ოთარ-ბეგი: ს

ნი თეთრი უნდა იყოს თოვლივითა, უკანასკ-
ნელი-კი შავი, როგორც ყორანი! თვითოეულს
მთლად ძარღვები უნდა უჩანდეს კანქვეშა!

ოთარ-ბეგი: (დაბლა თავის დაკვრით) ყოვე-
ლივე მეცხრე დღეს მზად იქნება.

სოლეიმან-ხანი: მოაგროვე უმშვენი-
ერესნი ქალწულნი: საჩუქრად მინდა მივართ-
ვა ფადიშას. მე თვითონ დავსინჯავ და იცო-
დე, დაბადების დღეს გაწყევლინებ, თუ რომ...
მოიცა... ყური მოეკარი—ქალი გყავს შენა?

ოთარ-ბეგი: (მღელვარება შეიკავა და სცდი-
ლობს ხუმრობაში გაატაროს) ორმოცზედ მეტი
მყავს, ბატონო, წყალობითა მაჰმადისათა,
რომელმაც დაგვიხსნა ერთის ცოლისაგან.
კურთხეულ იყოს სახელი მისი! რომელიც უკე-
თესია, იმას წარმოვუდგენ ბრწყინვალე თვალ-
თა შენთა.

II

ზეინაბი: (ვააღებს კარებს და აიხდის რიდეს)
ოთარ-ბეგ, გაიანეს გამოგზავნაც არ დაგა-
ვიწყდეს.

ოთარ-ბეგი: (შეშფოთდება, უკან დაიხევს და,
რომ ჩააფუჩეჩოს თავისი შეშფოთება, დაბლა თავს

უკრავს. ზეინაბი გაემართება სოლეიმან-ხანის საჯდომ ტახტისაკენ. დაიხრება, ეამბორება მუხლებზედ, მერე წამოდგება და ჯდება მის გვერდით. მოხუცი ისახარიც იმავე კარებიდგან გამოდის და ჩერდება მარმარილოს სვეტთან სცენის სიღრმეში. ყარა-იუსუფი და ალ-რაზაკი დაბლა თავს უკრავენ ზეინაბს)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ვინა სთქვი, ზეინაბ?

ზ ე ი ნ ა ბ ი: საქართველოს მზეო, დიდი ხანია წავიდა ის წყეული დრო, როცა ჩემს თვალებს ჯერ არ ენახე შენ და ჩემი გული შენს ფეხ-ქვეშ არ იყო გაფენილი. შენა ხარ ახლა ჩემი სამშობლოცა, ჩემი სარწმუნოებაცა, ჩემი ბატონიც. მაგრამ როცა ჯერ შენი არ ვიყავ,—წყეულიმც იყოს თვით ხსენებაც-კი იმ შავ-უკუღმა დღეთა, —როცა ცოლი ვიყავ იმ საზიზღარის, ლაჩარის, გურჯისტანის ულირს მეფედ ნამყოფისა, შენის ხელით რომ მოჰკალი,—კარგად ვიცნობდი ჩემს ცბიერ ხალხს. ოჰ, ტყუილად კი არ გემუდარებოდი ამდენს ხანს, — ნუ ჰზოგავ იმათ სისხლსა-მეთქი, ზედ შესდეგ და სთელე-მეთქი! მხოლოდ შიშს შეუძლიან გაასწოროს მათი მრუდე და მატყუარა გული.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (მრისხანედ) ოთარ-ბეგ, რას ნიშნავს ლაპარაკი დედოფლისა?

ოთარ-ბეგი: (თავ-გზა-დაბნეული) არ ვიცი, რა მრგახსენო, მბრძანებელო! დედოფალი ჩემზედ, თავის ყმასა და მონაზედ, არ არის განრისხებული.

ზეინაბი: (ზიზღით) მრისხანების ღირსია ლომი და არა მელა! ბატონო ჩემო, მაგას ჯერ არ უტყუვნია შენთანა და ვერც ვერავინ მოახერხებს ტყუილს, ვიდრე ცოცხალი ვარ. კარგად ვიცი, ახლოსა თუ შორს, ვინ რას გიპირებს, ვის რა უდევს გულში; ვერავინ გაჰბედავს შენს მოტყუებას და მთელი შენი რაზმი ვერ დაგიფარავს ისე, როგორც ჩემი სიყვარული. ოთარ-ბეგ! სად არის შენი ქალი, რომელიც პირველის ცოლისაგან გყავდა, მუხრან-ბატონის ქალისაგან? აი, იმ ქალ-ბატონისაგან, ვისის შთაგონებითაც იჰდენს ხანს ებრძოდი ჩვენს უძლეველს ხმალს ახალ-ქალაქის მთებში? მარიამისაგან რომ მოგეცა! (უყურებს ისე, რომ თვალს თვალში უყრის ისარივით) შენის ქრისტეანე ცოლის მარიამისაგან? თვითონ ის მოკვდა ჩვენის მბრძანებელის ხელით მაშინ, როცა იცავდა შენს ციხე-დარბაზს. შენ-კი ამ დროს ქუთაისში იყავი და უკან დასდევდი იმერეთის მეფის ასულს და შვე-

ლას ემუდარებოდი იმის ქურდ მამას უძლეველის სოლეიმანის წინააღმდეგ? სად არის შენი ქალი გაიანე? სთქვი, ცოცხალი აღარ არის, მოკვდა?

ოთარ-ბეგი: (აკანკალებულს ხელებს კაბის კალთებს ავლებს, გაფითრებულია, თვალებ გაგანიებული და მდუმარებს)

ზეინაბი: (თვალს არ აშორებს) გაფითრდი, გაფითრდი, საძაგელო მელავ! ის ცოცხალია, საქართველოს მზეო. ამან დაჰმალა თავისი ქალი ახალციხის ახლოს, ულრან ტყეში. ისეა თურმე გაფურჩქვნილი, როგორც მთის ყვავილი. მიდის საიდუმლოდ მის სანახავად და შიჰხარის. ოჰ, მაგას რომ ქალის მშვენიერება არ უყვარდეს, აგრე ადვილად არ გაჰქელავდა ფეხქვეშ ყოველსავე, რაცა სწამდა. დიდია და ვრცელი მაგისი ჰარამხანა, მაგრამ იმ ჰარამხანაში არა ჰყავს გაიანე. და ვინცა ჰყავს სხვა ასულნი, არც ერთი მისი ტოლი და სწორი არ არის შვენებითა. ოთარ-ბეგ, დაიტოვე სხვა ყველა შენი ასულნი, მეფეს კი მხოლოდ გაიანე მოჰგვარე. (დაცინვით უყურებს ოთარ-ბეგსა. ოთარ-ბეგი გაფითრებული სდგას. ყარა-იუსუფი და ალ-რაზაკი ონავრობით სავსე თვალს არ აშორებენ. სოლეიმან-ხანი გააფთრებით

სჭეტავს თვალებს და ისე ჰზის პირ-გამეხებული, ოითქო ვეფხვია და აგერ უნდა კამარა ჰკრას და დაიცხრეს თავსაო. ხანგრძლივი დუმილია, თვითოეულს თავისი დარდი და ვარამი შემოსწოლია)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ოთარ-ბეგ! რას ბრძანებ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ძალ-ღონეს მოიკრებს და გონებაზედ მოდის, გულ-მარტივად, ალალ-მართლობით) თუ მარტო ეგ არის ჩემი დანაშაული, მაგაში მე ბრალი არა ვარ. გაიანეს შენთვის ვზრდიდი და მინდოდა შენ ფეხ-ქვეშ დამემხო, როგორც საუკეთესო ძღვენი შენის მონისა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (შეეჩოლდება, გაოცებული, უნებლიედ) როგორ? შენ!.. (გონს მოვა) დიალაც, აგრე უნდა, ან აქამდე რაღას უყურებდი?!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: რამდენის წლისაა?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: თექვსმეტისა გახლავთ.

ზ ე ი ნ ა ბ ი: თვრამეტისაა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (შეშფოთდება) შესაძლოა, დედოფალო, ჩემი წლოვანებაც არ ვიცი, სად შემიძლიან დავიხსომო წლოვანობა გოგოსი. მაგრამ ჯერ ისეთი ბავშვია შესახედაობით, რომ მეშინოდა, დიდებული მეფე არ გამირისხდეს ულირსის საჩუქრისათვისა-მეთქი.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (გადააგდ-გადმოაგდებს თავსა) ცბიერი ხარ, ქართველო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დიდო გულთა მხილაო, რა არის ჩემი ცბიერება შენის სიბრძნის წინაშე? მხოლოდ პირველ ხანში გებრძოდი— სიბნელე ჰქონდა გადაფარებული ჩემს თვალებს, მაგრამ მე პირველი არ მოვედი გურჯისტანის თავადთა და მთავართა შორის შენის მაღალის კარის წინაშე და პირველმა არ დავდე ჩემი ქუდ-მოხდილი თავი საჯალათო კუნძზედ? მე არ მოვიყვანე მუხრან-ბატონიცა, მფლობელი ციციცა, ურჩი სემბატიცა და მთათ-სიმაგრეთა ბევრი სხვა ბატონი და პატრონი? სამი დღე ვეყარენით შენ კარ წინაშე და მორჩილებით ველოდით სიკვდილსა. შენ შეგვიწყალე და შენის სურვილით მივიღე ძლევა-შემოსილი ისლამი. მას უკან განვლო თითქმის ოცმა წელმა. მოიგონე, მახვილო ალლაჰისაო, ვინ უფრო ერთგულად გემსახურებოდა? მუხრან-ბატონი გაიქცა იმერეთს, ციცი გადაიცვალა, ხოლო ვერაგი სემბატი შეუერთდა მოღალატე ორბელიანს, დაძრწის იაღლუჯის მთებში და იქიდგან ესხმის თავს შენს ერთგულ ყმებს, როგორც

ვეფხი ბატკნებსა. იმისკენ მიისწრაფიან ქრისტეანენი, რომელთაც მხოლოდ პირსაფერისად და ჩემის რისხვის შიშით მიიღეს მაჰმადიანობა. იმათთან ჰპოვეს სავანე ქრისტეანეთა მღვდლებმა და მონოზნებმა, რომელნიც კი გადურჩნენ ჩემს ხმალს. მაშ, ნუთუ ახლა დავიწყებდი ცბიერებას შენ წინაშე ჩემის ქალის გულისათვის? დავიწყებდი ცბიერებას მაშინ, როცა ჩემი სულიცა, ხმალიცა და ძალაც შენს ძლიერს ფეხქვეშ დავამხე?

ზ ე ი ნ ა ბ-ი: მოხა ანგარიშობს თავის მბრძანებლის წინაშე, რაოდენი დამსახურებაც შიუძლიეს? რა ხარ შენ, ფეხთა მტვერო მეფისა! რა არის შენი ძალა ჩვენს არაბთა და ყიზილბაშთა მხედრობასთან? ან იქნება გგონია ოღონ ისევ შენ ქართველ მეფეთ შთამომავალს ეშინოდეს? იმ შთამომავალს, რომელიც თქვენს თავდების, ქედ-მაღლობის შიშით [illegible] და ტახტზედ იჯდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამილახვარს ეშინოდა, ჩემი ადგილი ორბელიანმა არ დაიჭიროსო. ორბელიანს ეშინოდა სეიბატისა, სეიბატს—ციციისა. როგორც მგლები ისე ეწეო-

დით აქეთ იქით თქვენის ონავარის კბილებით მეფის სუფრას, რომელზედაც თოჯასავით იჯდა ნეფე-ბატონი. მეფე სოლეიმანმა მიმოგფანტათ ერთის სულის შებერვით. მისი მახვილის ზრიალმა ისე გააგორა თქვენი თავები, როგორც თავები ცხვრებისა. გაუფრთხილდნენ თავიანთ თავს ისინიც, ვინც გადურჩა განსაცდელს! მოწყალეა მეფე სოლეიმანი. მე რომ მიჯერებდეს, აქამდე თავადნი და აზნაურნი გუთნიდედებათ იქნებოდნენ და ზედამხედველნი არაბნი შოლტით ახვნევინებდნენ მიწასა. შენა? შენ, რომელმაც ჰარამხანისათვის გაჰყიდე სვინიდისი, მხოლოდ იმას ივედრებოდი, რომ ნება მოეცათ ღვინის სმისა. არ იცოდი, რისთვის რა დაგემჯობინებინა. ჰარამხანა ღვინისათვის, თუ ღვინო ჰარამხანისათვის და, როგორც თვალ-ხარბმა ძალლმა, ისიც დაგვტყუე და ისიკა. რიღათი მოგაქვს თავი? იმითი, რომ ლოთი და გარყვნილი, ჰხოხავ უძლეველის ფეხთა წინაშე, ოღონდ-კი პატივი და სიცოცხლე არ მომაკლდესო? კარგი სანახავი კია დარაჯი ისლამისა ღვინით გამომთვრალი!

ოთარ-ბეგი: (სცდილობს ხუმრობაში ჩაატაროს) მოვხუცდი, დედოფალო! ღვინო მიფიცხებს თავს და ძალას ჰმატებს მარჯვენას ისლამის სადიდებლად. ასეთი ზომა მაქვს გადაჭრილი--რამდენსაც ღვინოს დავლევ, ორი იმდენი სისხლი უნდა დაეაქციო უწმინდურთა. იქნება ამ სისხლმა ჩემკენ გადმოხაროს სასწორი წინასწარმეტყველის მაჰმადისა, მშვიდობა და კურთხევა სახელსა მისსა.

სოლეიმან-ხანი: ოთარ-ბეგ, შენ იცინი?

ოთარ-ბეგი: ვიცინი, ბატონო! ძალლები და ბოროტნი არ იცინიან მხოლოდ, თორემ ვისაც გული წმინდა აქვს, ის ღიმილით ამხიარულებს თვისის მბრძანებლის გულს. ანკი რა მაქვს საგლოვი და საწუხარი? ბედი ჩვენი ზეცაში სწერია, მისი შეცვლა არ შეიძლება. თუ მიწერია მსხვერპლი შევიქმნე შენისა ან დედოფლის რისხვისა, ღიმილით მოვკვდები. იმიტომ რომ ჩემი სვინდისი წმინდაა შენს წინაშე. (გაბედულად უცქერის ორივეს. დუმილია)

სოლეიმან-ხანი: (წამოდგება) შეასრულე ჩემი ბრძანება. (ცეცხლს გაჰყრის თვალთაგან) ვერაგულის გზით კი არა, იყოს რა გაკეთებუ-

ლი, იცოდე! ყარა-იუსუფ!.. დღეს კიდევ შემომესმა ეკლესიების ზარის რეკა—მომაბეზრა თავი, წადი და უბრძანე ჩემს. მაგიერ საქართველოს კათალიკოზს, რომ აღარ ვაძლევ ნებას ზარები რეკონ სიონსა და ანჩისხატში და მთელს თბილისში. დეე, ზარის დაურეკავად ილოცონ; ეგეც საკმაო იქნება მათთვის.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: ხელ-წერილს დაასახელებს საბუთად, ხელმწიფეო, ხვალ იმათი აღდგომაა.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: მაჰმადმა ბრძანა: ისლამი აუქმებს ხელ-შეკრულობათა და სცელის გულთა. უთხარი, რომ თუ კიდევ მომესმა ზარის რეკის ხმა, ბრძანებას გავცემ, იმათი ზარები ზარბაზნებად გადაადნონ, ხოლო ეკლესიებს თავლებად გადავაქცევ, როგორც მეტეხის ტაძარი ტყვია-წამლის საწყობად გადავაქციე. (ყარა-იუსუფი თავს დაბლა უკრავს და მიდის)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: რალად-ღა გინდა გადასდო, დიდებულო მეფეო? ნება მიბოძე დაუყოვნებლივ შევაგროვო ჩემის ჩაფრებით, რაც თბილისში ზარებია და სულ აქ მოვატანინო, ციხეში!

ზ ე ი ნ ა ბ ი: თბილისის ზარებისათვის ნუ სწუხვარ, ოთარ-ბეგ ჩვენც მოვუვლით მაგ საქმეს უშენოდ. ან იქნება ზარები კიდევ აწუხებს შენს სმენას და ალვიძებს შენს გულში იმას, რაც გინდა დაივიწყო?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (კვლავ გაფითრდება და შეარხევს თავს) არა, დედოფალო, რაც დავიწყებულია, ის მკვდარია და მისი გაღვიძება კვნესამ და ხვეწნა-მუდარამაც ვერ შესძლო, არა თუ რალაც სპილენძის ქვაბებმა შესძლოს.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: წამო, ალ-რაზაკ! (მიდის, ალ-რაზაკი და მცველნი უკან მისდევენ)

III

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ოთარ-ბეგს) მოიცა, ოთარ-ბეგ. მაგრამ იქნება ორბელიანთან მიეშურები სანადიმოდ?! ამბობენ, აქ ახლო-მახლო დათარეშობს თავისი ბრბოთიო.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დედოფალო, ხსენებითაც კი არ მინდა გავიხსენო მოლალატენი, არა თუ ვიფიქრო და ვიზრუნო მათთვის.

ზ ე ი ნ ა ბ ი: შენის თავისთვის ძალიან ჰფიქრობ?!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მოლალატე არ გახლავარ. რით დაგარწმუნო, რომ ერთგული ვარ?

ზ ე ი ნ ა ბ ი: ვისი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ჩემის მბრძანებლისა და შენი.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ისიც ორივესი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ვერ მიმხვდარა რაც ჰკითხეს) მეფე და დედოფალი ჩემთვის განუყოფელნი არიან. (უეცრივ) სწორედ იმიტომ ვაგვიანებდი და არ ჩამომყვანდა გაიანე სოლეიმანის მისართმევად, რომ კეთილი მინდოდა შენთვის, დედოფალო. ჩვენ, ხანში შესულთ, სული წაგვძლევს ხოლმე ყმაწვილის ქალის შვენებაზე. მაგრამ შენ თვითონ მოინდომე, გაიხსენე გაიანე და ჩემი რაღა ბრალია.

ზ ე ი ნ ა ბ ი: მაშ ჩემთვისა ჰზრუნავდი? გმადლობ, ჩემო დიდი ხნის ნამსახურო. მეკი მეგონა, წინანდელმა თავადურმა თავ-მოყვარეობამ წამოჰკრა-მეთქი. გაიანე ხომ შენი ერთად-ერთი ქალია?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: არა, დედოფალო...

ზ ე ი ნ ა ბ ი: ვიცი. მაგათ არ ვამბობ, მარიამისაგანა-მეთქი, მუხრან-ბატონის ქალისაგან ხომ ეგ ერთად-ერთი გყავს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ხმა შეუკანკალდება) ერთად-ერთი!..

ზ ე ი ნ ა ბ ი: მითხარი მისი ამბავი. მაღალ-მაღალია, ტანადი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ტანადია... მაღალ-მაღალიცაა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: მახსოვს იმისი თვალები.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ოჰ, იმისი თვალები... არა, თვალები არ უვარგა, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: სტყუი! (ოთარ-ბეგი თავს დაჰღუნავს) გაიანეს დედას ისეთი თვალები ჰქონდა, რომ მის ბადალს მთელს შენს ჰარამხანაში ვერას ჰნახავ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მაშა რა დამაფასებელია თვისის ასულის სილამაზისა, დედოფალო! ხასიათი აქვს გაბედული და... (ძლივს ასერხებს თქმას) თავ-მომწონეა, გოროზი... ნადირობა უყვარს და, როცა გამოეკიდება ნადირს, ისე მიაქროლებს უხედნელს ცხენს, თითქო ქარიაო. ვშიშობ, ვაი თუ ასეთი ხასიათი მეფეთ-მეფეს არ შოეწონოს. (ისე შეჰყურებს ზეინაბს, თითქო ეეედრებაო)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (თვალს არ აშორებს) მეფეთ-მეფე მოარჯულებს, მოარბილებს მის ხასიათს. სიზმარივით მახსოვს, ასე ოცის წლის წინად, მეფე თეიმურაზმა, ჩემმა მეუღლემ, გიჩვენა

თავისი პატარა შვილი და გითხრა: ოთარ, სასძლო გამიზარდე ამისათვისაო. ვინ იცის, შესაძლოა უმჯობესად მიგეჩნია გაიანე პატარა საქართველოს ტახტის მემკვიდრისათვის მიგეცა, ვიდრე დიდის მბრძანებლის ჰარამხანაში გაგეგზავნა?!

ოთარ-ბეგი: (თვალთ უბნელდება და თითქო ეეედრება, შემიბრალეო) ჩვენ ყველანი მონები ვართ ალლაჰისა და მისნი აჩრდილნი ქვეყნადა.

ზეინაბი: ეეშმარიტად, თავისუფალის ქართველის პასუხია!

ოთარ-ბეგი: მცდი, ვგონებ, დედოფალო, მაგრამ, თუ ძვირფასია შენთვის ხსენება შენის მოკლულის შვილისა...

ზეინაბი: (ცივად) მერე, შენ ჩემზე უკეთესი რითი ხარ? ჩემი შვილი რათა წევს სამარეში, იმის მაგიერ, რომ ჰმეფობდეს საქართველოში, და შენი ქალი-კი დაფრიალობს თავისუფლად და ისუნთქავს სამშობლოს ჰაერს? მე მალე დავივიწყე ჩემი შვილი და შენც მალე დაგავიწყდება შენი ქალი. შენთვის უფრო ადვილიც არის მისი გადავიწყება. შენი სახლი სავსეა ცოლებითა, ხასები-

ოთა და მხევლებით, ახლა ღვინო, ახლა ქეიფი, ახლა სახელი და დიდება, მერე მამა იქნები ფადიშას ხასისა,—მეტი რაღა სახელი და დიდება უნდა მართლ-მორწმუნე ქართველსა? ახლა თუ შენმა ქალმა მოახერხა და ასიამოვნა ფადიშას, გაუთბო გაცივებული სისხლი, ვიღა გაჰბედავს შეგეხოს? უმადური ხარ ბედისა და ჩემი, ოთარ-ბეგ! მალე ჩამოიყვანე შენი ქალი. შენ დაგვეხმარე და ქრისტეანე ერი დავამხეთ ფადიშას ფეხ-ქვეშა, ახლა დაგაჯილდოვებთ,—მისივე ფეხ-ქვეშ დავამხობთ შენს საყვარელს ქალსა. ჩემი შვილიკი სამარეშია და დავივიწყე. რამდენი მეომარი გყავს გორში?

ოთარ-ბეგი: ხუთი ათასი ცხენოსანი.

ზეინაბი: მათ შორის ქართველი ბევრია?

ოთარ-ბეგი: თითქმის ყველანი ქართველნი არიან, მხოლოდ უფროსებად არაბნი და სპარსნი ჰყავთ რაზმებსა.

ზეინაბი: დარწმუნებული ხარ, რომ ერთგულნი არიან შენი?

ოთარ-ბეგი: დარწმუნებული ვარ, დედოფალო. სხვა რა გზა აქვთ, სად წავლენ?

ზეინაბი: იმერეთს?

ოთარ-ბეგი: იქ ახალციხის ფაშაა გაბატონებული. ოსმალნი რითი სჯობიან სპარსელებს?... (გონს მოდის) ესე იგი, ქართველთათვის, ქრისტეან მონათათვის... დაამხოს ისინი ალლაჰმა ფადიშას ფეხ-ქვეშ წყეულ სუნნებთან ერთად.

ზეინაბი: (ჰმალავს სიამოვნებას) კარგად ვერ ახერხებ თავის მოკატუნებას, გულადო ოთარ-ბეგ! მლიქვნელობ-კი საუცხოვოდ და ეგ მლიქვნელობა გშველის სწორედ. წადი და მშვიდობით იყავ, ოთარ-ბეგ, არ დაგივიწყებ: სვი ღვინო, ეალერსე შენს ცოლებს და გვემსახურე, როგორც ერთგული ძალლი. სხვა რაღა გინდა, ოთარ-ბეგ?

ოთარ-ბეგი: გადღეგრძელოს, ხელმწიფეო. (გადის)

IV

ზეინაბი: (ისახარს) ისახარ! ეს არის უშიშარი ოთარი?! ეს არის მარჯვენა ხელი მეფე თეიმურაზისა, ლომი საქართველოსი?!

ისახარ: (მისი ხმა ყრუდ მოისმის, თითქო ორმოდან ამოდისო. მეტყველება სახისა ღრმაა და დაყურსული) ვიდრე საომარი ცხენი დატვირთულია, არ შეუძლიან ჭენება: მოაშორე ეგ სიმ-

ძიმე შერცხვენისა და სულ ვარსკვლავებს დაუწყებს თამაშობას.

ზ ე ი ნ ა ბ ი: თვითონვე იძლევა ქალს უდრტვინველად, უბრძოლველად. თვითონვე ჰკისრულობს ჩამოხსნას ზარები ძველ ტაძრებიდან, საცა მოუნათლავთ, დაუქორწინებიათ. შეურაცხვყოფდი, თავზედ ლაფს ვასხამდი და ის-კი დედამიწას ლოკავდა ჩემ ფეხქვეშ... თითქო ფინია ძაღლიაო, ისე წკმუტუნებდა, კუდს იქნევდა, იკლაკნებოდა. ეგ ოთარია? რა თანამოლვაწე და თანამოსაგრე უნდა იყოს იმისი? რა სანდო მისაყრდნობელი ბურჯია... გასცემს, გაჰყიდის, ისახარ, გაჰყიდის!

ი ს ა ხ ა რ: (თავს აქნევს) არა, თუ იკისრა და გაჰყვა, არ გაჰყიდის.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ყოველივე დაითრგუნა, მოკვდა მაგის გულში, ლოთობისა, გარყვნილობისა და დიდების წყურვილის მეტი! მონობამ სიყვარულს გადააჩვია. ნუთუ მთლად საქართველო ასეთი გახდა?

ი ს ა ხ ა რ: გაიგონე, დედოფალო? სოლეიმან-ხანმა ჰბრძანა, მეჩეთი ააგეთ სეიდაბადში. ხალხი შემოეხვია, დახოცა კალატოზები და დამზადებული საშენებელი მასალა

წყალში გადაჰყარა. სპარსელები გაეშურნენ ციხიდგან, მაგრამ ვიდრე ისინი მივიდოდნენ, ყველაფერი გათავდა და ხალხი გაიფანტ-გამოიფანტა. ახლა ეგ წყეულები დაძრწიან ქალაქში—იქერენ ბრალიანსა და უბრალოს და მიჰყავთ ყარა-იუსუფთან დასასჯელად. მდიდრები ქრთამს აძლევენ ამ ქოფაკსა და თავსა ჰშველიან, ღარიბებს-კი სჯიან, თუ მაჰმადიანობას არ მიიღებენ.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (აციცინათებულის თვალებით) ვინ არის ეგ ხალხი?

ი ს ა ხ ა რ: გარშემო სოფლების გლეხ-კაცნი, მწყემსები, ხელოსანი სომხები, მებაღენი, ამქრის ხალხი—ვინ იცის? ხალხია, ერი!

ზ ე ი ნ ა ბ ი: (გულ-დათუთქული) ისახარ, მეტი მოცდა ალარ შემიძლიან. აცნობე ანანიას, გორში მოიყვანოს ოთართან. უნდა ვნახო ჩემი იმედი, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სისხლი და ხორცი! მხედარი ღვთისა! ხსნა საქართველოსი!

ი ს ა ხ ა რ: დროა! დროა!

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოცი წელიწადია! ოცი წელიწადი, ისახარ! რანაირ იკლავდა თავსა და ტიროდა, არ უნდოდა ანანიას მიჰკარებოდა იმ

წყეულ ღამეს. მოვიგლიჯე გულიდგან და ოცის წლის განმავლობაში ვერა ვბედავდი თვალი მომეკრა, თვალით გამეცადნა... ოჰ, ამ მხეცს რომ გაეგო მისი აბბავი... დროა, დრო, ისახარ! შეუთვალე ანანიას, წაიყვანოს ჩვენი შვილები ოთართან. მე იქ ვიქნები და, თუ ახოვან ოთარის გულში არ გამქრალა ყოველივე ადამიანობა, დაეცემა მის ფეხ-ქვეშ, მკვდრეთიკ აღსდგება სული მებრძოლისა ღვთისათვის, სამშობლოსათვის, ახალგაზრდა მეფისათვის!

ი ს ა ხ ა რ: ნელა! ჩუმად! რაც უფრო მოახლოვებულია დრო გრგვინვა-ქუხილისა, მით უფრო დიდია მყუდროება; რაც უფრო ახლოა ქამი, მით ნაკლებ უნდა ლაპარაკი. (მაღლა აიხედავს) მთვარეს კაშკაში გააქვს. მეტეხიდგან ღრუბელი მოდის, ქარიც ჩადგა. ჰხედავ, რა მყუდროებაა! ამაღამ ელვა-ქუხილი ასტყდება.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ჩქარა მაინც დადგეს ეგ მრისხანე ღამე, საშინელი ღამე ღვთის რისხვის ელვა-ჭექითა. (კარი გაიღება, კარებში გამოჩნდება სოლეიმან-ხანი. ისახარი კვლავ სცენის სიღრმეში მიდის, ზეინაბი სდგას მთვარის ნათლით გაშუქებული)

სოლეიმან-ხანი: შენა ხარ, ზეინაბ?

ზეინაბი: მე ვარ, მბრძანებელო ჩემო.

სოლემან-ხანი: ჰაერი მძიმეა ტყვიასავით. ოთარ-ბეგი წავიდა?

ზეინაბი: წავიდა, მეფეე-ბატონო!

სოლეიმან-ხანი: (წამოწვება მხარ-თეძოზედ. ზეინაბი სდგას მის წინ. სცენის სიღრმეში ისახარი სჩანს) ზეინაბ, მე ალარა მჯერა-რა იმისი. ალრაზაკს ვუბრძანე ცხენები მზად იყოლიოს და ამალა გაგიმზადოს. ოთარ-ბეგს გაჰყვები კვალ-და-კვალ! ასი თვალი გამოიბი, ასი ყური გამოისხი. ყოველივე გაიგე, ყოველივე იწვრილე! (ჩაფიქრდება).

ზეინაბი: (სოლეიმანის ფეხთით წამოწვება) ყველაფერს შევიტყობ, მეფეო! მე და ვერ შევიტყო? განა ჩემი გული ადრევე არ მეტყვის, ვიდრე ყური მოისმენს და თვალი დაინახავს?

სოლეიმან-ხანი: ღამ-ღამობით ჩემს სარეცელს გარშემო რალაც ხმები მიმოჰქრის. ვარსკვლავებს რომ შევცქერი, თითქო ბინდი ეკვრით, იჩრდილებიან.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ყურადღებით უსმენს) ბინდი ეკ-ვრით? მე კი ისე მგონია, თითქო უფრო მოჰ-მატებიათ ნათელი, ლადლადი გააქვთო. შენს სულს ჩემს გულში ვატარებ, სრულიად არ ვიშიშვი შენთვის.

ს ო ლ ე ი მ ა ნ ხ ა ნ ი: გაჰყე უკან ოთარ-ბეგს. მოჰკრა თუ არა ყური, რომ რაიმე ერ-თობა და მიწერ-მოწერა აქვს ან იალღუჯის მეამბოხეებთან, ან იმერეთის მეფესთან, ახალ-ციხესთან და ერევნის ხანთან, მაშინვე უბრ-ძანე, შენ თვალ-წინვე დაჭკლან და მისი თავი აქ გამომიგზავნე.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ძლივს ახერხებს დაჭმალოს სიხარუ-ლი), ჩემი ბედნიერება ის არის მხოლოდ, რომ შენ გემსახურო, მეუფეო ჩემის სულისა! ჩემი ჯილდოა მხოლოდ შენი ალერსიანი შემო-ხედვა, შენი ღიმილი, შენი მოსვენება!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ვინც დედაკაცს ენ-დობა, თითონვე სჭრის იმ ტოტს, რომელ-ზედაც ჰზის. მაგრამ შენ-კი გენდობი, იმი-ტომ... რომ თუ მე დავიღუპები, შენც დაი-ღუპები.

ზ ე ი ნ ა ბ ი: რამ უნდა მაცოცხლოს უშენოდ, ჩემო თვალის სინათლევ?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: შენი ეშხი და სილამაზე ახლა შვენებაა შემოდგომისა, ველარ გიშველის, ვერ დაგიფარავს... გურჯისტანს ეჯავრები და იმიტომ გენდობი.

ზ ე ი ნ ა ბ ი: იმიტომ კი არ გიფრთხილდები, რომ ჩემის თავის ფიქრი მაქვს. როცა თბილისს მოადექი სოლანლულის ბრძოლის შემდეგ, შემეძლო იმერეთს გავქცეულიყავ, სამეგრელოს, გურიას... თვით მოსკოვის მეფემ აღმითქვა მაშინ შემწეობა. მაგრამ ჩემი გული სავსე იყო შენის ქება-დიდების ხმებითა, თვალ-წინ მედგა შენი სახე, მეძინა თუ მეღვიძა, ცხადლივ თუ სიზრმად, და შენის რაშის წინაშე მუხლ-მოდრეკილმა, დაჩოქილმა მოგართვი ციხის გასაღები. შარავანდედი მეუფებისა და მტერთ-შემუსვრისა ამკობდა შენს შუბლს. როცა ჩემკენ გაიშოიხარე, ასე მეგონა, ელვამ დამიარა გულში მეთქი. შენს წინაშე ლომია უდაბნოსიო – ჩამომძახოდა იდუმალი ხმა ყურებში: ყოველივე დაიმონა მაგან და შენი გული როგორ გაუმაგრდება მაგის შეხედვასაო. და მეც ავიღე და მოგეც შენ ჩემი სარწმუნოება, ზრახვანი ჩემის გულისა, ჩემი სიცოცხლე, სული და ხორცი.

გდარაჯობდი ღამ-ღამობით, შენს სასთუმალთან თავ დახრილი, ვცდილობდი მიმემართნა რისხვა შენი, შეშმუსვრელი მარჯვენა შენი იმათზედ, ვინც ოდესმე მზრდიდა მე, მეალერსებოდა, მუხლს მიყრიდა, მაღმერთებდა. მე, ასული და მეუღლე მეფისა, ისე გემსახურებოდი, როგორც მონა და მხევალი, ხოლო შენ მიცნობ, რომ სიკვდილისა არ მეშინიან და ქედ-მაღლობის სისხლი სჩქეფს ჩემს ძარღვებში. შენც მიხვდი ამას და, როცა მწვავე გულის-თქმის გრძნობამ გაგიარა, ნება დამრთე შენს ბჭობაში მეც მონაწილე ვყოფილიყავ, გამეზიარებინა შენი სამეფო ტახტი და ზედ ვმჯდარიყავ შენს გვერდით. მერე რად მინდა მე მთავროობა, ხელმწიფობა? (ეჭვიანობით აღგზნებული) ყოველსავე გავწირავდი, რომ წინანდელებრ ხალხის თვალთაგან მმალავდე, ეჭვიანობით მაწამებდე. შენის ხოჯა-საჭურისების მორჩილებაში მამყოფებდე. ან იქნება აღარა ვშვენი? ველარ მოგანიჭებ იმ ნეტარ სიტკბოებას, რომელსაც განიჭებენ შენი მხევალნი?! (მორჩილებით) მაგრამ შენ ასე გინდოდა და მეც დაგემორჩილე. მე თვითონ ვარჩევდი შენი

ბულის თქმის დამატკბობელთ. გარს შემოგა-
ხვიე სამოთხის სიტურფის მგზავსნი, ქვეყნი-
ურნი ანგელოზნი. ოლონდ-კი შენ მოსვენებით
ყოფილიყავ, დამტკბარიყავ და მე... მე... ოჰ.
თითოეული ღამე შენის დატკბობისა სიკვ-
დილი იყო ჩემთვის, სიკვდილი!! თქვენ, მამა-
კაცებს, მხოლოდ ხორცის დატკბობის სურვი-
ლი გიზიდავთ და განა იცით რა არის სიყვა-
რული?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ჯერ კიდევ კარგი ხარ,
როცა ჯავრობ.

ზ ე ი ნ ა ბ ი: არა, კარგი ვარ, იმიტომ რომ
მიყვარხარ, იმიტომ რომ მინდა გემსახურო,
მინდა შენ ფეხ-ქვეშ ვხოხავდე და ვფლობ-
დე შენს სულს! (მიეყრდნობა)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: გუშინდელი ზღაპრე-
ბი მხევლისა მომეწონა. შემომიგზავნე აქა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: სამეგრელოს მთავრის ნაჩუქა-
რი რუქაია?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: არ მახსოვს იმათი სა-
ხელები. თან მოიტანე თარიცა. გრილმა სიომ
დაჭბერა. იქნება იმისმა ზღაპრებმა და შენმა
ნაზმა დაკვრამ ძილი მომგვაროს. დიდი ხა-
ნია, ძილი აღარ ეკარება ჩემს თვალებს.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (უკოცნის ხელებს) მიედივარ, ჩემო მეფე-ბატონო. (მიდის, ისახარიც თან მისდევს. პირისპირ კარებიდგან შემოდის ყარა-იუსუფი)

VI

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: ხელმწიფეო, კათალიკოზმა გზირის ხელით დაუგზავნა ბრძანება ყველა მღვდლებსა და ბერებსა, რომ ეკლესიების ზარები აღარა ჰრეკონ.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: დარაჯნი თავ-თავის ალაგასა სდგანან?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: თავ-თავის ალაგასა სდგანან, მეფეო.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ცხენოსანთა რაზმნი დაგზავნილნი არიან ქალაქის შემოსავლელად?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: დაგზავნილნი გახლავან. ალაყაფის კარი დაკეტილია, ზარბაზნებიც დამიზნებული აქვს გარშემო გორებსა და ქალაქს.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: კიდევ ბევრი შეიპყრეს მეჩითის დამგრეველთაგანი?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: ოც-და-შვიდი კაცი წიბოებით ჩამოვკიდე და ისე ჩამოვახრჩე ციხის კედლებზედ ალლაჰის სადიდებლად. ორმოც-

და-ათს თავი მოვკვეთე და მათნი გვაბნი სანაგვეზედ გადავაყრევინე. ოც-და-თექვსმეტი ეს არის ეხლა მოიყვანეს.

სოლიმან-ხანი: დასაჯე დილით მეიდანზედ და გამოუცხადე ხალხს ჩემი ბრძანება, რომ თითოეულმა მცხოვრებელმა ზურგით მოიტანოს თითო თლილი ქვა წყრთა ნახევრის სიგრძისა, სიგანისა და სიმაღლისა და იქ დაალაგონ, სადაც მეჩეთი დაანგრიეს. შვიდის დღის ვადა მიეცი.

ყარა-იუსუფი: დიდება ყოვლად სამართლიანსა!

სოლიმან-ხანი: ოთარ-ბეგი გავიდა ქალაქიდან?

ყარა-იუსუფი: ეს-ეს არის გავიდა და ალაყაფის კარებიც დაიკეტა.

სოლიმან-ხანი: დედოფალსა ვგზავნი სამს დღეს უკან მის საზვერავად. იუსუფ! ჰაერში ღალატის სუნი სდგას. (ყარა-იუსუფს შეაჟრჟოლებს და ფერი ეცვლება) ალ-რაზაკი გაჰყვება თან.

ყარა-იუსუფი: ალ-რაზაკი ერთგულია, მაგრამ ტუტუცია. დედოფალი ჭკვიანია, ღმერთმა დიდი დღე მისცეს.

სოლეიმან-ხანი: რა გინდა სთქვა?

ყარა-იუსუფი: ყველაფერს მიხვდება, რაც ოთარ-ბეგს გულში აქვს და ან რაც მის გარშემო ამბავია.

სოლეიმან-ხანი: მერე?

ყარა-იუსუფი: (მოიკაკვება) თვალო ოტარიდისა,* მაგისთანა საქმისათვის თქვენს ადგილას გავგზავნიდი საყვარელს ცოლს, მაგრამ მის დასახმარებლად ერთ-ერთ იმათგანსაც გავაყოლებდი, რომელიც სცდილობს საყვარელი შეიქმნას. ოქროს სიწმინდეს სინჯავენ ქვით, დედაკაცის ერთგულებას—დედაკაცის შემწეობით, წყარო სიბრძნისა.

სოლეიმან-ხანი: (ჩაცივებით უცქერის იუსუფს) წადი, შენი რჩევა კარგია!

ყარა-იუსუფი: (ჰკოცნის დედა-მიწას სოლეიმანის ფერხთა მახლობლად) გაფართოვდეს ჩრდილი შენი, ძეო დესტონისავ. (მიდის. შემოდის ზეინაბი და მოჰყავს რუქაია, ისახარიც მათ მოსდევს უკან)

---

* ოტარიდი, მერკური, რომაელთა ღმერთი ვაჭრობისა, აგრეთვე ღმერთების შიკრიკი.

მთარგ.

VII

ზ ე ი ნ ა ბ ი: მოდი, დადგა ღამე შენის ბედნიერებისა, რუქაია.

რ უ ქ ა ი ა: (შიშით კანკალებს) მეფე-ბატონი სასტიკია და მრისხანე, მეშინიან...

ზ ე ი ნ ა ბ ი: (მიიყვანს მხარ-თეძოზედ წამოწოლილ სოლეიმანთან) მუხლი მოიდრიკე ხელმწიფის წინაშე, ლამაზო, და უამბე ზღაპარი. (სოლეიმანს) მიაქციე სხივი შენის ნათელისა, მეფეთა მძლეო! კოკობი ვარდი ელის მაგ სხივს, რომ გაიფურჩქნოს და გაშალოს თვისნი სურნელოვანი ფურცელნი. (გაივლის ტერასისაკენ და დაჯდება სვეტთან ჩრდილში. ისახარი მიაწოდებს თარს, ჯდება მის ახლოს სვეტის ბალიშზედ და სვეტს გარსა ჰხვევს ხელებს. სოლეიმანი მოაშორებს ჩადრს რუქაიას და ხელს უსვამს თმებზედ. რუქაია მის ფეხ ქვეშ არის მუხლ-მოდრეკილი, ხმა უკანკალებს, ლამაზი პირი-სახე შიშით გაფითრებული აქვს. თვალები ისე უციმციმებს, თითქო ნაპერწკლები სცვივაო).

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: სადაური ხარ? სად დაიბადე?

რ უ ქ ა ი ა: რა მოგახსენო, ბრძანებელო! მახსოვს, პატარა ვიყავ, როცა სამეგრელოში

მომიყვანეს. ხომალდით მოვცურავდით ზღვა-ზედ. მერე იქ ვიზრდებოდი, მთა-ალაგას, ზღვის მახლობლად.

სოლეიმან-ხანი: ვინ გასწავლა ზღაპ-რები?

რუქაია: მოხუცმა დედაკაცებმა. იმათ მასწავლეს სიმღერაცა და ცეკვაც. ყოველ-ვე ვიცი, რაც-კი გასიამოვნებს, ხელმწიფეო. მიბრძანე და გიამბობ, როგორ უყვარდათ ერთმანეთი ქარს—ზღვათა მეფეს და გურიის მეფის ასულს.

სოლეიმან-ხანი: აბა, მიამბე. (ხეინაბი უკრავს თარზედ ნაზსა და გრძნობით აღსავსე ჰანგს აღმოსავლეთის ხასიათისას)

რუქაია: გურიის მეფეს ისეთის შვენე-ბის ქალი ჰყავდა, რომ მთის მწვერვალთა თოვლი მუქი სჩანდა იმის სითეთრესთან, ყორნის ფრთა ნაცრის ფერი იყო იმის თმის ნაწნავებთან შედარებით; ბროწეულის ყვავი-ლი ყვითელი ეგონებოდა ადამიანს იმის მარჯნის ფერ ტუჩებთან. ეკლის ბუჩქთან რომ დახრილიყო, ზედ ვარდები იფინებოდა. როცა ზაფხულობით ზღვაში ბანაობდა, ზღვის ზვირთნი ამბრისა და მუშკის სურნელებასა ჰფენდა. მამაკაცს თვალი არ მოუკრავს მი-

სის პირი-სახისათვის, ასი სამ-თვალა და ორასი ცალ-თვალა მდევი დააყენა მრისხანე მამამ მის მცველად. ნიავთ ნაზი მობერვა უტკრუცავდა ლოყებს. გაჰქროლეს ამ ნიავთ ერთხელ იალბუზის მწვერვალზეღ და უამბეს მისის შვენების ამბავი თვით ქარს, ყოველ ქართა მეფეს, ხომალდების ძლიერს მსხვრეველს. იფეთქა სიყვარულმა მის ახოვანს გულმკერდში. მეფე-ქარმა შეისხა შავი ფრთები და გაექანა ზღვისაკენ. იმ ღამეს ვერც ერთმა ხომალდმა ვეღარ მიაღწია ნაპირს. უზარმაზარი მუხისა და ნაძვის ხეები დაჰგლიჯა და დაუშრიტა თვალები მცველ დევებს, დაბრმავა ქვიშითა და ქვებით, გადაჰგლიჯა მეფის ასულის სასახლის სახურავი, გააშუქა თვისის ფრთების ელვით და დაიბნიდა აღტაცებითა და გულის-თქმით: მეფის ასული იწვა სარეცელზედ, რომელზედაც უცხო, იშვიათ ფრინველთა ბუმბულისა და გერმის ლეიბი ეფინა (მგზნებარედ, თან ეალერსება სოლეიმანს უფრო და უფრო მეტის გაბედვით) რბილი, გიშერივით შავი თმა ზედ ეყარა მისს მარგალიტივით უზადო ტანს. სუნთქავდა ისე, თითქო მთის ყვავილ-ბალახის სურნელებაა

გარშემო მოფენილიო. სიყვარულით დამთვრალმა მეფე-ქარმა ამოისუნთქა, მიმოაბნია ხშირი თმა და დაინახა... (გაისმის ობლად, ცხადად, გაუბედავად დარეკილის ზარის მთრთოლვარე ხმა. სოლეიმანი წამოიწევს ცალ ხელზედ დაბჯენილი, რუქაია შეშინებული ეკვრის სოლეიმანის მუხლებს. სოლეიმანის სახეზედ საშინელი მრისხანება იხატება)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ყარა-იუსუფ! (ყარა-იუსუფი შემორბის შიშისაგან მკვდარივით გაფითრებული) ეს რა ამბავია?

VIII

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: დიდებულო ხელმწიფეო! მხოლოდ ერთხელ ჩამოჰკრეს! კათალიკოზმა დაუყოვნებლივ დაჰგზავნა ყველგან გზირნი... ალბათ, ერთ-ერთმა ვერ მიუსწრო... ხვალ იმათი ალდგომაა...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (დამშვიდებით) ხვალ დილით კათალიკოზის თავი მოიტანე. ისე უნდა იყოს წითლად შეღებილი, როგორც იმათი ალდგომის კვერცხი. ალ-ყურანში სწერია: ისე მოექეცი მტრებს, რომ მაგალითად გამოიყენონ, ვინც მათ შემდეგ იქმნებიანო. გასწი. (წამოწვება ტახტზედ და მიიზიდავს რუქაიას) განაგრძე, რუქაია.

ი ს ა ხ ა რ ი: (ჩუმად ზეინაბს) ეს მეოცე აღ-
დგომაა ასეთი.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (დაიწყებს თარის დაკვრას) უკა-
ნასკნელია ასეთი აღდგომა!

რ უ ქ ა ი ა: (განაგრძობს ზღაპარს) და დაინა-
ხა ლამაზმა მეფე-ქარმა...

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

ოთარ-ბეგის ბაღი გორს ახლო. მტკვრის პირად, მარცხენა ნაპირას.—სცენის სიღრმის ნაწილი უჭირავს კოშკის კუთხეს, რომელსაც ფართო აივანი აქვს ბალის მხრივ. ოთხს საფეხურს აჰყავს კაცი ბაღიდან ამ აივანზე. აივანი დამყარებულია სვეტებზედ, თაღებით გადაბმულზედ ერთმანეთ შორის. კედლებს რკინის კარები აქვს დატანებული, ფანჯრებს-დაჩვრეტილი დარაბები.—სცენის სიღრმეში ვარდისა და აყვავილებულის იასამნის ბუჩქებია.—შორს, წყალ-გაღმა მოსჩანს თრიალეთ-ახალციხის მთები—საციციანო, ტყით დაფარული.—მარჯვნივ ხეივანია, ტალანის მსგავსად, მიდის შორს და უხვევს მარჯვნივ. ხეივანში შესავლის მახლობლად დიდი გამოფუღრული კაკლის ხეა, მის ქვეშ სდგას განიერი ტახტი, ხალიჩა-ბალიშებით დაგებული.—ცხრა თვალი მზე დგას და მალე ჩასვლას აპირობს. 6 საათი იქნება ნაშუადღევისა.

I

ოთარ-ბეგი გამოდის სახლიდან დაფიქრებული და მოღრუბლული.—უკან ბესო მოსდევს, მისი მსახური, გაბედულის და, ცოტა არ იყოს, მოეშმაკო სახისა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ბოლთასა სცემს დაღონებული და დაძმარებული. ბესო ისე სდგას არხეინად, ვითომც

აქ არაფერიაო) რაო, შე ძალლის-შვილო, ე ქუდი რომ წამოგიდვია და ისე მადგეხარ თავზედ? სიცოცხლე მოგბეზრდა, თუ როგორ არის?

ბ ე ს ო: (იგლეჯს ქუდს) თავ-გზა დამებნა, დიდო ბატონო, როცა სპარსი ხარ, ღმერთმა ნუ ქნას, ქუდი მოვიხადო, როცა ქართველი—ღმერთმა ნუ ქნას დავიხურო.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მომართვი ღვინო! (დაჯდება ტახტზედ, კაკალ ქვეშა) თავ-გზა დამებნაო... თვით მე დამებნა თავ-გზა! (ბესო მოდის და მოაქვს შეევრცხლილი კულა ვერცხლის სინით. ოთარ-ბეგი დიდხანს არაკრაკებს კულით ღვინოს, მოითქვამს სულს და უკან აძლევს კულას)

ბ ე ს ო: ამბობენ, კათალიკოზი მოჰკლეს თბილისში განთიადისას, სწორედ ცისკრის წინადაო.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (თავ-პირ-ჩამობნელებული) მოჰ-კლეს. მეფემ ბრძანა, ზარების რეკა არ იყოს ეკლესიებშიო. კათალიკოზმა მაშინვე ყველას შეატყობინა ეს ბრძანება, თავის მორჩილს-კი ალარ უბრძანა, ზარი არ დაერეკა, დაავიწყდა. იმან დარეკა—ერთხელ მოასწრო ჩამორეკა. კათალიკოზი თვითონ ავარ-

და სამრეკლოზედ და ჩამოიყვანა მორჩილი, მაგრამ ამ დროს გაჩნდნენ ჩაფრები და...

ბ ე ს ო: მაშ, ერთხელ ჩამოჰკრა მარტო?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ერთხელ.

ბ ე ს ო: მაგისთვის მოჰკლეს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (სცდილობს მრისხანე სახე მიიღოს) მაშ, როგორ გნებავს?

ბ ე ს ო: (ჩაღუნავს თავს) არა, რახან სიკვდილი აუცილებელი იყო კათალიკოზისათვის, სიკვდილს წინად ბარემ მთლად ზარების რეკა აეტეხნა და ის იქნებოდა.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (უცბად დაიწყებს მაღლა ხმით ჯავრობას, თუმცა ეტყობა, რომ გულით არ ჯავრობს) მე შენ შამფურზედ აგაგებ და ცოცხალს შეგწვამ ღორივით ნაკვერჩხლებზედ. ტომარაში ჩაგსვამ, შიგ კატასა და ძაღლს ჩაგისვამ და წყალში გადაგისვრი.

ბ ე ს ო: შე დალოცვილო, ერთ-ერთი მაინც იყოს, ან ცეცხლი, ან წყალი. მაგრამ შენი ნება არ არის, ბატონო, ყველაფერი?!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მოიტა ღვინო! (დიდხანს სვამს)

ბ ე ს ო: ამბობენ, ბატონო, რომ შენ იასაულებს ძლიერ გაუჭირდებათ ერთი საპანე

ოქროსა და სამი საპანე ვერცხლის მოგროვება. ეკლესიები დიდი ხანია გაძარცულია.

ოთარ-ბეგი: სურამის ურიები? ცოტა ოქრო და ვერცხლი აქვთ?

ბესო: სამი საპანის მოგროვება მაინც ძნელი იქნება.

ოთარ-ბეგი: (წარბ-შერკმით) რასა სტყუი, ბრიყვო?

ბესო: არა ვტყუი, დიდო ბატონო, თითებზედ ვანგარიშობ. (მოკეცავს თითს) ჯერ ჩვენა ვცარცვავდით იმ ურიებს, ვიდრე გავმაჰმადიანდებოდით, ეს ერთი! ოსმალონი სცარცვავდნენ—ეს ორი. სპარსნი სცარცვავდნენ ახლა--ეს სამი. ოქრო კიტრი ხომ არ არის, შე დალოცვილო, გაზაფხულზედ ახალი მოვიდეს.

ოთარ-ბეგი: ხუმრობას თავის დრო აქვს. მათრახი ხომ არ მოგდომებია!

ბესო: ღმერთმა დალუპოს, ვისაც ის უნდოდეს. მე ასე მგონია ჩემის ტუტუცის ჭკუითა და იმიტომ მოგახსენებ. ჯერ ჩვენ ვაძრობდით ტყავს, იმიტომ რომ ქრისტე აწვალეს, ახლა კი ჩვენ უფრო უარესად მოვექეცით ქრისტესა,—ახლა რაღას ვემართლებით?

ოთარ-ბეგი: ბესო!

ბესო: (გაბედვით) მერე ისიც სპარსელების გულისათვის! იმათ სულაც ნება არა აქვთ და! დეე, ურიებმა იმათიც ვინმე აწვალონ, მაშინ მოსდგნენ და სცარცვონ.

ოთარ-ბეგი: მერე ვინ უნდა აწვალონ, ძალლო?

ბესო: აი, თუნდ ყვიციანი სოლეიმანი!

ოთარ-ბეგი: (შეძრწუნებული, ეცემა ბესოს) გაჩუმდი, შე წყეულ-შეჩვენებულო! (პირზედ ხელს მიაფარებს და აქეთ-იქით იყურება) ჩამოგა-ხრჩობ მე შენა!

ბესო: (გაუსხლტება ხელიდან). ახლა კიდევ ექვსი ლამაზი ქალწულია. წინად იყვნენ ჩვენშიც ლამაზები, მაგრამ დიდხანს არ რჩებოდნენ გაუთხოვარნი. მას უკან-კი, რაც მე და შენ ისლამის ნათელი მივიღეთ და ყიზილბაში მეგობრები გავიმრავლეთ ქართლში, რაც საქართველოს გურჯისტანს ვეძახით, ერთხელ ვნახე ერთი გასათხოვარი ქალი, ისიც ელამი, და იმასაც ორი შვილი ჰყავდა.

ოთარ-ბეგი: (ხარხარებს) ოჰ, ბესო, ცუდათა ხარ ატეხილი და, მგონი, ბოლოს ხეირი არ დაგეყრება.

ბ ე ს ო: ვინც პატიოსანია, იმას თავის დღეში ხეირი არ დაეყრება, ბატონო! (ხეივნიდან სირბილით გამოვარდება გაიანე, თან წიოკობს და ხარხარებს; ძალიან ლამაზია, ტანადი, მხიარული ტანისამოსი აცვია აღმოსავლეთის გემოვნებაზედ. პირი მოუბურავი აქვს, თავ-მოსახვევი, ჩიქილასავით წმინდა კისეია ისე აქვს გაკეთებული, რომ მთლად ფრიალობს მის სირბილის დროს)

II

გ ა ი ა ნ ე: ვერ მიპოვი, მაიკო, ვერ მიპოვი! (კისკისებს) მამა! (გაქანებული მოეხვევა მამას და ჰკოცნის იმ დროს, როდესაც ის-ის არის უნდა ღვინო დალიოს)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: შენ საიდან გაჩნდი? (ბესოს) გასწი აქედან! (ბესო მიდის)

გ ა ი ა ნ ე: მამა, მაიკო გაგიყდა. ჩამციებია, პირ-ბადე გაიკეთეო, თითქო ახალციხელი თათრის ქალი ვიყო. დაუყენებიათ ჩემ კარებ წინ ვილაც გასივებული მახინჯი წიწინა ხმითა,—მინდოდა ბალში გამოვსულიყავ, გაუშლია ხელები ასე, რალაცას ბურტყუნებს, ალბათ, სპარსულად თუ. კინალამ სიცილით მოვკვდი. მინდოდა ხელი მეკრა, მაგრამ ისეთი სასაცილო უშნო სახე ჰქონ-

და... გიჟივით ხარხარი დავიწყე... ფერდები მეტკინა სიცილით. უჰ, ახლაც-კი მეცინება, რომ მაგონდება (ხარხარებს)

ოთარ-ბეგი: (სცდილობს სასტიკი მეტყველება მისცეს სახეს) როგორ არა გრცხვენიან, გაიანე, მაგოდენა ქალი ხარ და ისე იქცევი, თითქო... თითქო პატარა გოგოაო...

გაიანე: ნეტა გენახა, მამა... (აჯავრებს საჭურისს ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრას) აბა-ლა-ბა-ლა-ბა-ლა... ლოყები-კი უთრთოლავს, თვალები ისეთი აქვს, თითქო პაწია სოროებიაო... (თვალებსა სჭუტავს) ა-ბა-ლა-ბა-ლა-ბა-ლა. უჰ, ქრისტე ღმერთო ჩემო... (კისკისობს. უცბად დადინჯდება და გაჯავრებით) სანამ მე ვიცინოდი და ვხარხარებდი, აიღო და კარები დამიკეტა. წარმოიდგინე, მამა, ვარახუნებ, ვყვირი, ვჯავრობ... ერთი შემოსულიყო ჩემთან, მე ვაჩვენებდი, როგორც უნდა დაკეტვა კარებისა ჩემ წინ, თავადის ასულ გაიანეს წინ! (თავმომწონედ შეიპრის წარბს და მრისხანებით იხედება აქეთ-იქით. ოთარ-ბეგი შესცქერის გამოუთქმელის გულის ტკივილით და აღტაცებით) ისე გავჯავრდი, ისე, რომ დამძინებოდა. მერე იმდენი მეძინა, იმდენი... სიზმარ-

ში ვნახე, ვითომ ვზივარ ცხენზე იქ, ჩვენსა, შინდას, და მივაქროლებ, მინდა დავეწიო ირემს... ვითომ ირემიც სულ ახლო-ლაა, სულ ახლო, აგერ თითქმის დავეწიე კიდეც და უცებ ჩემ ცხენ წინ ის გასივებული ბა-ლა-ბა-ლა-კი გატყვრება, ცხენი გახტება განზედ... ისეთი შევხტი... უცებ გამომელვიძა და ვყვირი: გელაშ, სტაცე პირი... ჩემი საყვარელი მწევარი როა, ხომ გახსოვს, შავი, შავი... ძლიერ რომ აქებდი ხოლმე... ვიყურებ, არც გელაშია სადმე, არც ირემი, ბებერი მაიკო კი ზის ჩემ გვერდით... მოვიფშვნიტე თვალები, მაინც ვერაფერი ვერ გამიგია. მაიკო-კი მოჰყვა ჭიანურივითა. (აჯავრებს) ჩემო სასურველო, ახლა დედოფალი უნდა გახდე, პირბადით უნდა იარო, მამაშენმა ბრძანა—ახლა-კი ალარ უნდა ირბინო, დინჯად უნდა იარო, სახლში უნდა იჯდე, უნდა... ვუყურე, ვუყურე და ფანჯარაში კი შევხტი უცბად: ვხედავ, ძლიერ მაღალია კედელი, იქვე კი ბებერი კაკლის ხეა. მაიკომ ვერც-კი მოასწრო შეეყვირნა, რომ ვიხტუნე და კაკლის ტოტზე-კი მოვექეცი. მაიკოს დავუყვირე, აბა, ახლა დამიჭირე-მეთ-

ქი. ჩავცოცდი იქიდან, ხეივნიდან ხეივანში გავძვერი, ბუჩქი ბუჩქზედ შემოვირბინე კურდ-ღელივით, როცა მწევარს უსხლიკუდებს ხოლ-მე, გზა-კვალი აურიოვო, და შენთან კი გავჩნდი. (ეხვევა) შენ უბრძანე ვისმე, რომ არ გაგიშვან ხოლმე კარში? შენა? ტყუილია! მაიკო რაღად ამბობს მაშა, რომ დედოფალი იქნებიო? რა არის მაგისათვის საჭირო? ჩქა-რა გავხდები დედოფალი? მართალია, რომ შენ ვითომ მეფეზე დიდი ხარ აქა? რა არის, რომ ხმას არ იღებ, სულ გაჩუმებული ხარ?

ოთარ-ბეგი: დედოფალი იქნები, გაია-ნე. მთელის ქვეყნიერობის ბრძანებელი!

გაიანე: უჰ, რა კარგია!

ოთარ-ბეგი: მაგიტომ საჭიროა მხოლოდ, რომ მე მემორჩილებოდე, ჩემი გეყურებო-დეს, გაიანე. შენ ახლა ქალი ხარ და არა ბიჭი. უნდა მოიშალო ცხენზედ ჯდომა და ჭენება თავგადადებით, ითქო ჩერქეზია და ნადირობსო.

გაიანე: მაშ, რა საჭიროა დედოფლად ყოფნა, თუ ნადირობა არ შემეძლება?

ოთარ-ბეგი: ეჰ, შენ ჯერ კიდევ ჭკუა არა გაქვს, გაიანე! რა საჭიროა! (დაიწყებს უცებ

ყვირილს) მე მამა ვარ შენი თუ არა? ვინ გასწავლა ეგა, რომ ერთს ჩემს სიტყვაზედ ასი უნდა მომახალო? მამა ვარ თუ არა (გაიანე შეშინებული უკან დაიწევს და გაოცებულის თვალებით უცქერის მამას. ყოველსავე დანარჩენს ოთარი ამბობს თანდათან ხმა-დადაბლებით და ბოლოს ისე უდაბლებს ხმას, თითქო ყელშიჭეცობა რამე და აღრჩობსო, თითქო ქვითინს იკავებსო) მაიკომ ხომ გითხრა, რომ ჩემი ბრძანებაა სახლში იჯდე, პირ-ბადე ჩამოიფარო ხოლმე, შენ-კი...შენ ფანჯრიდანა ხტები. რაო, ფრინველი ხარ, თუ რა არის, რომ ხეებსა და ბუჩქებზე იფრინო?

გ ა ი ა ნ ე: (დიდივით) არა, ფრინველი არა ვარ, მაგრამ კარ-ჩაკეტილ ოთახში კი არ დავდგები! ეგ პირ-ბადე... იმიტომ გავიკეთო, რომ სუნთქვა აღარ შემეძლოს? ეგა... ეგა... აი, აჰაა, შენი პირ-ბადე! (ჰფხრეწს)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (გაოცებული მუხლებზე ხელებს იცემს) ჰაი, შე... როგორა ჰბედავ შენა?!

გ ა ი ა ნ ე: მე მკვდარი არა ვარ! პირ-ბადეს მკვდრებს აფარებენ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (სცდილობს მრისხანე მეტყველება მისცეს სახეს, მაგრამ უნებლიეთის აღტაცებით შეჰყურებს) ხელ-ფეხს შეგიკრავ! სარდაფში ჩაგაგდებ, საცა თაგვები არიან!

გ ა ი ა ნ ე: რადაო? სარდაფში ჩაგდებას, აიღე და მომკალი. (ერთმანეთს უცქერიან)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ხანგრძლივის დუმილის შემდეგ) კარგია, კარგი, ჯიუტობას თავი დაანებე, უარშიო ნუ იქნები, მოდი აქა, გაიგონე, რაც გითხრა.'

გ ა ი ა ნ ე: (არ მიდის) მითხარი.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: აი, გაიანე, შენ რომ მკითხე, მართალია თუ არა, რომ მეფეზედ დიდი ხარ აქაო? დიდი არა ვარ, მაგრამ ყველაზე ძლიერი-კი ვარ ჩვენს თავადებში. მერე რადა? იმიტომ რომ მუდამ ჭკვიანურად ვიქცევი, მუდამ ვზრუნავდი, რომ კეთილ ცხოვრებაში ვყოფილაყავ და აი ხომ ხედავ, რა კარგადა ვცხოვრობ! გახსოვს პაპაშენი, მუხრანბატონი? სად არის ახლა საწყალი მოხუცი? იმერეთში სცხოვრობს და სხვის სამადლოდ არის გამხდარი. გულბაათ ციცი სადღაა? სიკვდილით დასაჯეს. ორბელიანი, სემბატი სადღა არიან? უსავანოდ, უსახლ-კაროდ დარჩნენ და მთებში ავაზაკობენ. სხვები? რიგი გაღატაკდა, რიგი მსახურობს და სულ კანკალობს შიშით, თავი არ გამაგდებინონო... ვსთქვათ, ხან-და-ხან ვეც-კი... მაგრამ ეს რა

შენი საქმეა... სამაგიეროდ, თუ განვრისხდი, შემიძლიან ყველა დავალრჩო წყალში, ჩამოვალრჩო თოკით, სიკვდილით დავსაჯო! როგორ ვგონია, ეს ცოტაა? მერე, რად მოჰხდა ასე? იმიტომ რომ მეფესაც ვუყვარვარ და დედოფალსაც. დედოფალიც—აი, წაგიყვან იმასთან—მუდამ პირბადეს ატარებს, როცა სხვები არიან სახლში. ასეა, დედაკაცისათვის სირცხვილია, რომ თავის პირისახეს სხვას აჩვენებდეს.

გ ა ი ა ნ ე: რად არის სირცხვილი? ჩვენ თქვენზედ ლამაზები ვართ. თქვენთვის ხომ არ არის სირცხვილი? მერე, რანაირი სახე გაქვთ ხოლმე კაცებს, ქრისტე ღმერთო ჩემო!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: რა არის, სულ ქრისტე და ქრისტე?! ღმერთი ერთია ყველასათვის: ჩვენთვისაც... შენთვისაც... ყველასათვისაც... ალლაჰი. თქვი ხოლმე, ალლაჰი-თქო!

გ ა ი ა ნ ე: (წყენით) თათარი ხომ არა ვარ, რა ვქნა?!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (დაიწყებს ყვირილსა და ჯავრობას) რაო, ბერი ხარ, თუ რა არის, რომ ახლა მაგაზედ დაიწყო სჯა. როგორც გიბრძანებ, ისე ილოცე.

გაიანე: უჰ, მამა, ეგ არ შემიძლიან. ღმერთი ყველაზედ დიდია, მამაზედაც-კი. ჰკითხე, აბა, მაიკოსა. ძლიერ მიყვარხარ, ცხენიც შენ მაჩუქე, მწევრებიცა, აი ეს ლამაზი კაბაცა, ეს ყელ-საბამიცა, ყველაფერი... მაგრამ ღვთისა-კი მაიკომ შენზედ კარგად იცის.

ოთარ-ბეგი: (ღრიალებს) როგორ? ჩემზედ კარგად? ვინ იცის ჩემზედ კარგად?

გაიანე: (მტკიცედ) ვინა და მაიკომ. მუდამ იმას მეუბნება: კაცის საქმე ომიაო. აი, მამაშენი, სახელოვანი სარდალია, მხედართ-მთავარიო. იმას ლოცვისათვის არა სცალიანო. ჩვენ-კი, ქალები, ჩვენთვისაცა ვლოცულობთ და კაცებისათვისაცაო. აი, საბა-ბერი, წმინდა კაცია, თუმცა მონადირეც არის. ძალლიცა ჰყავს უბრალო, სულ უბრალო, მაგრამ ისეთი მალია, ისეთი სწრაფი როგორც ელვა.

ოთარ-ბეგი: სადა ჰნახე ეგ საბა? საიდანაო?

გაიანე: აქეთ-იქით დადის. თავისი ეკლესია ჰქონდა. ჰო, ღმერთმანი! ეკლესია დაუწვეს. ახლა სახლი არა აქვს და დადის აქეთ-იქით. ის ამბობს: საცა უფალი იესო-

ქრისტე მიიხედავს, იქ ეკლესიაც გაჩნდება, მხოლოდ ჩვენ ვერ დავინახავთო. იმიტომ რომ ცოდვილნი ვართო. ეხლა ისეთი დროა, როცა უნდა ვთხოვოთ უფალსა, რომ ხშირად მოჰხედოს ხოლმე საქართველოსა, იმიტომ რომ ჩვენებმაც დაივიწყეს თავისი ღმერთი და სპარსელებს მიჰყიდეს ან ფულის გულისთვის, ან შიშითაო. მერე შენ რად აძლევ ამის ნებას? საბა, საცა დადგება ბინად, მაშინვე ამოიღებს წიგნს, ხელსახოცს გაშლის ქვაზედ, ან კუნძზედ და ლოცულობს. ოჰ, ძალიან გულადია. ერთხელ გზა დამეკარგა, ჩამოვრჩი ჩემს ბაზიერებს, უცბად გარეული ლორი გამოვარდა—უშველებელი, საშინელი, მთლად დინგი ქაფითა ჰქონდა მოთხუპნილი. ჩემი ცხენი ყალხზე შედგა და გადმომაგდო. ვამბობ გულში, ახლა-კი დაიღუპე გაიანე-მეთქი! ვნახოთ, საბა-კია აქვე. დაჰკრა შიგ ამაში დანა. (გულს უჩვენებს) ლორმა ქვეშ ამოიდო, მაგრამ ამ დროს წამოვხტი და მივეშველე. საბა ხშირად შემოვა ხოლმე ჩვენსა შინდას. შენი-კი ეშინიან, თუმცა ვუთხარი, მხოლოდ ყვირილი იცის, თორემ ხელს არავის დააკარებს-მეთქი.

ოთარ-ბეგი: ჩუმად! (ბოლთასა სცემს დიდად შეფიქრიანებული და დარცხვენილი) გამიგონე, გაიანე! ეგ ნადირობა, ეგ ბერ-მორჩილნი—ყოველივე გათავდა, ზეგ თბილისში მიმყევხარ, და თუ მეფესა და დედოფალს მოეწონე, ირანს გაგგზავნიან, მეფეთ-მეფესთან, თვით ფადიშასთან. ფადიშა ცოლად შეგირთავს და თვითონ შენ იქნები დედოფალი ირანისა და საქართველოსი, ქალბატონი მამა შენისა.

გაიანე: (ყურ-აცქვეტილი) ირანის დედოფალი? ფადიშას ცოლი? სად არის ირანი? ვინ არის ფადიშაი? არ მინდა... არ მინდა...

ოთარ-ბეგი: (აჩქარებით) ოქროს სასახლეში იცხოვრებ, სულ აბრეშუმი და ხაევრდი გერტყმება გარშემო, ასობით მხევალნი შენ ფეხ-ქვეშ იქმნებიან გართხმულნი და შენს ბრძანებას დაუწყებენ ლოდინს, მარგალიტივით შადრევნები იჩუხჩუხებს შენს ბაღში, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ვარდო!

მაიკო: (სცენის იქიდან ხეივნიდან) გაიანე, ჩემო გვრიტო... გაიანე, სადა ხარ...

გაიანე: (ჩიტივით შეფრთხიალდება) ოჰ, მაიკო! არ უთხრა, რომ დამინახე. (გარბის და

ბაოცებული ოთარ-ბეგი ისე რჩება, რომ სიტყვა „დაიცადე“ ნახევარი ძლივს მოასწრო ეთქვა)

ოთარ-ბეგი. ყველას ეშინიან ჩემი... მარტო ამას არ ეშინიან! ოჰ, უმჯობესი იქნებოდა ჩემთვის... (ხეივნიდან შემორბის გულამოვარდნილი, ქასქასით მოხუცი მაიკო. შავი კაბა აცვია, ტან-მორჩილია და საკმაოდ სრული. თეთრი ჩადრი ასხია)

III

მაიკო: გაიანე, გაიანე... ოჰ, დიდო ბატონო!

ოთარ-ბეგი: (უნდა დაჰმალოს მღელვარება და ჰყვირის) ასე უგდებ ყურს ყმაწვილ ქალსა, მოხუცო? როგორ გაჰბედე და გამოუშვი კარში!

მაიკო: ფრთები ხომ არ მასხია, ბატონო, რომ მაგის დაწევა შემეძლოს. სად არის, ვენაცვალე, ჩემი მტრედი. გეყო ცელქობა, ფთხრიალი, ახლა გალიაში უნდა ჩაგსვან, ჩემო ჩიტო, ჩემო წითელო ვარდო. (ტირის)

ოთარ-ბეგი: გაიქეცი, ასე გარბოდა. და თუ კიდევ გამოგიშვია, მე შენ...

მაიკო: (ტირილით) ჩემო ჯავარიანო ზურმუხტო! სადა ხარ, გაიანე, გაიანე! (ბიდის და

კიდევ დიდხანს ისმის უკვე შორს წასულის ძახილი) გაიანე!..

ოთარ-ბეგი: არა, უნდა გათავდეს ესა. ბესო! (შემოდის ბესო)

IV

ოთარ-ბეგი: არაფერი ამბავია სურამიდან?

ბესო: ჩაფარი ჩამოიჭრა. საპანეები მოდის. მიკვირს და გამკვირვებია. მართალს ამბობს ანდაზა: თუ ხელი მაგრა მოუჭირა კაცმა ქვასა, წყალს გამოადენსო. ანანურიდან კიდევ სამი ცხენი მოიყვანეს, ან კი საიდან გამოსთხარეს იმისთანა რაშები? გასათხოვარი ქალები-კი ჯერ არა სჩანან, ბატონო. აკი მოგახსენე, საქალეთი ამოვარდა-მეთქი.

ოთარ-ბეგი. ეგ სულ ერთია. შენ დატრიალდი, რომ ჩარდახიანი ურმები გაჰმართონ, დარაჯნი და ცხენები მზად იყვნენ, უთენია უნდა წავიდეთ თბილისს. სად არის ცხენები? ვარგანან?

ბესო: (აღტაცებით) ფასი არ დაედებათ!

ოთარ-ბეგი: (გახარებული) ვინ იშოვა, ჩაფრებმა?

ბ ე ს ო: არა, ბატონო, ჩვენმა კაცებმა მოიყვანეს. ერთი მოხუცებულია, ცალ-თვალა, სხვები ახალგაზრდები არიან. მოხუცებულს შენი ნახვა უნდა, დიდო ბატონო, გთხოვს, ჯერ ნუ ჰნახავს ცხენებს, სანამ არ დავასვენებთო. ცალკე თავლაში დავაბმევინე, თვალი არა ჰკრანო, ეშინიანთ. სულ ექვსნი არიან, სამნი ცხენებთან დარჩნენ, მოხუცი და ორი ახალგაზრდა თქვენის ნახვის დასტურს ელიან.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (მარტო, ღრმად ამოიოხრებს და ფიქრებში წასული ნელ-ნელა მიდის აივნისაკენ) ოჰ, ოჰ, ოჰ! (სცენის სიღრმიდან შემოდიან ბესო, გლახა ანანია და მათ უკან მოსდევენ ერეკლე და დათო.)

V

გლახა-ანანია—ცალის თვალით ბრმა, მოკლე ჭალარა-შერთული წვერი აქვს და დიდი ულვაშები, თმა ირგვლივ შემოკრეჭილი პატარა კიკინებ-დატანებული. ერეკლე თეთრ-ყირმიზის საბისაა, მიბნედილი ნაცრისფერი თვალები აქვს, წვერ-ულვაში—ახლად ამწვანებული. დათო შავგვრემანი ბიჭია და მოშავო პატარა წვერი აქვს.

ა ნ ა ნ ი ა: (იხდის ქუდს და სალამს აძლევს ოთარ-ბეგს) გამარჯვება დიდს ბატონს!

ბ ე ს ო: (ანანიას) ე ქუდი დაიხურე, ემანდა, ბრმა ქოფაკო, თქვენ ხო კაცი რიგიანს ვერაკ გასწავლით. (მიდის სახლში)

ა ნ ა ნ ი ა: (უკმეხის კილოთი) ჩვენის ბატონის განსვენებული მამა გაჩვენებდა შენა, როგორ უნდა გელაპარკნა იმასთან ქუდ-დახურულსა!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: სადაური ხარ, კაცო? ვინა ხარ?

ა ნ ა ნ ი ა: ანანურელი გახლავარ, შენი ჭირიმე, სოფლის მამასახლისი. მეტ სახელად გლახას მეძახიან. თქვენი გზირი გიახლათ და ბრძანება მოგვიტანა, ამ სამ დღეში "სამი ცხენი და სამი ყმაწვილი ქალი იშოვეთ და მოგვართვეო. ცხენები ისეთები მოგართვი, რომ ადამიანის თვალი უკეთეს ვერას ჰნახავს; ქალები-კი არ გახლავან, ბატონო. ვინც პატარა რიგიანი იყო და თვალში ჩინი ჰქონდა, შარშან წაასხეს თბილისსა და ვინც უნასი იყო, თქვენმა ჩაფრებმავე დაირიგეს მაშინვე.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (მრისხანედ, წარბ-შერჭმული) რაებს მიედ-მოედები, ბებერო!

ა ნ ა ნ ი ა: შენს გზირებსა ჰკითხე, დიდო

ბატონო. მე ნუ დამიჯერებ, შენი ჭირიმე. გარშემოც კი არსად არ არის პატარა რიგიანი გოგოები. მინდოდა დამექორწილებინა ე ბიჭები და საპატარძლოები ვერ ვიშოვე. უცოლონი დარჩნენ. აგერ მოგართვი და შენს ნებაზედ იმსახურე. ოდესმე მეც მამა შენს ვემსახურებოდი და ახლა შენთვის შვილები დავზარდე. მინდა გემსახურონ თავიანთ ჯანითა და ვაჟკაცობითა. (თავს უკრავს)

ოთარ-ბეგი: (სიამოვნებით ათვალიერებს ყმაწვილ-კაცებს) შენ რა გქვიან, ეი, უფროსო!

დათო: (ქუდს იხდის) დათო, შენი ჭირიმე.

ოთარ-ბეგი: შენ... დაიცა! ეს შენი შვილია, მოხუცო?

ანანია: (დააცქერდება ცალის თვალით ოთარ-ბეგს) შვილი გახლავთ, შენი კვნესამე.

ოთარ-ბეგი: (თვალი ვერ მოუშორებია) ღვიძლი შვილია?

ანანია: ღვიძლი შვილი გახლავს, ბატონო.

ოთარ ბეგი: შეუძლებელია!

ანანია: (პირ-ღიმილი მოსდის) ჩემ-ბებერ დედაკაცსა ჰკითხე, ბატონო. იქნება გამოგიტყდეს რაშიმე. მე კი მაჯერებდა, შენიაო.

ოთარ-ბეგი: რა გქვიან შენა, პატარა?

ერეკლე: ერეკლე, ბატონო.

ოთარ-ბეგი: რამდენის წლისა ხარ?

ერეკლე: ოცდა მეორეში გადავდექი, შენი ჭირიმე.

ოთარ-ბეგი: (ანანიას) ქრისტეანი ხარ, მოხუცო?

ანანია: ჯერ ისევ მამიშენის ხელში ვარ მონათლული, ბატონო.

ოთარ-ბეგი: გიცნობთ, რაც შვილები ბრძანდებით ანანურელები. ხუცესნი რომ გყავთ იქ ჩუმად, ბინას რომ აძლევთ ჭეშმარიტის სარწმუნოების მტრებს. ეგ ბიჭებიც ქრისტეანები არიან?

დათო და ერეკლე: ქრისტეანები გახლავართ, ბატონო.

ოთარ-ბეგი: ჰოდა, რაც სარწმუნოებას ადგას ბატონი, მისნი მსახურნიც ამ სარწმუნოებაზე უნდა იდგნენ. შენს ბებერს სულს, სულ-ერთია, აღარა ეშველება-რა. და ან-კი რა საჭიროა, რომ შენისთანა ვიგინდარათი გაავსოს დიდებულმა წინასწარმეტყველმა სამოთხე! თქვენ-კი, ახალგაზრდა ვაჟკაცებო, ხვალვე მიიღებთ მაჰმადიანობას.

ერეკლე: არა, ბატონო!

დათო: შეუძლებელია, შენი ჭირიმე. დედამ დაგვაფიცა, რჯული არ გამოიცვალოთო. არ შეიძლება, ბატონო.

ოთარ-ბეგი: (კოპებს შეიკრავს) ასიოდე მათრახი რომ მოგხვდება გვერდებში, მაშინ შეიტყობ, რომ შეიძლება.

ერეკლე და დათო: (ერთად) შენი ნებაა, ბატონო, მაგრამ არ შეგვიძლიან-კი.

ანანია: (შვილებს) ჩუმად ეყარენით ემანდა, თქვე საძაგლებო! როგორა ჰბედავთ და ეურჩებით დიდის ბატონის სურვილსა? ჩვენზედ კარგად იცის, რომელი რჯულია კარგი და რომელი ავი! თუ უარი სთქვა თავის მამა-პაპისა და თავის ქვეყნის რჯულზედ, სჩანს, რომ ამისმა სვინიდისმა აგრე მოინდომა. (გულში ხელს იცემს) სვინიდისი! გესმით, თქვე სულელებო, რა არის სვინიდისი? მე თვითონაც გამოვიცვლიდი, დიდო ბატონო, ჩემს რჯულს... რა სარგებელი გვაქვს? ზარალის მეტი არაფერია. ერთი ორადაც მეტს გვახდევინებენ, ძალლებივითაც გვცემენ, სხვა ხეირიც არა გვაყრია-რა... გესმით, სულელებო? გამოვიცვლიდი, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს,

განსვენებულს მამაშენს რა პირით შევხვდე იმ სოფელში? ხომ პირში ჩამაფურთხებს და მეტყვის: ვაი, ანანია, რომ მეორე თვალი სპარსელებმა გამოგთხარეს, როცა ჩემს გვერდით იბრძოდი, თორემ თვალებშიც ჩაგაფურთხებდიო. აი ასე მეტყვის! როგორ არა გრცხვენიანო, მეტყვის, შენ სამოთხეში ხარ ყიზილბაშებთან ერთად, მე-კი ჯოჯოხეთში ვიტანჯებიო. და თუ-კი ჩემი ძველი ბატონი ამას მეტყვის, მე სამოთხეც აღარ მინდა მაშინა. რა თავში ვიხლი სამოთხეს, თუ განსვენებული მამაშენი...

ოთარ-ბეგი: (გაჭარხლებული სირცხვილითა და სიბრაზით) რას ჩააცივდი მამა ჩემსა, შენ, ეი, ბრუტიანო?

ანანია: როგორ არ ჩავაცივდე, დიდო ბატონო, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე იმის მზესა და მთვარესა ვფიცულობდი, მაშინ სხვა მართლ-მორწმუნენი გვასხდნენ თავზე—ახალციხელნი. იმათგანაც ალლაჰი და მაჰმადი გვესმოდა, მხოლოდ, ალბათ, ისინი არა, რომელნაც სპარსელებსა ჰყავთ. დიაღ, იმას მოგახსენებდი, შენი ჭირიმე, რომ მამაშენმა თავი მიანება ყველაფერსა,—ვენახსაც, სახლ-

ჯარსაც, დოვლათსაც და საცხოვრებელსაც, შეგვკრიბა ჩვენა და გავვარდით ტყეში... აიგერა, ჰხედავ, აის მთები რომ მოსჩანს ლურჯათა... გაიგებდა თუ არა, ოსმალთ ჯარმა ესა და ეს სოფელი დაარბიაო, მაშინათვე უყელავდა წინა, გადუჭრიდა გზასა და, როგორც შავარდენმა დაჰქროლოს ყვავებსა, ისე დაეტეოდა ხოლმე, ტყვეებს წაართმევდა, ოსმალთ ამოსწყვეტდა, რაც რამ საუნჯე ებადათ, მოსტაცებდა და ნადავალს დარბეულთ დაურიგებდა ხოლმე.

ოთარ-ბეგი: მერე რატომ არ მახსოვხარ?

ანანია: სად გეხსომები, ბატონო! ათასი ფიქრი და ზრუნვა გაგიჩნდა, მეც მოვხუცდი. სოლეიმანმა-კი, რომ გვძლია თბილისის მახლობლად, მაშინ შორს არ ვიყავ შენგან.

ოთარ-ბეგი: (აცქერდება) დაიცა... დაიცა... თითქოს მეცნობა შენი სახე... სად იყავ მერე, როცა მე...

ანანია: (სიტყვას აწყვეტინებს და ჩაფიქრებით) როცა შენ ჯერ ისევ ჩვენსკენ იყავ და ებრძოდი წყე... ჩვენს დღევანდელს ბატონებს? ეგ ხომ მცირე ხანი იყო. ორიოდე წელი-

წადს... დაჭრილ-დაკოდილი ვეგდე მაშინ, ბატონო, წყლულები აღარ დამიშუშდა გვიანობამდე. საქმეც გამიჩნდა, ძლიერ დიდი საქმე. იმერეთში-კი რო წახვედი და შენი განსვენებული მეუღლე ჩაიკეტა შენს ციხედარბაზში, იმის მეომრებთან, როგორც იყო, მივფრატუნდი... და ჩემის თვალით ვნახე, ჩვენმა დიდებულმა მეფე სოლეიმანმა როგორ აჰკუწა უმწეო დედაკაცი, როცა შენი ციხედარბაზი აიღო იერიშით. ეჰ, ვნახე, რომ შეელა არა შემიძლიან-რა... ავდექი და გამოვეცალე ძაღლებს... ოჰ, რას ვამბობ, ჩვენს ბატონებს—და წავედი... ჩემს საქმეებს მივხედე.

ოთარ-ბეგი: კმარა, ყბედი ყოფილხარ, ბებერო.

ანანია: ცხოვრების გზა გავლილ, ბატონო, და სიკვდილმა კი დამივიწყა. საქმის კეთების თავი აღარა მაქვს და იმიტომ ყბედობა დამჩემდა. თქვენ-კი, ლაწირაკებო, ბატონის ურჩობა არ გაჰბედოთ, ორი რჯული გამოიცვალა და თქვენზედ უკეთ იცის, რომელიც უკეთესია.

ოთარ-ბეგი: ხმა გაიკმინდე! ხვალა ვნა-

ხავთ. ამიყვანიხართ სამსახურში, მაგრამ ყოჩაღად-კი უნდა იბრძოდეთ.

დ ა თ ო: მე, ბატონო, ომში ნაცადი ვარ და გაბედვით ვიცი ბრძოლა. მამას რომ არ ებრძანებინა, ჩვენ ცხენებს თვალითაც ვერ დაინახავდი, თუნდა ოცი გზირიც გამოგეგზავნა. (მამა გადახედავს, დათო კილოს იცვლის) არ ვიცოდი, დიდო ბატონო, თუ ის კაცები თქვენები იყვნენ. მეგონა სპარსელნი არიან, მეთქი თბილისიდან. შენ-კი, მე და ჩემი ძმა, ერთგულად და მამაცად გემსახურებით, ჩვენის გულ-მკერდით დაგიფარავთ მტრებისაგან, დიდებულო მხედართ-მთავარო. ასე გვიბრძანა მამამა. (თავს უკრავს)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (სიამოვნებით შესცქერის ჭაბუკთ) მეც ბეყვარებით, ჩემო შვილებო.

ე რ ე კ ლ ე: ეს-კი არის, ბატონო... (დაირცხვენს და დადუმდება).

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (შეეტრეოლდება იმის ხმაზე და თავისთვის ამბობს) პირ-წავარდნილი მეფე თეიმურაზია. (ხმა-მაღლა). რა არის, ერეკლე?

ე რ ე კ ლ ე: (ნაზის წკრიალა ხმით) ჩვენების დასარბევად ნუ გაგვგზავნი მხოლოდ. ჩვენ გვინდა შენ გახლდეთ და გფარავდეთ.

ა ნ ა ნ ი ა: (ერეკლეს) ხმა გაიწყვიტე, ლაწირაკო! აი, ბატონო და ხელმწიფეო, წადი და მოიარშე ეგენი, მაგათი თავი აღარა მაქვს. ასჯერ მითქვამს, ისწავლეთ, თქვე სულელებო, ჩვენის დიდებულის ოთარ-ბეგისაგან, როგორ უნდა ჩვენს დროში ცხოვრებამეთქი. ოთარ-ბეგმა ჩვენის ბატონის გულისათვის, მეფე-სოლეიმანისა და ფადიშასათვის, თავის ღვიძლ ბიძას ალყა შემოარტყამეთქი და ბრძოლაში მოჰკლა, ორს თავის ბიძაშვილს ლამის სული საპატიმროში ამოართვას-მეთქი, სიმამრი იმერეთს განდევნამეთქი.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (შერცხვენილი, მრისხანებით) კარგია, კმარა, კმარა...

ა ნ ა ნ ი ა: (განაგრძობს) ეგ რა არი-მეთქი, რო ბიძა, სიმამრი, ბიძაშვილები... მთელს ქართლში ბავშვებს. იმითი აჩუმებენ-მეთქი, რომ ასე აშინებენ: ოთარ-ბეგი მოდისო! აი, მხედარი ამისთანა უნდა-მეთქი! მაგის ხსენებაზე ყველას გული უსკდება-მეთქი. კადიშაცა და სოლეიმანიც ამისათვის ეალერსებიან, ანებივრებენ და ბატონობაც უბოძეს ჩვენიმეთქი. სხვა თავადიშვილნი სად-ღა არიან?

ყველანი დაიღუპნენ, ნადირებივით ტყეში დაძრწიან, გადაცვივდნენ, გადაიხვეწნენ, მონობაში ამოსდით-მეთქი სული... რისთვისა მერე? იმისთვისა, რომ იმოდენა ჭკუა არა ჰქონდათ, თავის დროზედ ეთქვათ—ლაილაილ-ალლა და ტყავი გაეძროთ იმათთვის, ვის ტყავის გაძრობასაც მეფე უბრძანებდა. ასწავლე ჭკუა, დიდო ბატონო. ჩვენ ყველანი ყმები ვართ შენი.

ოთარ-ბეგი: (ისე ისმენს, თითქო სილებით ლოყები აუწითლესო და უცებ დაიწყებს ყვირილს). შენ, ეი, ბებერო მელა, შენის ზღაპრებითა და მლიქვნელობით მე ვერ მომატყუილებ. გამოიყვანე შენი მოყვანილი ცხენები, თუ ერთი მაინც უვარგისი აღმოჩნდა, მაგ დაცხავებულს ტყავს გაგაძრობ და თაქალთოს გავაკეთებინებ იმათთვის. (მიდის სახლში)

ანანია: (აჩქარებით და ჩურჩულით) აქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერეთ, შვილებო. გაიგეთ, სად ყარია, შესავალ-გასავალი. შეიძლება დაგვჭირდეს ყოველ. ამის ცოდნა. დათო, ასე გამოიარე. ჩქარა! ფეხები უკან ნუ გრჩება, არ შეგამჩნიონ. ერეკლე, სახლს გარს შემოუარე. (მიდის)

VI

ერეკლე: დათო, გული მიჩქროლავს, თითქო რალაც უნდა მოჰხდესო.

დათო: (უდარდელად) შენი ხმალი და ჩემი კისერი. რისა გეშინიან, ძმაო, ორივეს ვერავინ მოგვერევა.

ერეკლე: შიშით არ მეშინიან, მაგრამ სხვანაირი სიზმარი ვნახე წუხელ, ვითომ წმინდა გიორგიმ გული გამიგმირა თავის შუბითა.

დათო: (სიტყვას ართმევს) შენი დარდი აქვს სწორედ წმინდა გიორგის! სახლს შემოუარე გარშემო, სინამ არავინა სჩანს, სიზმრები-კი ბებერ დედაკაცებს უამბე. მე მაგათი ახსნა არ ვიცი. გასწი!

ერეკლე: მალე მოდი. (მიდის იქით, საითაც ანანია წავიდა. დათო მარჯვნივ მიდის, წინ გაიანე შემოეფეთება)

VII

გაიანე: (უცბად შეჩერდება და უცქერის დათოს). შენ ვინა ხარ?

დათო: (დარეტიანებული, ხარბად, გაოცებით და გულისთქმით უყურებს და სდუმს, უსაზღვროდ აღტაცებული)

გ ა ი ა ნ ე: (ძალიან მოეწონება დათო) მუნჯი ხარ?

დ ა თ ო: ოთარ-ბეგის მეომარი ვარ. შენ ვილა ხარ, ქალაი?

გ ა ი ა ნ ე: მე იმისი ასული ვარ. რა გქვიან?

დ ა თ ო: დათო, შენა?

გ ა ი ა ნ ე: გაიანე. (დუმილი. ერთმანეთს უცქერიან) შენ აქ რადა ხარ? მამი-ჩემის მეომარნი გორში არიან.

დ ა თ ო: ცხენები მოვიყვანე მამიშენის ბრძანებით ფადიშასათვის.

გ ა ი ა ნ ე: (შეკრთება) ფადიშასათვის? ვინ არის ფადიშაი?

დ ა თ ო: არ ვიცი!

გ ა ი ა ნ ე: არავინ არ იცის. მეფეა?

დ ა თ ო: (შესცქერის) არ ვიცი.

გ ა ი ა ნ ე: არც ის იცი, ირანი სად არის?

დ ა თ ო: არა, ვიცი, რომ იქიდან მოვიდნენ სპარსელები, დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა, რომ მამაშენი ემსახურება მეფე სოლეიმანს. ჩვენც ყველანი იმას ვემსახურებით.

გ ა ი ა ნ ე: მეფე სოლეიმანიც სპარსია? ირანიდან არის?

დ ა თ ო: ალბათ, იქაური უნდა იყოს. იქა

ჰგზავნიან ოქრო-ვერცხლსა, ცხენებსა და ყმაწვილ ქალებს. ჩვენ გვართმევენ და იქა ჰგზავნიან.

გ ა ი ა ნ ე: ვინ გვართმევს?

დ ა თ ო: მამაშენი.

გ ა ი ა ნ ე: ტყუილი... (უცბად შესდგება, რაღაც ბუნდოვანის ფიქრით შეპყრობილი. დათო შესცქერის. დუმილია) შენ სადაური ხარ?

დ ა თ ო: ანანურელი.

გ ა ი ა ნ ე: სად არის ანანური?

დ ა თ ო: აი იქით, მთებში.

გ ა ი ა ნ ე: მონადირე ხარ?

დ ა თ ო: თერთმეტი ვეფხი მომიკლავს.

გ ა ი ა ნ ე: (მოწიწებით) ოჰო! მასწავლე, როგორ უნდა იმათი მოკვლა.

დ ა თ ო: შენ ყმაწვილი ქალი ხარ, ვეფხს ვერას დააკლებ, ვერ მოჰკლავ.

გ ა ი ა ნ ე: ძრიელ ლონიერია?

დ ა თ ო: ხბოს იტაცებს. ცეცხლივითა აქვს ანთებული თვალები. შენ რომ მიბრძანო, თუნდ ორს ვეფხს შევებმი ერთად. უკანასკნელს წვეთ სისხლს დავღვრი მამიშენის სამსახურში ერთის შენის შემოხედვისათვის.

გ ა ი ა ნ ე: (ნაღვლიანად) მე მალე წავალ აქე-

დან. მამას მივყევარ დედოფალთან. მერე... (გაჩუმდება)

დ ა თ ო: (გაფითრდება და სული ყელში ებჯინება, თითქო იხრჩობა და გული ამოვარდნას უპირობს) წახვალ?

გ ა ი ა ნ ე: ირანს წავალ. (ნაღვლიანად) მამას უნდა, რომ ირანის დედოფალი ვიყო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ნადირობას თავი დავანებეო, პირ-ბადე ჩამოვიფარო და ფადიშას ცოლი გავხდე...

დ ა თ ო: (შეჰყვირებს და თავში წაივლებს ხელებს) შენცა? სხვებთან შენცა? ირანს? დედოფლად? მერე მამაშენი? შენი მამა? თვითონ მამა! თავის ნებით! ღმერთო, მაგისთანა დედოფლად არამც თუ ჩემს ქალს, მოსისხლე მტრის ქალსაც არ გავიმეტებდი.

გ ა ი ა ნ ე: რა სთქვი?

დ ა თ ო: გაიანე, გაიანე! იქ მიჰყავთ ქალები მხევლებად და არა დედოფლად. ძალით სტაცებენ დედას ქალს, ქმარს—ცოლსა, საცოლოს—დანიშნულსა. გატყუებენ, გაიანე! გყიდიან ისე, როგორც გაჰყიდეს საქართველო, როგორც გაჰყიდეს ქრისტე!

გ ა ი ა ნ ე: (შეძრწუნებული) ვინა, ვინა?

დ ა თ ო: პირველმა მამაშენმა.

გ ა ი ა ნ ე: (შეძრწუნებული, გაფითრებული, გაბრაზებული) საქართველო! ქრისტე!.. მამაჩემმა გაჰყიდა... მამაჩემმა?

დ ა თ ო: დიახ, მამაშენმა. მთელი ქვეყანა მაგას ამბობს. ჰკითხე საბა-ბერსა, ის ხომ ყველგან დადის. მამაშენმა შეაშინა ხალხი სიკვდილით დასჯითა. ერთი სიტყვა ეთქვა ოლონდა და მთლად მის გარშემო შემოვიკრიბებოდით, ციხე-ბურჯივით გავამაგრებდით. ბევრნი ვართ ახალგაზრდები და ღონიერები. ჯერ ყველანი არ მიუყიდნივართ მონებათ ირანისათვის, როგორც მამაშენს უნდა მიგყიდოს შენ, ლამაზო და მშვენიერო! ღვთის ანგელოზო! ჩემო სულის სამოთხე!

გ ა ი ა ნ ე: დაიცა, რას ამბობ? მე... მე...

დ ა თ ო: (უფრო და უფრო მეტის ძლიერებითა და გულისთქმით) როგორც ნაპერწკალი აფეთქებს თოფის წამალს, ისე შენ ააფეთქე ჩემი გული. თუ ვზოზინობდი და ვაყოვნებდი, ახლა აღარ დავაყოვნებ. შენ ხარ ყველა, რის დაფარვაცა და ხსნაც მინდოდა გულითა,— სამშობლოცა, ღმერთიცა, თავისუფლებაცა. ვერ შემაშინებს მთელი ჯარი მამაშენისა და მისი წყეულის მბრძანებელის, საქართველოს

მტარვალისა. ხელიდან გამოგგლეჯავ იმ დარაჯებს, რომელიც შენთვის დაუყენებიათ... და თუ წაგიყვანეს, როგორც ვეფხი, ქურდულად, პარვით გამოვყვები შენს ქარავანს... მეგობრები ბევრი მყავს, წინამძღოლს ეძებენ მხოლოდ. მე გაუხდები წინამძღოლი... აბა, დაიძრას თოვლის პატარა ნაგლეჯი მთის მწვერვალიდან და გამოექანოს ძირს, ჰნახე, თუ რა საშინელ ზვავად გადაიქცეს... სულ მირეგვ-მორეგვავს კლდე-ღრესაც, ხე-ტყესაც, სოფლებსაც. ასე მივრეგვ-მოვრეგვავთ ჩვენც ყოველსავე შენის თავისუფლებისათვის, ჩემო დილის ცისკარო! (ჰკოცნის. ისმის ხმა მაიკოსი: გაიანე, გაიანე!)

გ ა ი ა ნ ე: (განშორდება) წადი ჩქარა!...

დ ა თ ო: ნუ გეშინიან ნურაფრისა! (მირბის. დაქანცული მაიკო შემოდის ჯასქასით და ძლივს ფეხებს მოათრევს)

VIII

მ ა ი კ ო: დახე, სადა ყოფილხარ... ოჰ, გაიანე, სულს ამომართმევ, რა საჭიროა... (მაიკო ძლივს სულს იბრუნებს, ისეა დაღალული, მაგრა დაუჭერს ხელს გაიანეს და დაეცემა, რაკი მეტი სავატობა აღარა აქვს) ერთი საათია დავრბივარ.

გიყვირი, დაგეძებ... უჰ, ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო, ძლივს-ღა ვითქვამ სულს...

გ ა ი ა ნ ე: (ძლივს გონს მოსულა, აქეთ-იქით იხედება. თითქო სულ გამოიცვალა, ხელახლა დაიბადაო. თითქო უცბად გადაიქცა ჭკვიან, გულ-ჩახვეულ დედაკაცადაო) მაპატივე, გამდელო!.. ადე, წავიდეთ, საცა გინდა. (ფიქრში წასული) არასოდეს აღარ ვირბენ ამას იქით! მეც დავიღალე...

მ ა ი კ ო: (აქვს ერთი სულთქმა, უში) ეხლავე, ცოტა ნელა, თორემ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან. უჰ...

გ ა ი ა ნ ე: მითხარი (დაფიქრებული გაიცქირება სივრცეში) მამა ჩემი... ქრისტეანია?

მ ა ი კ ო: (გამოშტერდება). ეგ რა შენი საქმეა მერე, შენ შემოგეევლე?

გ ა ი ა ნ ე: (მოუბერს მაგრა ხელს) მომეცი პასუხი!

მ ა ი კ ო: (სულ თავ-გზა ებნევა, სხვა, ახალ კილობედ ლაპარაკი რომ ესმის გაიანესაგან) წინად იყო...

გ ა ი ა ნ ე: ახლა?

მ ა ი კ ო: ახლა აღარა.

გ ა ი ა ნ ე: (ჩურჩულით) მართალია... ყოველივე მართალია!.. დედა-ჩემი... მოჰკლეს განა? ვინ მოჰკლა?

მ ა ი კ ო: ჩუმად, შვილო, ჩუმად, ღვთის გულისათვის...

გ ა ი ა ნ ე: (მრისხანედ) ვინ მოჰკლა?

მ ა ი კ ო: (ჩურჩულით) მეფე სოლეიმანმა.

გ ა ი ა ნ ე: და მამაჩემი იმას ემსახურება?

მ ა ი კ ო: რას ამბობ, ჩემო ჩიტო! (გაიანეს ხელის ჩაქნევაზე) ჰო, ჩვენ ყველანი იმისი მონები ვართ!

გ ა ი ა ნ ე: ჩვენ მონები ვართ და მამაჩემი იმას ემსახურება?

მ ა ი კ ო: (ვედრების ხმით, აკანკალებული) გაჩუმდი, გაჩუმდი, შენ გენაცვალოს შენი გამდელი, შვილო.

გ ა ი ა ნ ე: (უფრო და უფრო მეტის სიმტკიცით) რატომ მამასთან არ ვიყავი სულა და ერთად არა ვსცხოვრობდით?

მ ა ი კ ო: მე არაფერი არ ვიცი, შენ მე დამლუპავ!

გ ა ი ა ნ ე: რატომ?

მ ა ი კ ო: ეშინოდა, ჩემს ჰარამხანაში როგორ ვიყოლიოვო.

გ ა ი ა ნ ე: სადა?

მ ა ი კ ო: ჰარამხანაში. ბევრი ცოლები ყავს, ქალიშვილები და ვაჟიშვილები... აგრე

იციან, აგრეთი სჯულია იმათი სჯული... ზოგი ამბობს, შეიძლება ოთხი ცოლი იყოლიოს კაცმაო, ზოგი-კი ამბობს, თუნდ ასიო! მამაშენს ასი ჰყავს თუ არა, არ ვიცი, და ამბობენ-კია, რომ ხან ბევრი ჰყავს, ხან ცოტა! ყველა ცოლები ერთადა სცხოვრობენ. თუ რომელიმე მოიმწვანილა, სასიამოვნო აღარ არის, ეტყვის, თავისუფალი ხარო და გააგდებს. მაგრამ ჩვენი ბატონი კეთილია, თავის დღეში ისე არ გააგდებს. თუ თვითონ მობეზრდება, ცოლად აძლევს ამა თუ იმ მეომარს, ან მეგობარს გაუგზავნის ვისმე საჩუქრად, ისე-კი არას დროს არ დასტოვებს უპატრონოდ.

გ ა ი ა ნ ე: მაშ, სხვა შვილებიცა ჰყავს ჩემს გარდა?

მ ა ი კ ო: ჰყავს, მაგრამ შენ უყვარხარ. ისინი-კი იმდენი არიან, რომ იმათი სიყვარული არ შეიძლება.

გ ა ი ა ნ ე: სად არის ირანი?

მ ა ი კ ო: შორს არის.

გ ა ი ა ნ ე: ვინ არის იქ მეფე?

მ ა ი კ ო: ფადიშაი, მეფეთ-მეფე, ჩვენის მეფის მეფე.

გ ა ი ა ნ ე: იმასაც იმდენი ცოლი ჰყავს, რამდენიც მამა-ჩემსა?

მ ა ი კ ო: ი ი, ქა, შენ გაიხარე! ბევრად მეტი! სადაც-კი დუნიაზე ლამაზი ქალწულია, იმას უგზავნიან ცოლად.

გ ა ი ა ნ ე: (ხელებს იტაცებს თავში. დიდხანს სდუმს. ღრმად ფიქრობს, სახეზედ აუწერელი ტანჯვა ეტყობა) წავიდეთ! (მაიკო და გაიანე მიდიან, მაიკო ჩურჩულით ეუბნება: „ნურა გრჯის რა, მხოლოდ, შვილო, ჩემგან ნუ რა გრჯის რა, ნუ იტყვი, რომ მე..." შემოდის ოთარ-ბეგი, მერე გლახა მარცხენა მხრივ)

IX

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ეტყობა კმაყოფილია) მშვენიერი ცხენებია, მშვენიერი! გამოუცხადე შენს სამამასახლისოს ხალხს, აღარ ვამუშავებ ანანურის ციხის აშენებაზედ. სულ გამითავისუფლებია.

ა ნ ა ნ ი ა: შენი წყალობა ნუ მოგვაკლოს ღმერთმა, ბატონო. ამ ხანად კი ეგ წყალობა მეტია. ჩვენები ხალისიანად მუშაობენ. ციხეებს ხომ თან ვერ წაიღებენ სპარსელებიო, ისევ ჩვენ დაგვრჩებაო.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (უცებ მოტრიალდება მოუ-

ლოდნელობის გამო და უცქერის გლახას დაშტერებით) ერთი მითხარ, გლახა, საიდან-ღა შეგრჩენია ეგ გაბედულობა? შენა გგონია, ვერ მიგიხვდი, რომ პირში დამცინოდი, როცა მამაჩემს იგონებდი? (სახე უჭარხლდება შეკავებულის გაბრაზებით) მე მიყვარს ხუმრობა ჩემის ხუმარა ბესოსი და სხვა მასხარანი-კი ჰლმეჭენ ჩემთან პირისახეს, ხოლო არა სიცილითა, არამედ შანთითა და მათრახების ცემითა. გაბედულობა მაშინ მიყვარს, როცა ჩემს მტერს ზურგზე ბოლს ადენენ მამაცურად. ჩემთან-კი გაბედულობა არავის გამოადგება. როგორც სიკვდილი ისე გავაფითრებ მის სახეს!

ა ნ ა ნ ი ა: (არხეინად, ვითომც აქ არაფერიაო და მკვახედ) რაღას აყოვნებ, დიდო ბატონო? სიკვდილი შენს ხელთ არის, მაგრამ ისიც-კი უნდა მოგახსენო, მე და სიკვდილი დიდის ხნის მეგობრები ვართ და ბევრჯერ მივსალმებივართ ერთმანეთს, თვალებში გვიცქერია ერთმანეთისათვის. თუმცა არც ისა წითლდებოდა, მაგრამ არც-კი მე ვფითრდებოდი. იმას თავისი ფერი რჩებოდა და მე ჩემი.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (სწვდება ხახეებში) ბებერო ქოფაკო! მე მესმის შენი გულის პასუხი: იმი-

ტომ მთხოვე მივიღო ალმსახურში შენი ორი შვილი, რომ ღალატით მომკლან, მოპარვით ჩამცენ ზურგში ხანჯალი განა?

ა ნ ა ნ ი ა: არა, ბატონო, აგერია ანგარიში, სპარსელებმა იციან ზურგში ხანჯლის ჩაკვრა, ჩვენ-კი გულში ვიცით. (ოთარბეგი გაუშვებს ხელს) ღმერთმა, წინანდელმაცა და ახლანდელმაც, ბევრი მოგცეს იმისთანა მცველნი, წინამძღოლო და ძეო წინამძღოლისაო! და როცა სპარსელებმა მოინდომონ თავიანთი ჩვეულებისამებრ შენი თავიდან მოშორება, მოუწოდე ერეკლესა და დათოს, იაფად არ მიჰყიდიან ისინი სპარსელებს თავიანთ სისხლისა და ხორცის თავადიშვილს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: გამიგონე, მოხუცო, წადი თავ-მთელი, არას გერჩი, მაგრამ მაგნაირ ლაპარაკს-კი თავი დაანებე. (დაუდაბლებს ხმას) ახლა მაგნაირის ლაპარაკის დრო არ არის, ჩვენი ძალა გაქელილია და დათრგუნვილი. რა ჩვენი საქმეა და ან სად შეგვიძლიან ჩვენ,- ლოთებს, ღრიალისა, სიცილ-ხარხარისა და ცეკვა-თამაშის მოყვარულებს, ვებრძოლოთ იმისთანა რკინის კაცს, როგორიც სოლეიმანია? არასოდეს ღიმილს არ შეუთამაშნია მის

ტუჩებზედ. იმისი შესახედაობა ისევე მკვეთრია და ცივი, როგორც მისი სული. არასოდეს ცვარი ღვინო არ მიჰკარებია მის ტუჩებს. იმან დაუმორჩილა ფადიშას სინდეთი და ჯიბალი, იმან გაიარა დიდის უდაბნოს მლაშე ადგილები და სხვა წყალი ჰინდისა. მხოლოდ ცაში იყურება, თითქო იქა ჰხედავს წინასწარმეტყველს მაჰმადსა და ის უჩვენებს გზას, ასე წადი, ასე იარეო. გაანებე თავი, მოხუცო, სისულელეს და მშვიდობით დალიე შენი დღენი.

ა ნ ა ნ ი ა: მადლობა უფალსა, რომ ჯერ კიდევ გეცოდება ქრისტეანე კაცის სული. კიდეც იმიტომ არ სჯერა ხალხს შენი ბოროტ-მოქმედება, შენი სიავე. ხალხმა იცის რომ, რასაც აშავებ, გულით არ აშავებ. და მორჩილებით იხრის ქედს შენი სახელის წინაშე. დიდო ბატონო! ნება მიბოძე გითხრა ყოველივე შენის ქვეყნისა, გითხრა, რას ითმენს, რანაირ იტანჯება! ნება მიბოძე გავაღვიო ცეცხლი შენის შებრალებისა, ვიდრე ჯერ კიდევ სულ არ ჩაფერფლილა და ნაცარი არ წაჰყრია...

ო თ ა რ-ბ ე გ ი: შებრალებისას ნურას

მეტყვი, მაგ შებრალებას უკანასკნელი შენა ჰხედავ: (განრ:ისხებით) გასწი, გამეცალე, ვიდრე შებრალების მაგიერ ჩემი რისხვა არ გაგიღვიეებია. ეს არის ეხლა, შენ წინად შემომცქეროდა და მეეედრებოდა შებრალებას, შენის მიმქრალის თვალების მაგიერ, ისეთი თვალები... გასწი, გამეცალე ახლავე. (შემორბის ბესო და სულ კანკალებს შიშით)

X

ბ ე ს ო: დიდო ბატონო! დედოფალი მოგრძანდება ამალით, აგერ ახლავე!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: გაგიქდი, თუ რა ამბავია?! (სცენის სიღრმეში გამოჩნდებიან დათო და ერეკლე)

ბ ე ს ო: რას ბრძანებ, ბატონო! აგერ გეახლება. (დაეცემა მუხლის თავებზედ. შემოდის ზეინაბი, რუქაია, მათ მოსდევს ალ-რაზაკი, რამდენიმე მხევალი და ხმალ-ამოღებული მხედარი ჯავშნითა და ჩაფხუტით, რომელსაც დოლბანდი ახვევია გარშემო; დედაკაცთ სახე პირბადით აქეთ ჩამოფარებული თვალებამდე. ოთარ-ბეგი დაეცემა მუხლის თავებზედ. აგრეთვე ანანიაც)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (არ იხდის ჩადრსა და პირბადეს) კარგი დარაჯი გყოლია, ოთარ-ბეგ! დროზე

ვერც-კი შეგატყობინეს ჩემი მოსვლა. მაგრამ როცა მოღალატესთან მიდიხარ, უნდა უცბად წაადგე თავზედ. მე ვუბრძანე, რომ შეეპყრათ ყველა შენი მხედარი, რომელიც-კი გზაში შემოგხვდებოდა. რატომ შენც იქ არა ხარ, საცა შენი მხედრობაა? რას აკეთებ აქ, შენს სახლში, ქალაქ გარედ? რიგორ დასთმე შენი ჰარამხანა?

ოთარ-ბეგი: დიდო დედოფალო, აქ ვაგროვებ, შენის ბრძანებისამებრ, საჩუქარს მეფეთ მეფისათვის. ხვალ უთენია ვაპირობდი შენს მაღალ კარ-წინ ჩამომეყვანა ჩემი ასული და მომერთმია ოქრო-ვერცხლი და ცხენები. ბრძანება უკვე გავეცი—ჰკითხეთ ჩემს მსახურთ.

ზეინაბი: დაღალული ვარ და ამ ღამეს შენს სახლში გავათევ.

ოთარ-ბეგი: ჩემი სახლის კედლები განზედ გაიწევს, ჭერი მაღლა ავა ღრუბლებამდე, დიდო მბრძანებელო. ეი, მსახურნო! დაამზადეთ სანადიმოდ ყოველივე, მოუწოდეთ მხევალთა! საქართველოს მთვარეს ჰნებავს ვოისვენოს თავის მონის სახლში... (უნდა წაიდეს)

ზ ე ი ნ ა ბ ი: შესდეგ! ნადიმი ჩემთვის საჭირო არ არის! მხევალნი მე თანა მყვანან. ალ-რაზაკ, მცველნი დააყენე სახლის ყველა კარებთან (ანიშნებს სახლის იმ მხარეს, რომელიც წინ არის გამოწეული). მე აქ დავიდებ ბინას! (ალ-რაზაკი დაბლა თავს დაუკრავს და მიდის. დედოფალი შეასწრობს თვალს ანანიას, იცნობს და გულზედ (იტაცებს ხელს და თან თავ-შეკავებით შეჰკივლებს)

რ უ ქ ა ი ა: რა დაგემართა, ქალბატონო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: არაფერია, შვილო, გზამ დამღალა. გულზედ ჭვალი დამადგა თითქო. ოთარ-ბეგს) ვინ არის ეს კაცი?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მამასახლისი გახლავს, ანანურელი, ხელმწიფეო. სამი ცხენი მოიყვანა თქვენ საჩუქრად, დედოფალო.

ა ნ ა ნ ი ა: ცხენები კარგები გახლავან, დიდებულო ბატონო, მაგრამ ერთი ისეთია, რომ ფასი არ დაედება.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (შეუთრთოლდება ხმა) ძლიერი, საომარი ცხენია?

ა ნ ა ნ ი ა: მის ძარღვებში სჩქეფს მეფური სისხლი ჩვიდმეტის თაობისა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: კარგადა გყავს ნაცადი?

ა ნ ა ნ ი ა: კარგად, დედოფალო! საკუთარ შვილზედ მეტად ვუვლიდი.

ოთარ-ბეგი: მე ვგონებ, დედოფალო, რომ წმინდა არაბულის ჯიშისაა. ფადიშას სასიამოვნოდ დარჩება.

ზეინაბი: ფადიშას სასიამოვნოდ დარჩება.

ანანია: ეგ-კი არ ვიცი, მოეწონება თუ არა ფადიშასა, მაგრამ იმის სისხლში წვეთიც არ ურევია არც არაბულისა და არც სპარსულის სისხლისა. ნამდვილი ჩვენი სისხლი უდგია. (მობრუნდება და ანიშნებს შვილებს, რომ ახლო მოვიდნენ. რუჭაია მოჰკრავს თუ არა თვალს ერეკლეს, უცბად, ვითომ უცაბედად, ძირს დააგდებს პირ-ბადეს. ერეკლე აღელდება და დნება აღტაცებით)

ზეინაბი: (გაფითრებულია, აღელვებისაგან აღარ იცის, რა ჰქნას და თვალს არ აშორებს ერეკლეს)

ანანია: ამათ შორის ერთ-ერთი ჰხედნის ცხენს.

ზეინაბი: (მიმტკნარებულის ხმით) რომელი?

ანანია: რომელსაც შენ უყურებ!

ფარდა

მოქმედება მესამე

იგივე დეკორაცია. ღამეა. მთვარე კლებაშია. ცა მოღრუბლულია.

შემოდის ერეკლე, იმას უკან მოიპარება დათო. სულ ჩუმად ლაპარაკობენ, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ აჩქარებით და აღელვებით.

I

დ ა თ ო: (ხელს ადებს მხარზედ ერეკლეს) შენ აქ რას აკეთებ?

ე რ ე კ ლ ე: (მობრუნდება და შეკრთება უეცრად დათოს შეხვედრის გამო) ოჰ, შენა ხარ, დათო?

დ ა თ ო: მე ვარ. აქ რა გინდა?

ე რ ე კ ლ ე: წადი აქედან. შენი საქმე არ არის, რისთვისაცა ვარ აქა.

დ ა თ ო: (არ ეშვება) სთქვი, ვის ელი?

ე რ ე კ ლ ე: (გულ-მოსული) როგორ ჰბედავ, რომ თვალყურს მადევნებ და მზვერავ?

დ ა თ ო: განა უნდა დამიმალო რამე? წინად არას მიშალავდი ხოლმე?

ერეკლე: ყმაწვილს ქალს ველი.

დათო: (სისხლი თავში აუვარდება სიბრაზით) გაიანესა?

ერეკლე: არ ვიცი, რა ჰქვიან. გამეცალე!

დათო: (უფრო ცხარობს და ბრაზდება) ვაიგონე, ძმაო, შენ გამეცალე აქედან. მე პირველი შევხვდი, ვაკოცე. ცოცხალის თავით არავის დავანებებ, გეყურება თუ არა?

ერეკლე: (აგრეთვე გაცხარებული) სტყუი! საიდან მოახერხებდი იმის კოცნას! დედოფალს არ მოშორებია გვერდიდგან. მცველები აყენია. როცა დედოფალს გული შეუწუხდა, ძლივს მოახერხა და წამომჩურჩულა: „აქ მოდი, როცა ყველამ დაიძინოსო“. სთქვა ესა და წაიყვანეს კიდეცა, (ხანჯალზე გაიკრავს ხელს) როდის-ღა უნდა გეკოცნა? სთქვი აბა?

დათო: (მიხვდება თავის შეცდომას) თავი დაანებე მაგ ხანჯალს. მე რომ ვაკოცე, ის სხვა იყო (იცინის) რა მიხარიან, ერეკლე! კინალამ ერთმანეთი დავჩეხეთ ამ საათში. ის რომ გაიანე ყოფილიყო, ერთ-ერთი ჩვენთაგანი კაენად გადაიქცეოდა.

ერეკლე: (კოპებს იკრავს და არ უჯერებს)

ვინ სხვა იყო? აქ სხვა არავინ იყო იმ ქალისა, დედოფლისა და შავ ჩადრებში გახვეულ ბებრების მეტი.

დ ა თ ო: (ლოთი-ფოთურად) მართალია ლექსი: „ორთავ-თვალის სინათლეო“. ყველას თავისი სინათლე მოსწონს და იმის მეტს ვერასა ჰხედავს. მაშ, რახან მე საჭირო არა ვარ შენთვის, წავალ. მაგრამ გაფრთხილდი-კი. სპარსელებმა დანდობა არ იციან და ი შავი ტარტაროზი არაბები კიდევ უფრო უარესები არიან. გუფთასავით აგკეპავენ. დამისტვინე, თუ თავს დაგესხნენ—აქვე ახლო ვიქნები.

ე რ ე კ ლ ე: არა, დაიცა. ვის აკოცე შენა? იმ ქალის მეტი მე აქ არავინ არ მინახავს.

დ ა თ ო: (იცინის) არც დედოფალი?

ე რ ე კ ლ ე: დედოფალს რას დავეძებ?! მიპასუხე-მეთქი, დათო.

დ ა თ ო: დაიცა ერთი და! რა დაგემართა, ძმები ვართ ჩვენ თუ არა?!

ე რ ე კ ლ ე: ძმები ვიყავით, ვიდრე მომატყუებდი.

დ ა თ ო: აი, გამიგონე. ოთარ-ბეგსა ჰყავს ქალი გაიანე. იმის წასაყვანად მოვიდა აქ დედოფალი. საჩუქრად უნდა გაუგზავნონ

სპარსეთში ფადიშასა. მაგრამ, ვერა, ვერ წაიყვანენ, ერეკლე. ნეტა განახვა! ვერ წაიყვანენ, გამჩენის მადლმა! ისა ვნახე აქა. როგორც ჯეირანი, ისე გამოვარდა აიმ ბუჩქებიდან და უცბად გაჩერდა ჩემ წინა... მე-კი... ოჰ, ძმაო! სიკვდილიცა და სიცოცხლეც მხოლოდ იმისთვის-ღა მინდა.

ერეკლე: (კიდევ ვერ მოუშორებია ეჭვიანობა) მაშ, ის არ იდგა დედოფალთან?

დათო: პირ-ბადე რომ გადიძრო შენს მოსახიბლავად! (იცინის და გადაეხვევა) გეფიცები წმინდა გიორგისა, რომ არა-მეთქი. ისიცა და მთელის ქვეყნის სხვა ქალებიც, ვისთვისაც გინდა დამითმია, ყველაზედ უკეთესი კიდევ—შენთვის. გაიანე აი აქეთ გაჰქანდა. იქა ვნახე ხშირს ტევრში მალალი კოშკი, ზედ წყლის პირასა. უთუოდ იმ კოშკში უნდა იყოს. ველარ მოვასწარი, თვალი გამედევნებინა. იქ მივიპარებოდი, როცა შენა გნახე და მე ისე მეგონა... (შეწუხებული ხმით) იცი, ძმაო, ღმერთმა დაგიფარა შენცა და მეცა. დაილოცოს მოსვლა დედოფლისა და იმისიც, ვინც იმას მოჰყვა.

ერეკლე: გამიგონე, დათო, უნდა მიხვ-

დე ახლა ჩემ გულის პასუხს. იმან რომ მითხრას: „დაანებე თავი მამას, დედას, ხელი აიღე შენს პატიოსნებაზედ, სარწმუნოებაზედ, სამშობლოზედაო“—თავს დავანებებ, ხელს ავიღებ!

დ ა თ ო: (უდარდელად) არა, ჩემი მე მაგას არ მეტყვის. რომ მითხრას კიდეც, მე ვუბრძანებდი, აეღო ხელი თავის რჯულზედა და სამშობლოზედ ჩემის გულისათვის. არა, არა, შენ სხვა რაღაცას ამბობ! (უფრო მოუსვენრობით) გახსოვს, რაც გვითხრა გზაში მამამ? შვილებო, სამხიარულოდ არ მივდივართ ახლა ჩვენა—დიდი საქმე მოგველისო. ნეტა, რას ჰნიშნავს ეს სიტყვა, ერეკლე?

ე რ ე კ ლ ე: (ფანჯრებს უცქერის) რა ძნელია ლოდინი! იმდენი მოახერხა, რომ საღამო ჟამზედ აიმ ფანჯრიდან დამენახვა და რაღაც მანიშნა. კენჭს ვესვრი, მოდი.

დ ა თ ო: სჯობიან, ისევ ქვიშა შეაყარო. (კვლავ ფიქრებში წასული) მე ვიცი, რა საქმეც არის! დროა, ბოლო მოუღოთ ამ შერცხვენას. ჩვენ ხალხი-კი არა, საქონელი ვართ მაჰმადიანებისა! საიდუმლოდ ვლოცულობთ ყრუ ადგილებში, ჩვენი საყდრები დაქცეუ-

ლია! ხელიდან გვტაცებენ ჩვენს საქონელს, ჩვენს ჭირნახულს, ჩვენს ავლა-დიდებას, გვტაცებენ დებსა და საპატარძლოებს და ჰყიდიან ბაზარ ადგილებში, თითქო საქონელიაო, ნამუსსა ჰხდიან ჩვენ თვალ-წინა. ჩემი თავი მეჯავრება, როცა ვზრუნავ ჭამა-სმასა და ძილისათვის და ესეთი სამარცხვინო უღელიკი გვადგია კისერზედ. რაღას ველით, ერეკლე, რაღასა?

ერეკლე: (ყურს არ უგდებს) ოჰ, ლოდინი სიკვდილია, სწორედ, სიკვდილი! ქვიშას შევაყრი ფანჯარას.

დათო: მცველნი გაიღვიძებენ. (კვლავ თავისას განაგრძობს) როცა იმის თვალებს დავაცქერდი, ჩემმა ძალ-ღონემ იფეთქა გულში, გადიდდა, თითქო მთის წყალი მოვარდაო, და ამავსო ყელთამდე. ოჰ, რა ძალა მომეცა, ერეკლე, რა ძალა! იმისი ხმა ისე ჩამესმა ყურში, თითქო საომარი ბუკის ხმააო. იმ ხმამ თითქო ასე მითხრა — დრო მოვიდაო. იბრძოლე ღვთისათვის, სამშობლოსათვის, განთავისუფლებისათვის, ჩემთვისაო.

ერეკლე: სსუ... ის მოდის (მარჯვენა მხრიდან ისმის ფეხის ხმა და რაღაც ლაპარაკი. ორნივე ყურს უგდებ ნ)

დ ა თ ო: (ჩურჩულით) კაცების ხმასა ჰგავს... მივიმალნოთ... (იმალებიან ხშირ ტევრში)

II

სცენის სიღრმიდან გამოდიან ბესო, ანანია და საბა. საბა მაღალ-მაღალია, პირ-ხმელი, მხიარულის, ხალისიანის სახისა, თმა-გრძელი, გლახასავით აცვია, მაგრამ მისი ტანისამოსი უფრო მუქისა და საპატიოსნო ფერისაა, თუმცა მიგლეჯილ-მოგლეჯილი კია. ქუდი არა ჰხურავს, ხელში უბრალო ჯოხი უჭირავს ქერქ-გაუცლელი. ქამარზე ხანჯალი ჰკიდია.

ბ ე ს ო: (ჩურჩულით) ნელა, მამაო. აქ მოიცადე, დავათვალიერებ, როგორ უნდა ჩავიდეთ მღვიმეში უფრო უშიშრად. იქ იკრიბებიან ჩვენები და შენ გიცდიან. პირის ახსნაც არ ინდომეს სუფრის უკურთხებლად, აგერ ერთი კვირაა. (მიიპარება ჩუმად და მოეფარება სახლს)

ა ნ ა ნ ი ა: (მიჰყავს საბა ხეივნის ჩრდილში) რასა იქ, როგორა ბრძანდები, მამაო საბა?

ს ა ბ ა: ვლოცულობთ და ვიბრძვით, შვილო ჩემო, ვალვიძებთ ხალხს.

ა ნ ა ნ ი ა: სად იყავ მას უკან, რაც ანანურიდან წამოხვედი?

ს ა ბ ა: კახეთი მოვიარე. ოჰ, დიდი შეწუ-ხებაა იქა! სულ სამჯერ ძლივს ვილოცე. რვა-ჯერ თავს დაგვესხნენ და იარაღით მოვიგე-რეთ მტერი. ერთხელ ვერ გამოვიყვანე ვერც წირვა და ვერც ლოცვა ისე, რომ ბრძოლა არ მოგვხდომოდეს.

ა ნ ა ნ ი ა: ხევსურეთშიც იყავი?

ს ა ბ ა: ოჰ, გულადი ხალხია. იქ დავისვე-ნე პატარა, ავარჩიე თავ-გადადებულნი ხევ-სურნი, ფშავნი და თუშნი და გავწიეთ ყაზ-ბეგისაკენ. წავართვით მტერს ციხეცა და გერგეთის წმინდა ტაძარიცა. სამს დღეს მოვასწარით მარხულობა. ის იყო ხარებო-ბისათვის მოვამზადე საზიარებლად ხალხი და დავდექი წირვაზედ, რომ გუდაურის ჯარი შემოგვერტყა. ნახევარი წირვა იყო გამო-სული. მივიღე სულ მთლად წმინდა ზიარება, რომ იმ წყეულებს არ შეეგინებინათ, ერთს ხელში ჯვარი დავიჭირე, მეორეში ერთი ბლაგვი ნაჯახი და ვხედავ, ჩვენები სულ ცოტანი-ღა დარჩენილან. მაინც გამოვარღვი-ეთ მტერი და ოსეთში გავიფანტენით. იქი-დან ბორჯომის ხეობაში გადავედი. რას იზამ, ყველგან ქრისტიანე სული ან სხეულს ისხავს

ან შორდება. მონათვლაც უნდა და გასვენებაც. იქიდან მეტივეებს გამოვყევი აქა. ტივზედ მივეგებეთ დიდს დღესასწაულს და გავიხსნილეთ. გუშინ უფლის-ციხის ბღვიმეებში ჩავედით და იქ ვილოცეთ. ეჰ, ცოტანი-ღა დავრჩით, შვილო ჩემო ანანია, ცოტანი! ვინ იცის, რამდენი აღსრულდა მოწამებრივის სიკვდილითა! მე კი—ჯერ ღმერთმა არ მაღირსა!

ა ნ ა ნ ი ა: გაიგე, კათალიკოსი რომ მოკლეს?

ს ა ბ ა: გავიგე! ოჰ, გავიგე! მოწამეა! მოწამე! იმასა ჰკლავდნენ, მეფესა და მე კი, ცოდვილი, იმ ღამეს ტივზედ ვიჯექ და მხიარულად ვეგებებოდი აღდგომასა. ესეც-კია: ყველა რომ მოწამე შეეიქნათ, ვილამ უნდა დაიფაროს წმინდა ჯვარი? ოჰ, ცოდვილი ვარ, ცოდვილი და არა მაქვს სიმდაბლე! სისხლი ჩემზედ ძლიერია... ამიღელდება გული, ამიშფოთდება სული და ვეღარ ვიმაგრებ თავსა! ოჰო-ჰო-ჰო-ჰო!

ა ნ ა ნ ი ა: (სულ-შემუსვრილი) დაგვიეიწყა უფალმა.

ს ა ბ ა: (პირ-კუშტად) უფალი არ დაივიწყებს თვისის დედის წილ-ხდომილსა! სწამს

უფალსა ძალი მსახურთა თვისთა! სულ მოვიარე ჩვენი მიწა-წყალი. ზღვიდან-ზღვამდე, სამეუფეო ქალაქიდან ჰინდამდე, ჩინეთიდან არაბეთამდე—ყველგან ზღვასავით ბობოქრობს ისლამი. ვითა მარცვალი მდოგვისა, ისე მცირეა ჩვენი ქვეყანა ამ თვალ-გადუწვდენელ ზღვათა შორის. მარტოა, ერთია, მაგრამ მასთანა არს ღმერთი! მასთანა არს-მეთქი, გეუბნევი და დაიფარავს იგი ჯვარსა თვისსა წმიდასა! უძლეველს გამოვიტანთ ზღვიდან! გეუბნები, სისხლის ზღვიდან გამოვიტანთ-მეთქი, შეგვეწიოს ძალი მისი წმინდაი უკუნით უკუნისამდე.

ა ნ ა ნ ი ა: (ღრმა ამოოხვრით) ოჰ, უფალო! როდის იქნება, როდისა?

ს ა ბ ა: მალე, მალე! დავაჟკაცდნენ შვილნი იმათი, ვინც დაითრგუნა ჩვენს ქვეყანასთან ერთად ამ ოცის წლის წინად; იმათიცა, ვინც გაჰყიდა ქვეყანა! არწევდნენ დედანი და აკვანშივე ნანას მაგიერ სამშობლოს სიყვარულს ჩამღეროდნენ, პირჯვარსა სწერდნენ! გეუბნევი-მეთქი, მოხუცო მებრძოლო, წამოიზარდნენ, დავაჟკაცდნენ-მეთქი მეომარნი, მხედარნი. ათასობით მინახვანან, მომისმენია

მათი სიტყვა-პასუხი. ღმერთმა აკურთხოს დედანი მაინი! წინამძღოლი არ გვყავს მხოლოდ.

ა ნ ა ნ ი ა: (საბასკენ გადიხრება) გვყავს. მოისმინე ჩემი აღსარება, მამაო. მთელ ქვეყანაზედ სამშა ვიცოდით მხოლოდ ეს საიდუმლო. ოცი წელიწადი ისე ვიყავ დადუმებული, როგორც სამარე, მაგრამ ახლა მეცა ვგრძნობ, რომ დრო მოვიდა. წადი, წადი ახლა და აუწყე საქართველოს შვილებს, ჩვენს მეომრებს ეს საიდუმლო. დაე, მან აღუნთოს გული დიდებულის ღვაწლისათვის. ყური მიგდე, ბატონიშვილი გიორგი ცოცხალია!

ს ა ბ ა: ანანია! ტყუილი ნუ გვინდა! მოუტყუებლივ, ტყუილ სახელის გამოუგონებლათაც შეიძლება ხსნა ქვეყნისა.

ა ნ ა ნ ი ა: (პირ-ქუშტად) შეეეედრე ღმერთსა, მამაო, მე არა ვსტყუი.

ს ა ბ ა: ანანია, თეიმურაზ მეფის ძე სოლეიმანის ცხენმა გასრისა ფეხ-ქვეშ! საიდან ცოცხალია?! მე თვითონ ვნახე! საიდან ცოცხალია?!

ა ნ ა ნ ი ა: (თავს დახრის) არა, მამაო. ვინც ცხენს გადუვდეს ფეხ-ქვეშა, ის აღარ არის

ცოცხალი. ის ჩემი შვილი იყო. ილოცე მისთვის. (დუმილი. საბა ზე-აპყრობილია, ტუჩები მისი მოძრაობს, თვალზედ ცრემლები აქვს მომდგარი, ანანია ღრმა ფიქრებშია წასული) ჩემთვისაც ილოცე, მამაო. ჩემი ცოდვაა, თვითონ მე მოვინდომე.

ს ა ბ ა: (დიდ-მნიშვნელოვანებითა და ღაღადებით) შემინდვია და მომიტეევებია. სად არის ის ყმაწვილი?

ა ნ ა ნ ი ა: დედოფალი გაჩვენებს.

ს ა ბ ა: მდევნელი ჩვენი?

ა ნ ა ნ ი ა: მხსნელი ჩვენი!

ს ა ბ ა: საბუთებიც არის მაგისი, ნიშნები?

ა ნ ა ნ ი ა: არის, მამაო.

ს ა ბ ა: სად გაიზარდა ბატონიშვილი?

ა ნ ა ნ ი ა: ჩემთან! (შემოდის ბესო)

III

ბ ე ს ო: ყველა ჩვენები შეიკრიბნენ, მამაო, სალოცავად მღვიმეში, საცა საქონელს შერეკენ ხოლმე ავდარსა და უამინდობაში.

ს ა ბ ა: რა ვუყოთ, ქრისტეც ბაგაში დაიბადა. აბა, საით უნდა წავიდე?

ბ ე ს ო: აქეთ მომყევი... ჩუმად... წყეულ საჭურისს არა სძინავს, მგონი... წავიდეთ,

ისე მიგიყვან, რომ შავი ქვაც ვერავინ გაიგოს. (სამივენი მიდიან)

დ ა თ ო: (გამოდის იქიდან, საცა მიმალული იყო. სახე აღელვებული და გაფითრებული აქვს) გაიგონე, რა სთქვა მამაჩემმა?

ე რ ე კ ლ ე: ჰო, მაგრამ ვერაკ მივხვდი. რომელი ბატონიშვილია ცოცხალი?

დ ა თ ო: მე ვერ მივხვდი. ვინ იზრდებოდა განა მამასთან? შენა და... მე.

ე რ ე კ ლ ე: (იცინის) ვინ არის ჩვენს შორის ბატონიშვილი?

დ ა თ ო: შენ სასაცილოდ მიგაჩნია? (გამოჩნდება ხეებ. შორის რუქაია. თეთრ ჩადრ-წამოსხმული)

ე რ ე კ ლ ე: (შეკრთება და ივიწყებს ყოველსავე) ქალს მოვკარი თვალი ბუჩქებში. (გაექანება რუქაიასაკენ)

დ ა თ ო: (ჩაფიქრდება და თავ-დაღუნული მიიმალება ხეივანში)

IV

რ უ ქ ა ი ა: (სწრაფად მოექნებ ყელზე. ხანგრძლივის კოცნითა ჰკოცნის) თუ მომასწრეს შენთან, მომკლავენ. მითხარი შენი სახელი?

ერეკლე: ერეკლე.

რუქაია: ვინა ხარ? საიდანა ხარ?

ერეკლე: მთის კაცი ვარ, მეომარი.

რუქაია: ჩემი ძმები—კი მეზღვაურნი არიან, ყველას ეშინიან იმათი, იმათ გამყიდეს მე.

ერეკლე: (გულის-თქმით) შენ? შენ გაგყიდეს? ვის მიგყიდეს? შენ ჩემი ხარ სამუდამოდ! ჩემსავით ვერავინ შეგიყვარებს! დაგწვავ ალერსით! მე... (ჰკოცნის).

რუქაია: (უცბად გამოუსხლტება ხელიდან) ჩუ! (ყურს უგდებს)

ერეკლე: (აღგზნებულს გულში ჰყავს ჩაკრული რუქაია) რისა გეშინიან, როცა ჩემთან ხარ? ვის შეუძლია წამართვას შენი თავი, ჩემი ხარ სამუდამოდ.

რუქაია: (დაღონებული და გულის-თქმით) შენი ვარ მხოლოდ ამ წუთსა, ჩემო სიცოცხლე! მკოცნე და დასტკბი, სანამ შენ ხელთა ვარ! დაგინახე თუ არა, ყოველივე დავივიწყე. ოღონდ კი შენ მოგხვევოდი, შენ ჩაგკროდი გულში, დამთვრალ ვიყავ შენის ეშხით, შენის სუნთქვით, ერთხელ მაინც, ერთს წუთს მაინც და მერე, დაე, ისევ ტყვე ვიყო,

თუნდ სიკვდილი არ ამცდეს. (დაჰხრის თავს ერეკლეს მკერდზედ)

ერეკლე: (ჰკოცნის გახშირებით) რად ახსენებ სიკვდილს? ვის შეუძლიან ხელი დაგაკაროს მაშინ, როცა ჩემს მკერდზედა ხარ დაყრდნობილი?

რუქაია: (მწვავე გულის-თქმითა და ნეტარების გრძნობით შემოეკნება ყელზედ და ჰხვევს ხელებს გარშემო) ოჰ ნეტავ შორს, შორს სადმე ვიყოთ ახლა... იქ, საცა აღვიზარდე, საცა გავატარე ჩემი ყმაწვილ-ქალობა. ვისხდეთ ერთად მარტო ორნი სუბუქ ნავში და ვქანაობდეთ ზღვის ტალღებ შორის. ყურს ვუგდებდე იმ დროს წყლის სანეტარო ჩქეფას. შევსცქეროდე ხან ცის ვარსკვლავთ, ხან ვარსკვლავივით მოციმციმე შენს თვალებსა... ვსუნთქავდე ზღვის კიდეთა ყვავილებისა და შენის ფშვინვის სურნელებას... გიმღეროდე სიყვარულის ჰანგებს... ვიწოდე და ვდნებოდე შენის სიცხოვლით ისე, როგორც იწვის და დნება სანთელი...

ერეკლე: (გულის-თქმით გადარეული) გინდა გავიქცეთ? აქ არის ჩემი ცხენები, ქარზე უმალესი და ელვაზე უსწრაფესი, ჩემს მეგო-

ბრებს ჰყავთ ჩაბარებული! ქარიეით გაგვაქ-
როლებენ და, მეფის მთელი ჯარიც რომ
უკან დაგვედევნოს, ჩვენ ისინი ველარ დაგვე-
წევიან. (მიიბრძვის წასასვლელად)

რუქაია: (სწვდება და შეაყენებს). არა, არ
შეიძლება, გარშემო ყველგან დარაჯნი დგა-
ნან... აქაც-კი ყოველ წუთს... (ყურს დაუგდებს)
მე გეტყვი, როცა გაქცევა შესაძლო იქნება.
გამიგონე, შენ იცი, ვინა ვარ?

ერეკლე: ვიცი, რომ მე მონა ვარ შენი
და შენ ჩემი ხელმწიფე.

რუქაია: (ვერაგულ მედიდურობის ხმით)
მაშ, იცი, ვინცა ვარ? მე ვარ რუქაია, მეფე
სოლეიმანის მხევალი! დედოფალი ხნიერია,
მობეზრდა მეფეს. ოჰ, კარგად ვხედავ ამას...
და მალე ვიქნები დედოფალი! დედაბერმა მი-
წინასწარმეტყველა, როცა გადასწყვიტეს ჩემი
გაყიდვა. პირველად თავს ვიკლავდი, ვტი-
როდი, მაგრამ როცა გავიგე, რომ დედოფა-
ლი გავხდებოდი, დავანებე ტირილს თავი.
სადღა წამიყვან ისეთ ალაგას, რომ დავემალოთ
საქართველოს მეფეს? ისე დაგვიწყებენ დევ-
ნას, როგორც ნადირს და, როცა შეგვიპყრო-
ბენ... ოჰ, შენ არ იცნობ მეფე სოლეიმანს!

ერეკლე: მხევალი ხარ მეფე სოლეიმანისა?

რუქაია: (თავმოწონებით) დიალ! მე ვიქნები იმის ცოლი, როცა ჰბრძანებს და მოაკვლევინებს დედოფალს! (იდუმალებით) დიდი ხანი არ გაივლის. მე მომანდო, თვალ-ყური გეჭიროს იმაზეო. სრულიად არ ენდობა,— ოჰ, იმისი-კი არ ეშინიან, მიღალატებსო! წინადვე რომ თქვენი დედოფალი არა ყოფილიყო, აქამდე ცხრაჯერ აჩუქებდა რომელსამე თავის ყმას. აი, რა ფასი აქვს მეფე სოლეიმანისათვის მის სილამაზეს! და ახლა, როცა დავბრუნდებით, საკმაოა ერთი სიტყვა ვუთხრა მეფეს და დედოფლის მოკვეთილი თავი ძირს გაგორდება. შენ სოლეიმანს არ იცნობ! სისხლის მსმელია, სისხლი ახარებს იმის გულს. ერთხელ თორმეტის კაცისათვის მოაკვეთინა თავი ჩემ ფანჯრებ-წინა! და ყოველთვის, როცა მოკვეთილი თავი ძირს გაგორდებოდა და სისხლი ჩქეფით წამოვიდოდა, დავინახე, ასე იზამდა ხოლმე... (სჯუტავს თვალებს)

ერეკლე: (ეჭვიანობის აფეთქებით) რიღასთვის მიწოდებდი აქა, თუ იმის მხევალი და

ხასა იყავი? რად შემომაფრქვიე შენის მგზნებარე თვალებით უძლეველის ეშხისა და სილამაზის სხივები? მე შენს თავს ვერავის გავუზიარებ, გესმის? შენ უნდა მხოლოდ ჩემი იყო, მხოლოდ ჩემი!

რ უ ქ ა ი ა: ტუტუცი ბავშვი ყოფილხარ! ან იქნება სულაც არ გინდივარ? განა მე მეფე მიყვარს? მე შენ მიყვარხარ, შენის გულისთვის წამოვედი აქ და გავწირე თავი სასიკვდილოდ...

ე რ ე კ ლ ე: (ხმა უთრთოლავს გულის თქმით და მწუხარებით) რუქაია!

რ უ ქ ა ი ა: გაჩუმდი. (ჰკოცნის ტუჩებში) ეჭვს ნუ გაიტარებ გულში. განა შეიძლება შენმა მნახველმა სხვა შეიყვაროს? მაგრამ ის მეფეა... და მრისხანეა, როგორც მახვილი. წარმოიდგინე, მხოლოდ ერთგვარი შეხედვა და ხმის მიმოქცევა აქვს სოლეიმანს სიყვარულისათვისაც, განრისხებისათვისაც, ალერსისათვისაც, სასჯელისათვისაც. როცა იყურება, ასე გგონია ქვას გახვრეტს იმის ცქერაო. ახლაც-კი ისე მგონია, თითქო თბილისიდან მიყურებს და მხედავს და ვერც მთები, ვერც ტყე და კლდე და ვერც ქვიდ-

ლები ·ვერა მფარავს მის თვალთაგანა... (კანკალებს და ეკვრის ერეკლეს. . ერეკლე უნებურად შეჰკრთება, აქეთ-იქით იხედება. რუქაია იცინის ნელის სიცილითა და თითქო ხმა უთრთოლავს, უკანკალებსო). ჰხედავ, შენც კანკალმა აგიტანა... აბა სად გავექცევით ამისთანა კაცს?

ერეკლე: (თავში იტაცებს ხელებსა) გონება წამართვი, არ მესმის, რა ამბავია ჩემს თავს. ერთი რამ მწადიან ძხოლოდ: შენ გიყურო, შენ გეტრფოდე!..

რუქაია: (იმავ ნეტარის აღგზნებულის გულის თქმით). მეცა... მეც ეგ მინდა, მეც ეგ მწადიან მხოლოდ... (გამოჩნდება ალ-რაზაკი ჩრდილში და ყურს უგდებს) ოჰ, რა ბედნიერად გავატარებთ ღამეებს, ჩემო ძვირფასო. ისე გავსრიალდები, როგორც გველი ღამეში. ჩემი სიარული სუ-ბუქია, როგორც ბუმბული. ისე გადავაბიჯებ მძინარე ძაღლს და დავბრუნდები უკან, რომ ვერა გაიგოს-რა... შენ ჩემს ნებაზედ იყავი და ისეთს ბედნიერებას მოგანიჭებ, როგორიც არც ერთს კაცს არ გამოეცადოს... (უცბად შეჰკივლებს ნელის ხმით და იყურება ბუჩქებისაკენ, საცა დამალულია ალ-რაზაკი) ვილაც არის... (ერეკლე გაექანება ‹ბუჩქებისაკენ და სწვდება ალ-რა-ზაკს)

V

ალ-რაზაკი: (უნდა დაიყვიროს) აქეთ... (ერეკლე სწრაფად მოუკუმავს პირს და ყელში წაუპერს ხელს)

რუქაია: (მიირბენს და იცნობს ალ-რაზაკს) მოჰკალ, მოჰკალ!..

ერეკლე: გაჩუქებ სიცოცხლეს, თუ დაიფიცავ...

რუქაია: მოჰკალ! საჭურისია! ძალლია! დაიფიცავს და შენც დაგღუპავს და მეც! მოჰკალ!

ერეკლე: (ამოიღებს ხანჯალს, უნდა დასცეს მაგრამ შესდგება) რუქაია, ისე შემოშცქერის...

რუქაია: მხდალო, ჩაეც ხანჯალი!

ერეკლე: (ჩასცემს ხანჯალს შიგ გულში. საჭურისი ხმა-ამოუღებლივ ფართხალებს. შეძრწუნებული) მოვკალი!

რუქაია: (დაიხრება და ჩასცქერის თვალებში). ახლა ვეღარას იტყვის. (აღგზნებით და დიდხანს ჰკოცნის ერეკლეს. აჩქარებით) შეგატყობინებ ჩემს ამბავს. ახლო იყავ მუდამ. გაიქეცი ახლა! (ჩუმად მიიმალება ჩრდილში. დათო შემორბის მეორე მხრიდან)

VI

დ ა თ ო: ოთარ-ბეგი სახლს გარს უვლის დარაჯებით... ნეტავ, რა ამბავია?

ე რ ე კ ლ ე: (თითქმის ცნობიერება დაკარგული) საჭურისი! მოვკალი საჭურისი! იმ ქალმა მიბრძანა.

დ ა თ ო: შენ დაგვღუპავ ყველას! გავიქცეთ, თავი მოვიმძინაროთ. (ძალით მიჰყავს ერეკლე. შემოდის ოთარ-ბეგი საომრად ჩაცმული. უკან დარაჯნი მოსდევენ)

VII

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ერთ-ერთს დარაჯს) წადი და სანაცვლო დარაჯნი მოიყვანე.. მე ამალამ თვალს არ მოვხუჭავ.

ე რ თ-ე რ თ ი დ ა რ ა ჯ თ ა გ ა ნ ი: აქ უყურე, ბატონო... აქ ვილაც კაცია... მოუკლავთ! (ოთარ-ბეგი და დარაჯნი მიუახლოვდებიან. შეძრწუნებით შესძახებენ: „ალ-რაზაკი“)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მართლა ალ-რაზაკია! ჩქარა წყალი!

ს ა ე რ თ ო ლ ა პ ა რ ა კ ი: გულში აქვს ჩაცემული ხანჯალი... ლალატია... ბალი უნდა

დავიაროთ. შველა გვინდა! (მეორე სართულის დაჩვრეტილ დარაბებთან ფანჯარაში გამოჩნდება დედოფალი ზეინაბი)

VIII

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ბრძანების კილოთი) ვინა ჰბედავს და მიფრთხობს ძილს, არ მაძლევს მოსვენებას? (გაბრუნდება და უძახის) ალ-რაზაკ! ჩადი ძირსა! დაუძახე ოთარ-ბეგსა და დარაჯებს!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ქვევიდან) ოთარ-ბეგი აქ გახლავს, ხელმწიფეო. შენ გიფრთხილდებოდა; ცდილობდა, რომ შენი ძილი არავის დაეფრთხო. თვალი არ მომიხუჭნია მთელ ღამეს, სულ სახლს ვუვლი გარშემო დარაჯებითა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (განრისხებით) ალ-რაზაკ!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (ათრთოლებულის ხმით) ალ-რაზაკი მოუკლავთ, დედოფალო. ეს ეს არის ეხლა ვიპოვეთ მისი გვამი. აგერ აქ გახლავთ! დარაჯთა ხმაურობამ გამოგაღვიძა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (შეწუხებული) მოუკლავთ! ვის მოუკლავს?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: რა მოგახსენო, დედოფალო!

(შემოკრბებიან დარაჯნი და ოთარ-ბეგის მსახურნი. მათ შორის ბესო, ანანია, დათო, ერეკლე. ყველანი ჰღელავენ)

IX

ზ ე ი ნ ა ბ ი: (მოშორდება ფანჯარას) მოუკლავთ ალ-რაზაკი! (დედოფალი აღარა სჩანს)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (მრისხანედ ხალხს) თქვენ, ეი, ჩემო ყმანო და მხლებელნო! ჩემს სახლში მოჰკლეს მეფისაგან ჩემთან გამოგზავნილი მისი მახლობელი ყმა და კარის-კაცი. ვისმა ხელმა გაჰბედა და შეარცხვინა ჩემი სახლი? (დუმილი)

რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ა რ ა ჯ ი: ქრისტეანების ბრალი იქნება! ეტყობა, ჩასაფრებულნი არიან! მივმართოთ იარალს! ამოვწყვიტოთ წყეული ძალლები! (იშიშვლებენ ხმლებს და ცეცხლსა ჰყრიან თვალთაგან)

ბ ე ს ო დ ა ო თ ა რ-ბ ე გ ი ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე მ ს ა ხ უ რ ი: ჩვენ არ ვიცნობდით მოკლულსა. ერთგულნი ყმანი ვართ დიდის ბატონისა! იქნება თქვენა გძულდათ... მოჰკალით აქა და გინდათ ჩვენ გადაგვაბრალოთ... ეს ღალატია! (იშიშვლებენ ხმლებსა და ხანჯლებს. ფანჯ-

რებში გამოჩნდებიან შეშინებული დედაკაცნი. ჩხუბი უფრო და უფრო ძლიერდება. ისმის დედაკაცთა წივილ-კივილი)

დ ა რ ა ჯ ნ ი: უნდა ავიკლოთ ეს ბუდე ლალატისა! ლა ილლა ილ ალლა! დაჭკა! დაჭკა!

ო თ ა რ-ბ ე გ ი ს მ ხ ლ ე ბ ე ლ ნ ი: გვიშველეთ, ქრისტეანებო! ოთარ-ბეგის ხალხსა ჰხოცავენ!

ე რ თ ნ ი: წყეული ძაღლები!

ს ხ ვ ა ნ ი: ონავარი მგლები!..

(ყოველივე ესე საოცარის სისწრაფით სწარმოებს. ხმლებსა და ხანჯლებს სულ პრიალი გააქვთ. ორისავე ბანაკის ხალხი აქეთ-იქიდან მორბიან)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ჩააგეთ ხმალ-ხანჯალი, ძაღლებო! (ყველანი ხმას გაჰკმენდავენ) ნუთუ უკვე მე არა ვარ წინამძღოლი მეფე სოლეიმანის ქართველთა ჯარისა? ნუთუ უკვე საკმაო არ იქნება ერთი ჩემი სიტყვა, რომ ბრალიანუბრალოს თავი ძირს ჰგორავდეს სისხლში მოთხვრილი?! ჩააგეთ-მეთქი ხმალ-ხანჯალი?! (ყველანი ჩააგებენ ხმალ-ხანჯალს ქარქაშებში და მხოლოდ მრისხანედ და გაბოროტებით უბრიალებენ თვალებს ერთმანეთს) მხედარნო და მხლებელნო! შერცხვა ჩემი ქალარა თავი! გარეშე აქ ვე-

რავინ შემოჰბედავდა. მკვლელი ან ჩემი მხლებელი უნდა იყოს, ან დარაჯთაგანი. (ისმის ხმა დრტვინვისა) გამიგონეთ-მეთქი! (ანიშნებს ყველას პირველ დარაჯს არაბსა) იბნ-საადი მთელს ლამეს ჩემთან იყო და ერთ წუთს არ მომშორებია. იბნ-საად, აი ჩემი ბეჭედი, გაფრინდი ახლავე გორში და ხუთასი ჯარის-კაცი მომგვარე დაუყოვნებლივ! (იბნ-საადი იმ წამსვე გაექანება) ახლა-კი მკვლელი სძებნეთ! უკეთუ ჯარის მოსვლამდე არ გიპოვნიათ, ყველას, ვინც აქა ხართ, ვინც ამ სახლში სცხოვრობს და ვინც დედოფალს ეახლა, მზის ამოსვლისთანავე ნაჭერ-ნაჭერ ავაკუწვინებ! (საერთო ხმაურობაა, ყველა ჰლელავს. ისმის ლაპარაკი: „მე ბატონთან ვიყავი... მე ცხენებს ვყარაულობდი... მე დარაჯად ვიდგექი... ღმერთმა შეაჩვენოს მკვლელი! გამოტყდით; ყველა რად უნდა დაიღუპოს!..“ ხმაურობა თანდათან უფრო ძლიერდება)

დ ა თ ო: (წავა სცენის სიღრმისკენ ხმაურობის დროს, შესდგება მაღალ ღობეზე და, ხელით მარგილზე დაბჯენილი, იძახის) ხალხო და ჯამაათო!.. (ყველა იქით მიიხედავს) საჭურისი წინდაწინ წავიდა საიქიოს და უნდა შეატყობინოს მაჰმადს, რომ მალე მივა იქ აბეზარი მგელი სოლეიმანიცა. მე, დათო გლახამ გაევზავნე!

მობრძანდით და დამიჭირეთ. (სასწრაფოდ გადახტება ღობიდან და გაჰქრება. ყველანი საშინელის ყიჟინით გამოეკიდებიან)

ხმები: ცხენს მოაფრინდა... არიქა, მდევარი! (ისმის თოფის სროლა)

ხმა დათოსი: თქვენი თოფი დაბმულებს ესროლეთ, თქვე ძაღლებო! (საშინელი ყიჟინი და ყვირილია)

ხმები: არიქა, ცხენები! სამნი დაედევნენ... შორს წავიდა ძალიან! (მოისმის შორიდან თოფის სროლა) ქიარიმა ცხენიდან გადმოვარდა... მოჰკლა იმ წყეულმა! უკან ჩამორჩნენ... სამნი კიდევ მისდევენ... შენი მტერი, იმას ველარაფერი დაეწიოს.

ოთარ-ბეგი: (ლამის გაგიჟდეს სიბრაზით) ასი ოქრო, ვინც იმის თავს მომიტანს! ათი ცხენოსანი მდევრადა'.. (ათი კაცი გაექანება... თვალს მოჰკრავს ანანიასა და ერეკლეს) ამათ უნდა გამცენ პასუხი! გაახურეთ რკინა! გვამი წაილეთ. წამოიყვანეთ ეგენი! (კოშკის კარებში გამოჩნდება ზეინაბი, დაჰყურდნობია მოხუცს მხევალსა და რუქაიას, რომელიც ზედ ეკვრის დედოფალს)

X

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოთარ-ბეგ! ეს რას ჰნიშნავს? (ყველანი სდუმან)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (თავს დაბრის) ღალატი შემოიპარა ჩემს სახლში, ხელმწიფეო, სამი გველი შემოძვრა ჩემთან, მორჩილებით, მოიკალათეს ჩემ ჭერ-ქვეშ და სასიკვდილოდ დასუნთქეს ჩემი სტუმარი და მეგობარი. ნება მიბოძე, თავი გავუჭეჭყო იმათა და მერე გამიკითხე მეცა. ერთი გამექცა, მაგრამ ორიკი ხელში მყავს. (წასვლას აპირებს) მალე გეახლები, ხელმწიფეო. წამოიყვანეთ ესენი!

ზ ე ი ნ ა ბ ი: დაიცა! მე თვითონ ჩამოვართმევ ჩვენებას (იცნობს ერეკლეს და ანანიას და გაფითრდება) ესენი არიან მკვლელნი?!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ემაგის შვილი, ხელმწიფეო, ძმა ამ ლაწირაკისა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (სდუმს და ჩამოდის კიბეზე. დედოფალსა და შეკრულთ შორის სდგას სიბრაზისაგან აკანკალებული ოთარ-ბეგი. ოთხ კაცს უჭირავს ანანია და ერეკლე. მათ უკან ათი-თორმეტი ჯარისკაცი სდგას. ზეინაბს უკან რუქაიაა. ექვსიოდე კაცს აუღიათ გვამი ალ-რაზაკისა და ცალკე ჯგუფად სდგანან. ფანჯარაში დედაკაცთა სახენი სჩანს) რისთვის მოჰკალით ის კაცი?

ა ნ ა ნ ი ა: (ყურ-გამახვილებული) ჩვენ არაფერში დამნაშავენი არა ვართ, დედოფალო, არც მე და არც ჩემმა შვილმა არ ვიცოდით, რაც იმ ბოროტს განზრახვა ჩაუდვია გულში! ჩემდა საუბედუროდ გამოვზარდე მე ის წყეული! (ყურ-გამახვილებული)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (დიდის სიყვარულით შესცქერის ერეკლეს, მაგრამ სასტიკის კილოთი მიჰმართავს) როგორ იკისრე, ბავშვო, ამისთანა საქმე?

ე რ ე კ ლ ე: (უცქერის რუქაიას, რომელიც შეუმჩნევლად ანიშნებს თავის გაქნევით უარის თქმასა) მე არა ვიცოდი-რა, დედოფალო!

ა ნ ა ნ ი ა: მე და ეს ბავშვი ცხენებთან ვიყავით, დედოფალო, თავლაში და იქ გვეძინა. ჰკითხე, ბატონო, ყველას, ვინც იქ იყო. უცებ გვესმის ყვირილი... ხმა შესვლა-გასვლისა და სირბილისა... წამოვცვივდით... ყველას ვეკითხებოდით კიდეცა, დათო ხომ არ გინახავთ-მეთქი...

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (გაცეცხლებით) სტყუი, გადაყრუებულო ქოფაკო!.. გიცნობ, რაც შვილი ხარ...

ზ ე ი ნ ა ბ ი (ოთარ-ბეგს) ვინ ჰბედავს და ჩვენებას ართმევს დამნაშავეს დედოფალთან ერთად?

ოთარ-ბეგი: მომიტევე, ხელმწიფეო!

ზეინაბი: სახლში შეიტანეთ გვამი. (გვამი მიაქვთ დარაჯთ. მიჰმართავს ხალხს) წადით თქვენ თქვენს ბინაზედ! (ოთხს გარდა, რომელთაც ანანია და ერეკლე ჰყავთ შეპყრობილი, ყველანი წავლენ-წამოვლენ) წადი, ლამაზო, დაიძინე, ალარავინ გაგიფრთხობს ამას იქით ძილსა.

რუქაია: (არ უნდა წასვლა) მეშინიან, ქალბატონო, უშენოდ.

ზეინაბი: (ბრძანების კილოთი) წადი, წადი! ნამიანი ღამე და უძილობა აწყენს შენს სილამაზეს. დარაჯნი დადგებიან შენ კარ წინ, რომ ალარ შეგეშინდეს. წადი!

რუქაია: (გაბოროტებით შეჰხედავს დედოფალს) ვასრულებ შენს ბრძანებას, ქალბატონო. (ერეკლეს ახლო რომ გაივლის, შეჩერდება და ნახის ხმით და განსაკუთრებულის მნიშვნელობის მიცემით ეუბნება დედოფალს) ახლავე უბრძანებ, დედოფალო, მაგათ დასჯასა?

ზეინაბი: (გაკვირვებული თავს მაღლა აიღებს და მედიდურად) შენ რად გინდა იცოდე, რასაც გადავწყვეტავ?

რუქაია: (თავ-დამცირებით) იქნება თვით მეფე-ბატონმა მოინდომოს, დედოფალო, ჩვენების ჩამორთმევა... მომიტევე, რომ ჩემი

სულელური სიტყვა მოგახსენე.(ჰკოცნის ხელზედ, შეხედავს ერეკლეს და მიდის)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (შეჰყურებს ერეკლეს და ისე ეუბნება) რუქაია მართალს ამბობს. (ძალას ატანს თავს და ბრძანების კილოთი) გაუყარეთ ბორკილები, მაგრამ ხელის ხლება არავინ გაჰბედოს მაგათი. წაიყვანეთ. (ანანია და ერეკლე მიდიან. დედოფალი დიდხანს უცქერის მიმავალთ და მიმტკნარებული. დაეცემა ტახტზედ კაკლის ხის ქვეშა. ოთარ-ბეგი გაექანება მისკენ)

XI

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დიდებულო დედოფალო, მაპატიე! მე შენმა დიდი ხნის ყმამა და მსახურმა, მოსვენება ვერ მოგანიჭე, ძილი დაგიფრთხე. (თავი უცანცარებს, თითქო რეტი დაესხაო) ღირსი ვარ სასჯელისა—ვერა გთხოვთ შეწყნარებასა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ნურც ელი, ოთარ-ბეგ.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დიდებულო დედოფალო! ძლიერო დედოფალო! (მუხლის თავებზედ დაეცემა) შენმა გულის-წყრომამ, შენმა მრისხანე ათვალწუნებამ დამლუპა მე. მაგრამ, დაე მარტო მე ვიყო მსხვერპლი შენის გულის-წყრომისა. მარტო ჩემი სისხლი დაიქცეს შენის

ჭირის სანაცვალოდ. შეიწყალე მხოლოდ ასული ჩემი, ხელმწიფეო; ნუ ინებებ მის დალუპვას.

ზ ე ი ნ ა ბ ი: აგრე ძალიან გიყვარს, განა?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (არევით, ფეხ ქვეშ ეგება დედოფალს) ოჰ, დედოფალო! ნეტა გაგეგონა იმისი ლაპარაკი... მეც არ ვიცოდი, თუ ასე ძლიერ მიყვარდა... თვით მე გამცემელი ვარ, დიდად შემცოდე... ჩემის ღმერთის მგმობელი... ისკი, ოჰ, დიდებულო ბატონო, ის-ღა მაგონებს ჩემს ახალგაზრდობას, ჩემს ყმაწვილ-კაცობას. დიდიხანია, არ მენახა—დღესა ვნახე მხოლოდ... ოჰ, ბატონო! დიდებულო, ძლიერო დედოფალო! ყოველივე გავწირე შენთვისა და მეფისათვის... ყოველივე დავივიწყე თქვენის დიდებისა, თქვენის ძლევა-მოსილებისათვის... არა ვარ მოღალატე... დიდებულო ხელმწიფეო... არა, არა ვარ მოღალატე... დაე, მარტო მე გამაქროს შენმა რისხვამ... ის განუტევე, იმას მიანიჭე თავისუფლება, ნუ წარწყმედ იმის სულს... მე, მარტო მე წამწყმიდე. (ქვითინებს და ჰკოცნის დედოფლის კაბის კალთებსა)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (გახარებული, გულში იკლავს სიხა-

რულს) ოთარ-ბეგ! მერე ვინ დაიფარავს შენს ქალს შენ სიკვდილს შემდეგ? სად წაუვა, სად გაექცევა იმათ, ვინც ისე დაძრწიან ახლა საქართველოში, როგორც მგელნი ფარეხთა შორის?

ოთარ-ბეგი: მე მყავს ერთი ერთგული ყმა. ის გადიყვანს იმერეთში.

ზეინაბი: შენ არ მითხარი განა ამას წინად—ოსმალნი რითა სჯობიან სპარსელებსა და არაბებსაო? არსად არ არის მისთვის სავანე, თავ-შესაფარი, ოთარ-ბეგ, არსად! არ არის თავისუფალი ადამიანი, არ არის ხელის-გულის ტოლა თავისუფალი ადგილი კასპის ზღვიდან შავ-ზღვამდე. ყველგან მხოლოდ სისხლის ღვრაა და ძალ-მომრეობა, ყველგან ისლამს უდგია ფეხი ძირს გართხმულთა გულმკერდზედ, ყველგან მდუღარებას აბნევენ, ყველგან ცრემლი და მონობაა, ყველგან სიკვდილი, სისაწყლე, ტყვეობა, ტანჯვა, წამება... და მონობა, მონობა, მონობა, მარტოოდენ მონობა, ვით შავ-ბნელი ღამე!

ოთარ-ბეგი: (გაოცებული დედოფლის ლაპარაკის სხვანაირის კილოთი) დიდებულო დედოფალო...

ზ ე ი ნ ა ბ ი: სად არის, სად, ეგ დედოფალი? ვის უწოდებ მაგრე, ოთარ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: შენა, დედოფალო ზეინაბ!

ზ ე ი ნ ა ბ ი: მე ვიცნობდი დედოფალს თამარს, მე-კი, მე მონა ვარ, მხევალი და არა დედოფალი. მე მახსოვს ახალგაზრდა, თავმომწონე, პირ-ბადე მოუბურავი თამარი, ბრწყინვალე და მხიარული მეგობარი მეფე თეიმურაზისა! მახსოვს თამარი—სიცოცხლე და სიხარული თავისუფალისა და ღვთის ერისა! ჩემს გარშემო ფუტკარივით ირეოდნენ თქვენი თავისუფალნი ასულნი და მეუღლენი, თავადნი და აზნაურნი! დიდ ბედნიერ დღეს ასტყდებოდა წმინდა ზარების რეკა და ჩვენს კურთხეულ ქვეყნის ცის ქვეშ, მორთულ ვენახთა და კეთილ სურნელოვან მინდორთა შორის, გავემართებოდით მამა-პაპათა სალოცავში. გზაში თავისუფლად გვიერთდებოდნენ, ვინც შეგვხვდებოდა და სიმრავლე თავისუფალის ერისა მიემართებოდა, თავის მეფე-დედოფლის წინამძღოლობით, თავისუფალ ეკლესიაში—საკუთარ სიწმინდეთა თავისუფლად მოსალოცად. თავისუფალ სიმღერას გაჰქონდა გუგუნი ჩვენს სუფრაზედ მამა-

პაპის სალოცავ ტაძრების ზღუდეთა შორის. ილხენდა და ნადიმობდა მეფე გალაღებულის ერისა თავისს გალაღებულს მაძულში, ლაღად გადაშლილ, კამარად შეკრულ ცის ქვეშა. დიდებული იყო, უსაზღვროდ დიდებული ჩვენი სანადიმო სასახლეცა! ჭერად ჰქონდა ცის კამარა, კედლებად—მწვანე ტყეები, ძირს ეფინა ზურმუხტის ფერი ხავერდი; იქვე ამართული იყო წმინდა წმინდათა ერისა, მამაპაპათა ტაძარი. გალაღებული ქართველიც თავისუფლად უხსნიდა გულს სასიყვარულოდ თავისუფლად აღზრდილს ქართველს ქალს. დედანი უშიშრად იკრავდნენ გულში თავიანთ შვილებსა! უშიშრად მისდევდა გუთნისდედა თავის გუთანს, უშიშრად უვლიდა მწყემსი თავის საქონელს და ყველა თავისუფლად ირთვლევდა თავის ვენახს, იმკიდა თავის ჭირნახულს. ღმერთიც, თვისის წმინდანებით გარსშემოხვეული, ულიმოდა საქართველოს და აკურთხებდა თვისის ერის ლხინსა და ხადილსა, იმიტომ რომ ეს ერი იყო ერთადერთი სიმტკიცე წმინდა ჯვარისა მთელ აღმოსავლეთის თვალ-გადუწვდენელს სივრცეზე... ახლა-ღა?

ოთარ-ბეგი: ხელმწიფეო!

ზეინაბი: აგერ ორნი ვართ, ოთარ და შევცქერით ერთმანეთს. ჩემმა თვალებმა გადივიწყა ტირილი და სამაგიეროდ ისწავლა ტყუილი, პირ-მოთნეობა, უძილობა ფიქრისა და დარდის გამო. შენა—შენ, ძლიერო მებრძოლო და მეგობარო თეიმურაზისა, რა ხარ მთელის შენის ძალ-ღონითა და უფლებით? შენა ხარ მონა. შენ ძალი ხარ სოლეიმანისა; გამოსადეგი მხოლოდ იმად, რომ ნანადირევი არ მოაკლო ბატონს და კანკალებდე იმის მათრახის შიშით, ფეხ-და-ფეხ მისდევდე იმის ცხენს. ამოდენის სამსახურისათვის გტაცებენ საყვარელს ასულს, ჰლუპავენ უცხო ქვეყანაში, რომ ერთ-ორ ღამეს დაატკბოს მტარვალი ჩვენის სამშობლო ქვეყნისა. შენ თვითონაც სიკვდილი მოგელის, იმიტომ რომ სხვამ მოჰკლა საზიზღარი არსება—საჭურისი. საქართველო-ღა, ოთარ, საქართველო? მიიხედ-მოიხედე, რა ამბავია გარშემო? გეუბნები, მარტოოდენ მონობა, მონობა ისეთი, როგორც შავ-ბნელი ღამე.

ოთარ-ბეგი: (წაივლებს თავში ხელს) დედოფალო, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: მე-ღა? იცი, ვისი ვუბრძანე, ბორკილები დაადეთ-მეთქი? იცი, ვინ უნდა ჩავუყვანო სოლეიმანს ხელ-ფეხში ბორკილ-გაყრილი? იცი, ვინ მოკვდება საშინელის წამებით ჩემ თვალ-წინა? ოთარ, იცი ვინა?.. ჩემი შვილი!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (თავზარდაცემული) როგორ შენი შვილი, დედოფალო?

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოცი წელიწადია თვალით არ დამინახავს! სხვისმა ხელმა აღზარდა, სხვისი თვალები უცქეროდა, როგორ იზრდებოდა, როგორ ვაჟკაცდებოდა! სხვის ყურებს ესმოდა იმის ხმა; მე-კი არ შემეძლო ერთხელ მაინც, შორიდან მაინც დამენახა, თვალი მომეკრა ამ ოცს წელიწადში. აი, დღეს პირველად დავინახე და არ შემეძლო კი ახლო მივკარებოდი, სიხარულის ცრემლები მეფრქვია, გულში ჩამეკრა! პირველი ჩემი სიტყვა მისთვის იყო სიტყვა განსჯისა, ხოლო პირველი ალერსი—ბორკილები!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მერე როგორ გადარჩა, თამარ? მთელი ქვეყანა ამბობს, რომ მოჰკლესო.

ზ ე ი ნ ა ბ ი: მოიგონე ის ღამე შემდეგ ბრძოლისა, როცა მოჰკლეს თეიმურაზი და პირ-

ქვე დაამხეს საქართველო. დაჩეხილი, სისხლში მოთხვრილი რამდენისამე მეომარით მოიქერი ჩემთან მეტეხის ციხეში, რომ გეუწყებინა სიკვდილი ჩემის ქმრისა და დალუპვა საძეფოსი. დაემხე მაშინ ჩემ ფეხ-ქვეშ და სისხლი თქრიალით გადმოგდიოდა მაგ წყლულიდან... (ანიშნებს ნახმალევს პირისახეზე)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: საშინელი, შავ-უკულმა დღე იყო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: დაგცქეროდი მაშინ, ოთარ, და გულში ვიხუტებდი ქორფა ბავშვსა. ჩვენი ჯარი და მხედრობა, თუ კიდევ ვინმე გადარჩენილიყო, იცავდა ციხეს და იხოცებოდნენ ერთი-ერთმანეთზე თავ-განწირულნი ვაჟკაცნი. სოლეიმანის ჯარი-კი კალიასავით მოჰფენოდა ქალაქის გარემო გორებს გალმაცა და გამოლმაცა. ქალაქს ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული და გაჰქონდათ სახლებს გიზგიზი. ისე სჩანდა ღამე, როგორც დღისით. საცოდაობის ლული იდგა გარშემო. იყო გლოვა და გოდება, კვნესა და გმინვა. მტკვარი წითლად იყო შეღებილი სისხლითა. ვეღარსად ვერ გამაგრდა ჩვენი მხედრობა. სიმაგრეს სიმაგრეზე ვკარგავდით. ძლევა-მოსი-

ლი ყიჟინი მტრებისა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. სამი ადამიანი-ღა ვიცავდით უკანასკნელს სიმაგრეს: მე, ჩემი ძუძუ-მწოვარა შვილი, რომელიც ხელში მეჭირა და ცოცხალ-მკვდარი, ჩემ ფეხ-ქვეშ დამხობილი მეომარი—შენა! (ორივენი მდუმარებენ) ოჰ, ყოველივე წუთი მახსოვს იმ ღამისა. ასე მგონია გული ამომწვვეს და ყოველივე ისე ჩაწერეს შიგამეთქი. შენ გონს მოხვედი და შემომხედე თვალებში. გახსოვს, ოთარ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (დიდად აღელვებული) მახსოვს, თამარ. მე წამოვდექი და დადუმებული წავედი, რომ კვლავ შენთვის ბრძოლაში დამექცია უკანასკნელი წვეთი სისხლი; მივდიოდი კედელ-კედელ, რაკი თავი არა მქონდა სიარულისა და ხან რას ვებღაუჭებოდი და ხან რას, რომ არ წავქცეულიყავ, ისე მქონდა თავი დამძიმებული და თვალები არეული სისხლისაგან დაცლითა. რა გადამხდა მერე, აღარ მახსოვს. გონს მოვედი და გამოვტრიალდი მხოლოდ კარგა ხანს შემდეგ და, ღმერთია მოწამე, რომ ვიბრძოდი შენთვის იმ დრომდე, ვიდრე არ გავარდა საშინელი, საზარელი ხმა, რომ შენ, თამარ-დედოფალი...

ზ ე ი ნ ა ბ: ზეინაბ დედოფლად, სოლეიმანის საყვარელ ცოლად გადავიქეცი? გავხდი მტარვალი სამშობლოსი და მგმობელი ჩემის ღმერთისა?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: მეც შენს მაგალითს მივბაძე.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (სწვდება ხელში) მაშ, მომბაძე, ოთარ, ბოლომდე! იცი, რა მოხდა შენ შემდეგ? აი გამიგონე და ისე გამიკითხე! როცა გამხეცებულნი სპარსნი ზედ ასკდებოდნენ უკანასკნელ ჩვენ სიმაგრეს, ვხედავ ანანია გლახა მოფოფხავს მტკვრის პირას ფრიალო კლდეზე და დიდის გაჭირვებით მოაღწია ჩემს სარკმლამდე. ხელში ბავშვი ეჭირა. დიდებული საქმე მოჰხდა იმ წუთსა, ოთარ, დიდებული! როგორც სვეტი ნათლისა, ისე მინათებდა ის ამბავი მთელს ჩემს სიცოცხლეში; მან მასწავლა, როგორ უნდა იცხოვროს ქვეყნად კაცმა ადამიანურად.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: რა საქმესა ბრძანებ, დედოფალო, რა ამბავსა?

ზ ე ი ნ ა ბ ი: (მთელის არსებით გატაცებული მოგონებებით, ყოვლად აღფრთოვანებული) გლახამ მითხრა: სპარსნი ეძებენ შენ შვილსა. იმისი ეშინიანთ ყველაზედ უმეტესად. მომეც მე შენი

შვილი. მოგგვრი მაშინ, როცა დრო იქნება. დაე, ჩემი შვილი მოჰკვდეს მაგის მაგიერადაო—გამომართვა შვილი სარკმლიდანა და გაჰქრა. ხოლო, როცა შემომიცვივდნენ ოთახში მტარვალნი და გარს შემომეხვივნენ, ხელში ანანიას შვილი მეჭირა. ერთად გამოგვათრიეს სახლიდან. ჩვენმა მოღალატე თავადიშვილებმა მომრთეს დედოფლად, მომცეს ხელში ოქროს სინი და ზედ დასდეს გასაღები უკვე აღებულის ციხისა. ჩამკიდეს ხელი, გამოშიყვანეს გარედ და იქ დამაჩოქეს მტვერში. შეჰბოჭეს საცოდავი ბავშვი და დააგდეს ჩემ ფეხ წინა. დიდის ამბით მოვიდა ცხენით, გამარჯვებით დამთვრალი მეფე სოლეიმანი; დაჰხედა ბავშვსა და ამ დროს ცხენმა ფეხი ჩასცა შიგ გულში. ოჰ, რანაირ შესწივლა საწყალმა, შესწივლა უკანასკნელად! (პირზე ხელებს იფარებს)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (გულის სილრმემდე შერყეული და შეძრწუნებული) ოჰ, მოწამეო ღვთისაო! (დუმილი)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (სულ წარსულის მოგონებით შთანთქმული) ისახარი ჩემი გამდელი იყო. ერთად მოგვეცა შვილები. იმ საშინელს ღამეს მამამ გაგმოართვა დედას შვილი და მე მომიყვანა. ერეკლე ერქვა სახელად. ეს სახელი ჰქვიან

დღესაც ჩემ გიორგის. მტერს რომ არ მიეკვ-
ლია მისი კვალი, ისახარი ჩემთან დარჩა;
დასტოვა სახლი, ქმარი და მეორე უკანასკ-
ნელი შვილი. მამიდამ გაუწია ორივეს დე-
დობა. ერთი წელიწადი ისე გავიდა, რომ არ
ვიცოდი, ცოცხალი გადარჩა, თუ ისიც დაი-
ღუპა. ერთის წლის მემდეგ ერთგულმა მსა-
ხურმა მაცნობა, რომ გიორგი ცოცხალიაო.
ოთარ, დადგა ჩემთვის დრო შერცხვენისა,
ცოდვისა, თავ-ლაფ-დასხმისა. მივიღე იმათი
დაწყევლილი სარწმუნოება! სოლეიმანის ნდო-
ბის მოსაპოვებლად, მეც იმისთანა გავხდი,
როგორიც ის არის! მეც ჩაგვრასა და სისხ-
ლის ღვრასა ვთხოულობდი; ჩემი ახალი სა-
ხელი უფრო საშინელი შეიქმნა ჩემს სამშო-
ბლოში, ვიდრე სახელი მისის ჯალათისა!
ულამაზო არ ვიყავ და ჩემი სილამაზე თავის
გულისთქმათა სათამაშოდ გაიხადა. ჩემი სა-
ხელი, პატიოსნება, სიყვარული, მეფური
დიდება—ყოველივე ტალახში ამოვსვარე არა-
ბისტანიდან გადმოვარდნილის საამებლად.
მივეჩვიე, ვისწავლე ტყუილის თქმა, და ვსტყუ-
ოდი პირი-სახით, ხმით, გულის-თქმით,
მთლად ჩემის არსებით... გადიოდა დრო და
იღუპებოდნენ ნათესავნი, მეგობარნი ერთ-

გულნი ყმანი და მსახურნი. გავიქვავე გული, ამოვიგლიჯე გულიდან გრძნობა ვისიმე შებრალებისა. შებრალებაც, სიყვარულიც და სვინიდისის ქეჯნაც—ყოველივე დაითრგუნა, ჩაკვდა ჩემს გულში. აღარავინ მიყვარს უკვე, აღარც ნათესავი, აღარც მეგობარი... აღარც ღვიძლი შვილი... ისიც კი ამოვირეცხე გულიდან... მიყვარს მხოლოდ ერი, ჩემი ტანჯული და წამებული, ღარიბი და ღატაკი ერი. იმას შევსწირე მსხვერპლად სახელი, პატიოსნება დედოფლისა და დედაკაცისა, ალალ-მართლობა ჩემის გულისა, ხსნა ჩემის უკვდავის სულისა! ამაზედ მეტი რალა შემეძლო გამეწირა?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: თამარ, ნუთუ ვერ ჩაიგდე ხელში დრო გაგეგმირა გული მტარვალისა?

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოთარ, განა ღირდა შურისძიებისათვის გამეწირა ყოველივე, რაც გავწირე? მეც პირველში სულ ეგ შურისძიება მედგა თვალ-წინ. რამდენჯერ მისცემია ძილს ჩემს მკერდზედ უიარაღოდ ჩემის ერმხით და ალერსით მოხიბლული და თრობილი! ხელი კი გამეწოდნა მხოლოდ და წყეულის სულთბრძოლა, სასიკვდილო მანჭვა-გრეხვა მომიკ-

ლავდა შურის-ძიების წყურვილს! მაგრამ განა შური უნდა მეძია და მხოლოდ შური უნდა მეძია მე, საქართველოს დედოფალს, საქართველოს კანონიერ მემკვიდრის დედას, ტანჯულის, წამებულის სამშობლოს ასულს? რას შეგვძენდა მისი სიკვდილი? განა დაგვიხსნიდა მონობისაგან? განა ცოტა ჰყავს შახს მაგისთანა ქმნილებანი, კიდევ უფრო მოსისხარნი, კიდევ უფრო გაუმაძღარნი სისხლის მსმელნი? არა, შურისძიების მოლოდინში არ ვიყავ მხოლოდ! მე ველოდი იმ დღეს, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა ეგ რისხვა მოსკდებოდა მთის ადიდებულ წყალივით, როცა თითოეული მონა იგრძნობდა, რომ იგიც ადამიანია და თავისუფალი უნდა იყოს, იგრძნობდა და აღსდგებოდა მტარვალთა დასამხობად! და ჩემი შვილი წინ გამოუძღვებოდა სილაღეს მოწყურებულ მებრძოლთა! მაშინ ჩემის შვილის ფერხთა ქვეშე, მის განსჯად მოვიტანდი მეც ჩემს ცოდოსა, ჩემს შერცხვენასა. საშინელი და მრისხანე იქნებოდა ჩემთვის, მის დედისათვის, სიტყვა მისის რისხვისა, მისის განსჯისა. მაგრამ იგივე რისხვა დაამხობდა ძლიერს ისლამს წმინდა ჯვარის წინაშე!...

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ჰოი, დედოფალო, წმინდაო დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: ამბობენ, რომ ბედნიერება არ არის ქვეყნადაო! არა, არის, ოთარ! აი ეგ ცრემლებია ჩემი ბედნიერება! აი ეგ შენი სახე, მრისხანე და მბრწყინავი, ეგ სახეა ჩემი ბედნიერება, ჩემი ნეტარება. უკეთუ შენ, მოსილმა პატივითა და დიდებით, არ დაივიწყე შენი სამშობლო, როგორ-ღა დაივიწყებდნენ ისინი, ვინც მუდამ მწუხარებასა, შერცხვენასა და შიშში იყვნენ!? (ბუჩქებში საბა გამოჩნდება)

ო თ ა რ-ბ ე გ ი: ჰოი, თამარ, თამარ!

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოთარ! აიღე შენი ძლევამოსილი მახვილი! არა მე მოგიწოდებ, არა ჩემი შვილი, არა შენი ასული, არამედ შენი ერი, შენი შეურაცხყოფილი და გმობილი ღმერთი! მოგიწოდებს ბავშვი, გასრესილი სოლეიმანის ცხენის ფეხითა! ის იყო გული საქართველოსი, წმინდა და უბრალო სისხლით დაცლილი.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: გამიძეღ, მიწინამძღვრე, ჰოი, დედოფალო! წყეულიმც იყოს ჩემი უკუღმართი გული! სირცხვილი ჩემს ჭალარა

თავს, სამშობლოსა და ღმერთის გამყიდველს პატივისა და ფუფუნებისათვის! არა გთხოვთ მოტევებასა, არც შენ, არც ღმერთს. აღარა ვარ ღირსი შენდობისა... შეუძლებელია შენდობა განდგომილისა, მოღალატისა, მაგრამ ვაზღვევინებ-კი, ამოვიყრი კი იმათ ჯავრს, ვინც ჩამაგდო ამ ყოფაში. ველი შენს ბრძანებას, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: ხომ იმედია, რომ მხარს მოგვცემენ ქართველნი მეომარნი?

XII

ს ა ბ ა: (წინ წამოდგება) იმედია, მთლად საქართველოც ჩვენთან იქნება.

ო თ ა რ-ბ ე გ ი (ხმალს ამოიწვდის) ვინა ხარ შენ?

ს ა ბ ა: მონა ღვთისა, საბა-ბერი.

ზ ე ი ნ ა ბ ი: წმინდაო მამაო! თვით ღმერთმა მოგავლინა შენ!

ს ა ბ ა: დიაღ, ღმერთმა! ქრისტე აღსდგა!

(ეამბორება ზეინაბს და ოთარს)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

ძველის დუქნის ნანგრევნი თბილისის ახლო, მარცხნივ კედელია სიპის ქვით უბრალოდ ნაშენი, ჭერი ძინგრეულ-მონგრეულია, კედელზედ ამოსულა ბუჩქები და ბალახ-ბულახი. მარჯვნივ დაქანებული ფერდობია, რომლის ბოლოსაც ტყე მოსჩანს. ხეებ შუა ჩამავალის მზის მოწითანო სხივები აშუქებს. ხანდისხან ქუხილი მოისმის და ელავს.

ანანია და ერეკლე ხელ-ფეხში ბორკილებ-გაყრილები წვანან დუქნის ნანგრევთა შორის. ათი ქართულად ჩაცმული კაცი დარაჯად დგას და ჰყარაულობს ტუსაღებს. დარაჯნი ხმალ-ამოღებულები და მხარზე თოფებ-გადაკიდებულები არიან. მათ შორის არის გიგაცა. ბესო კედლიდან ჩამონგრეულ ერთ-ერთ ქვაზე ზის დუქნის კარებ-წინა, მუხლებზე უდევს პატარა ტიკჭორა, პირდაპირ მასრიდანა სვამს. წინ გაშლილი აქვს ბალახზედ ლურჯი ხელ-სახოცი და ზედ უწყვია თონის პურები, ყველი, ხახვი და წითელი კვერცხები.

1

ბ ე ს ო: (მღერის) ლოთებო, ნეტავი ჩვენა!
ჰარიალალე,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,
თარიალალე.

ნოემ რა ერთხელ ინება,
ჰარიალალე,
ყურძნის წვენის გემოვნება,
თარიალალე.

გ ი გ ა: (მოხუცი კაცია და ჭალარა-შერთული წვერი აქვს). გაჩუმდი ე მანდა, შე ბრიყვო, შენა! რა გაღრიალებს? არა გრცხვენიან, რომ მაგისთანა ღვთის საგმობ სიმღერას ამბობ?!

ბ ე ს ო: (შეზარხოშებული) თავის თავად გამოითქვა ეგ ლექსი. რაკი ჯარში ცოტანი-ღა დარჩნენ ინით შელებილი წვერ-ულვაშიანები! ჰა-ჰაი! (მღერის)

თითონ ნუნუას მიუჯდა,
ჰარიალალე,
წყალი პირუტყვს დაანება,
თარიალალე.

პირუტყვსა და ჩვენს ირანელ ბატონებს და ყველა ძალლსა და მამაძალლს. აი მეხი კი დაეცეს იმათ მოტვლეპილს თავსა! (სვამს)

ა ნ ა ნ ი ა: (შეშფოთებით უცქერის ერეკლეს) სასოება წარგეკვეთა, შვილო ჩემო? ტყვეობა გულს გიწყალებს?

ე რ ე კ ლ ე: (გაფითრებული, სახე-მოქანცული

თვალები უელვარებს, თითქო აცივ-აცხელებდესო) გული გადამილია ტყვეობამ, მამა-ჩემო. ოჰ რა რიგად მწყურიან თავისუფლება! დათომ დაგვლუპა.

ანანია: წმინდა გიორგი იყოს მისი მფარველი! სისხლი აუდუღდა. გამბედაობამ გაიტაცა და დაავიწყებინა ყოველივე. (ჩუმად) ახლო-კია. გავიგე იმის ამბავი... გუშინ წამომჩურჩულა ერთმა დარაჯმა... ის დაგვიხსნის ტყვეობიდან, დამიჯერე, დაგვიხსნის.

ერეკლე: როდის, როდის? აგერ მიუახლოვდით კიდეც ქალაქს... საცაა ქალაქში გავჩნდებით...

ანანია: არა, იმედი არ უნდა დაჰკარგო, ერეკლე, მაშინაც-კი, როცა ჯალათი წინ გედგას, მაშინაც-კი, როცა მარყუჟი წაგიჭირონ და ხმალი შეამაღლონ თავის მოსაკვეთად. იმედს ნუ დაჰკარგავ, ვიდრე პირში სული გიდგია.

ერეკლე: ოჰ, რა ტანჯვაა! ახლა უნდა მედოს ბორკილები, ახლა?! და ვერა ვნახო, არა ვიცოდე-რა იმისი!.. აქვე-კია... ახლოა... მხოლოდ ეს ბორკილები მიშლის...

ანანია: რას ამბობ, ერეკლე?

ერეკლე: ან ამათ დავამტვრევ დღესა, ან თავს მოვიკლავ... აღარ შემიძლიან... მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ერთი თვალი მოვავლო ოღონდ... ერთხელ დავინახო და მერე თუნდ მოვკვდე... თუნდ მოვკვდე მერე... (ქვაზე დაემხობა პირისახით)

ბესო: (სულ ღიღინებს) თქვენ, ეი, დარაჯნო და პატიმარნო! მე აქ ლაღადა ვარ და მინდა, რომ ყველა მხიარულობდეს. სულ ერთია, ყველას ჩამოგვაღრჩობენ, ზოგს ხვალა და ზოგს პარასკევსა. მაშ, რატომ არა სვამთ? გამხიარულდით და! (წამოდგება და გაემართება ტორტმანით დუქნისაკენ ტიკჭორით ხელში. გიგა ხმაამოუღებლივ უმიზნებს დამბაჩას) ჰა, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ მესროლო, შენ, ეი, გადაყრუებულო! (აღტაცებაში მოდის და იქნევს აქეთიქით ტიკჭორას) ვის უმიზნებ შენა, ჰა? იცი, ვინა ვარ? თვითონ დიდმა ბატონმა ასჯერ მოინდომა ჩემი ჩამოხრჩობა, ცეცხლში დაწვა, წყალში დახრჩობა, მაგრამ ვერ მოახერხა და შენ-კი დამბაჩას მიმიზნებ? მე ღვინო მომაქვს შენთვისა და შენ მე დამბაჩას მიმიზნებ?

გიგა: ახლო არ მიეკარო პატიმართა!

ბესო: (ცხარობს, მაგრამ ერთ ადგილიდან არ

იძვრის) ხვალამდე დამაცადე და მე შენ გაჩ-
ვენებ, როგორც უნდა ჩემი მიზანში ამოღე-
ბა! ჩემს ბატონს აქვს ნება ღვინის სმისა,
მაშასადამე, მეცა მაქვს ნება! ჩემს ბატონს
ასი ცოლი ჰყავს, მაშასადამე, მეც შემიძლიან
ბევრი ცოლი ვიყოლიო... ერთად-კი არა,
სხვა-და-სხვა დროს... და სხვა-და-სხვა ადგი-
ლას... ერთად კი... არა, ხერხად ვერ მოვა
და ძვირადაც დაჯდება. შენ-კი დამბაჩას მი-
მიზნებ!..

ა ნ ა ნ ი ა: (გიგას) ძმობილო, ყელი ამომე-
ხახა. ნება მიეცი, ერთი ცვარი ღვინო დამა-
ლევინოს.

გ ი გ ა: (დიდ-მნიშვნელოვანებით, თავისქნევით
ანიშნებს პესოს) შენ, ეი, გამობრუჟულო, მო-
უტა ტიკჭორა მოხუცსა, პატარა ღვინო და-
ლიოს და გასწი აქედან.

ბ ე ს ო: ჰო, ნახე? შეგეშინდა განა? ეგ
არი, და! დამბაჩას-კა მიმიზნებ! (მივა მოხუც-
თან და უვსებს ყანწს. უცბად გამოფხიზლდება და
ჰმღერის)

ყოველ მხრიდან ჩვენი ხალხი,
ჰარიალალე,
აქეთ მოდის, როგორც ჯანღი,
თარიალალე (აწვდის ყანწს)

გადაჰკა და დალოცე ბესოი.

ა ნ ა ნ ი ა: (ერეკლეს) მოსვი პატარა, შვილო, ყუათს მოგცემს.

ე რ ე კ ლ ე: (არ უცქერის და ხმა-ამოუღებლი უკან წაალებინებს გამოწვდილ ყანწს)

ბ ე ს ო: ორბელიანს მალე ველით,
ჰარიალალე,
სემბატ გვიმზერს ტაბახმელით,
თარიალალე.

აბა, ასე არა სჯობიან, ე თხის ღმერთს რომ გიგავს ე წვერი? შენ-კი დამბაჩას მიმიზნებ. (ჰმღერის)

იმედს მეფე მოსკოველი,
ჰარიალალე,
გვაძლევს დიდსა, მტერთა მსვრელი,
თარიალალე...

(დარაჯნი და ანანია გაფაციცებით უგდებენ ყურს სიმღერის სიტყვებს და სცდილობენ ერთმანეთი ავ მიახვედრონ, რომ ყურს ვუგდებთო)

ა ნ ა ნ ი ა: (დასცლის ყანწს და მისცემს) ასე გაახაროს უფალმა შენი სული მეორედ მოსვლის დროს, ჩემო ძმაო!

გ ი გ ა: (მიიხედავს მარცხნივ) დაიღუპე აქედან! დედოფალი და ოთარ-ბეგი მობრძანდებიან.

ბ ე ს ო: (სასწრაფოდ მირბის და მიაქვს თავის ლურჯის ხელსახოცით ყოველივე, რაც იმაზედ ელაგა) ნუ გეშინიათ, მე გაგამართლებთ ყველას! (მღერის)

ნოემ რა ერთხელ ინება
ჰარიალალე.
ყურძნის წვენის გემოვნება,
თარიალალე. (მიდის და დუქანს
მიეფარება)

(შემოდის მარჯვნივ ზეინაბი, ოთარ-ბეგი და ორი დარაჯი ქართველთაგანი)

II

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (დარაჯებს) გიგა, შემოარტყი ხალხი ნანგრევებს და არავინ მოუშვა, დიდოფალმა ჩვენება უნდა ჩამოართვას დამნაშავეებს. (გიგა და სხვები მოშორებით დადგებიან დუქნისკენ ზურგ-მიბრუნებულები. ზეინაბი და ოთარ-ბეგი შედიან დუქანში. ანანია და ერეკლე წამოდგებიან ბორკილების ჩხარა-ჩხურით)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (შეჰყურებს ერეკლეს ღრმა მწუხარებითა და სიყვარულით) რანაირ გამოიცვალე, საწყალო ბავშვო! ძლიერ გაწუხებს განა ბორკილები?

ე რ ე კ ლ ე: არა, დედოფალო, ბორკილებიკი არა, უსამართლობა. რისთვის დაგვადეთ

ბორკილები და მიგყევართ საწამებლადა და სასიკვდილოდ? გულის-წმინდით მოვრეკეთ საჩუქრად საუკეთესო ცხენები; ის იყო მთელი ჩვენი სიმდიდრე. ჩვენ რა ვიცით, რა მოხდა იმ ღამესა? ჩემი ძმა ბალახის მოსატანად წავიდა ცხენებისათვის, ვნახოთ გვესმის ხმაურობა, ყვირილი, ხმა ჩემის ძმისა და ჩვენ-კი შეგვიპყრეს.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ჩუმად ოთარ-ბეგს) შეჰხედე, რა მეფური განრისხება ეტყობა თვალებზე! (შვილს ნაძალადევის სიმკაცრით) როგორა ჰბედავ, შებორკილი მონა დედოფალთან მაგრე ლაპარაკს?

ე რ ე კ ლ ე: (მეტის მეტად აღშფოთებული) მე მონა არა ვარ! მართალს ვამბობ. რად გვიყრია ბორკილები? მე თავისუფალი მინდა ვიყო! სულ ერთია, ცოცხალს ვერ მიმიყვან საპატიმრომდე, ჯალათამდე. ვეცემი დარაჯებს, დაე, ამკუწონ! უთუოდ თავისუფალი მინდა ვიყო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: წამებისა და სიკვდილით დასჯისა გეშინიან?! მაგოდენა კაცი სად გაიზარდე, რომ ვერ მიეჩვიე სიკვდილისა და წამების გულ-გრილად ცქერას?!

ერეკლე: (მეტის-მეტად აღელვებული) მე არაფრისა არ მეშინიან. მე მინდა თავისუფალი ვიყო მხოლოდ.

ზეინაბი: (თვალებში ცრემლები მოსდის, სწრაფად, თავშეუკავებელის აფეთქებით) იქნები კიდეც, შვილო. ოჰ, აკურთხოს ღმერთმა შენი გამბედაობა და მამაცობა! არა მარტო შენ, არამედ ყველა, ვინც შენთან ერთად ჯაჭვით იყო შებორკილი!

ერეკლე: (ფითრდება სიხარულითა და მღელვარებით) ხომ არ მეხუმრები, დედოფალო! როდის-ღა, როდის? ეხლავე?!

ზეინაბი: ეხლავე, ჩემო გულადო შავარდენო! ეხლავე, ჩემო იმედო, ჩემო თავმოსაწონებელო, ჩემო ბედნიერებავ! (მოეხვევა და ჰქვითინებს) ოთარ, ჰხედავ? აბა, ვისია ის სისხლი, რომელმაც ასე გაუწითლა ლოყები? ვისია ის ცეცხლი, რომელიც სცვივა ამის თვალთაგან?

ოთარ-ბეგი: (აღელვებული) ვხედავ, დედოფალო, და თავსაც დავდებ მაგისთვის.

ერეკლე: ეს რას ჰნიშნავს, მამა?

ანანია: მეც თავს დავდებ შენთვის, ჩემო სიცოცხლე და სიხარულო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: გული ვერ აიტანს, ოთარ! ოცი წელიწადი ითმინოს ადმიანმა და ყოველივე ერთს ღამეს მოჰხდეს. ოცი წელიწადი ითვალთმაქცოს და მერე უცებ აჰხადოს ფარდა ყოველ საიდუმლოს. ოცი წელიწადი იტანჯო და მერე უცებ ასეთი ბედნიერება!.. ანანია, დაგლოცოს ისე უფალმა, როგორც მე გლოცავ. (წაქცევას ღამის და ქვაზედ დაეშვება. დუმილია) კმარა! ერთს ღამეს უნდა გათავდეს, თორემ ყოველივე ჩაიშლება. გაიგონეთ სამივემ, რაც მინდა ვსთქვა. აჰა, ბორკილის გასაღები. (აძლევს გასაღებს)

ე რ ე კ ლ ე: (მოუთმენლობით ართმევს გასაღებს, უნდა შეიხსნას ბორკილი და ღამის სიხარულით გაგიქდეს) ჰოი, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: ჩაიდე უბეში, ცელქო ბავშვო და მოისმინე, რაც გითხრა... მე და ოთარმა აქეთ-იქით გავგზავნეთ სპარსნი, მაგრამ მაინც კიდევ ბლომად დარჩნენ. თუ ერთმა მაინც გაიგო თქვენი გაქცევა, ყოველივე დაიღუპება.

ე რ ე კ ლ ე: (გაოცებული) უნდა გავიქცეთ განა?

ზ ე ი ნ ა ბ ი: მალე ბრძანების გაცემას დაიწყებ, ჭაბუკო, ჯერ კი მორჩილება უნდა ისწავლო. როცა შევუდგებით აქედან აყრას,

დარაჯნი წინანდებურად შემოგერტყმიან. ეს ორნი (ანიშნებს იმ ორს, რომელნიც მათთან ერთად მოვიდნენ) დაიჭერენ თქვენს ადგილს. თქვენ აქ დაიმალებით, შეიხსნით ბორკილებს და დაიცდით ჯარის წასვლამდე. როცა ჯარი მოგეფარებათ თვალთაგან, მტკვარზე ჩახვალთ. იქ ტივი გელით. მეტივეებს უთხარით: „საბა-ბერი-თქო“. ერთს საათში ტივი ქალაქს ჩაგიყვანთ.

ერეკლე: დიალ, ქალაქში... იქ იქნებიან ხომ ყველანი, ვინც შენთან არიან?

ზეინაბი: ვინ ყველანი, ერეკლე?

ერეკლე: (აღელვებით შესცქერის თვალებში) მოკეთენიცა და მტერნიცა?

ზეინაბი: ყველანი, შვილო. მზე ჩადის. ჩვენ შევალთ ციხეში ორს საათს უკან, ოთარ, უკანასკნელად კიდევ გეკითხები: ხომ იმედი გაქვს ჩვენის ჯარისა?

ოთარ-ბეგი: ისე მაქვს იმათი იმედი, როგორც ჩემის თავისა, დედოფალო.

ზეინაბი: იცოდე, ერეკლე, შენ ხელთ იქნება ბედი წმინდა სარწმუნოებისა, ბედი საქართველოსი და თვით შენი ბედიცა. ხომ მზადა ხარ დიდის ღვაწლისათვის?

ე რ ე კ ლ ე: (არ ესმის, რაც ამბავია, და აღელვებული) მიბრძანე, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: დიაღ, დიაღ, ჯერ მე დედოფალი ვარ შენი, მაგრამ ხვალ-კი, ხვალ... (სძლევს მღელვარებას) მაშ, იცოდეთ თქვენც ყოველივე ის, რაც ვიცით მე და ჩვენმა წინამძღოლმა. სოლეიმანის ბუნაგის გარშემო, ხევებსა და კლდის ნაპრალებში, ტყეებსა და ბუჩქნარებში ყველგან ჩასაფრებულნი არიან შვილნი საქართველოსი. დიდი ხანია, ველოდი ამას და ახლა ყოველივე მზად არის. ჯაჭვით არის გარშემორტყმული თბილისი და ჩვენი ხალხი ვეფხვივით დაჰყურებს სოლეიმანის ბუნაგს. აუარებელია მეომართა რიცხვი, უზომოა მათი გაცეცხლება, საზღვარი არა აქვს მათს პირ-გამეხებას. თვით თბილისში ციხისა და მეტეხის კლდის ძირას ამალამ ერთი კაცი არ მოჰხუჭავს თვალს, ვისაც-კი შეუძლიან ხელში იარაღის აღება. სამის დღის წინად შენმა შვილმა, დათომ, სამი ათას ვაჟკაცს მოუყარა თავი ანანურსა, დუშეთსა და წილკანში. ეხლა ერთი სამად მეტნი იქნებიან. საცალ-ფეხო გზითა და ბილიკით, ხევ-ხევ, ტყე-ტყე მიუახლოვდნენ ყველანი

თბილისს ჩრდილოეთის მხრივ. ზოგი ვითომ მწყემსნი ვართო, ზოგი ჩუმად და ფარულად, ზოგი ცხადად, დაუფარავად, ღამ-ღამე სიარულით მიადგნენ თბილისს სამხრეთიდან და მთა-გორებში არიან მიმალულნი ჯარები ორბელიანისა და სემბატისა. დასავლეთის მხრივ იმათთან ერთად მიდიან თბილისისაკენ ბორჯომისა და ახალციხის მთებიდან და მოკლულის ციცის სამოურავოდან. ყოველ დღე იქერენ ხალხს სოლეიმანის მოთარეშე რაზმნი, მაგრამ ხალხი მაინც მიდის და მიდის, როგორც წვიმა წყალი და ისე ჩუმად ეხვევა თბილისს გარშემო, როგორც მუმლი მუხასა.

ა ნ ა ნ ი ა: დაგუბდა რისხვა მათ გულში.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დაიძრა მუხრანი, თიანეთი. ხმა მოვიდა, რომ კახელებიც წამოსულან.

ე რ ე კ ლ ე: რაღას ვუცდით, დავესხათ ეხლავე თავს და სულ დავანიავოთ ციხის ზღუდენი.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოჰ, ჩემო არწივო, მალე გაშალე ფრთები! ჯერ არ შეიძლება. იარაღი ცოტა აქვს ჩვენს ხალხს. ერთი ხანჯალი ძლივს მოდის სამ კაცზე, ერთი თოფი ასზე, ერთი სროლა ტყვია-წამალი—ათზედ. ციხე-

ში-კი... შენ არ გინახავს ის კედლები, ის ზარბაზნები, ის გორები ბრინჯითა და პურით საესე ტომრებისა სიმაგრის ხაროებსა და მლვიმეებში. შენ არ იცი, რა აუარებელი ტყვია-წამალია დამარაგებული შეუვალ მეტეხში. ჩვენ არ შეგვიძლიან ალყა შემოვარტყათ. არა გვაქვს იარაღი, რომ იერიშით ავიღოთ ციხე, ვერც ისე ავიღებთ, რომ დავამშიოთ შიგ მყოფნი, ვერც ისე, რომ წყალი გადუგდოთ, რადგან მდინარე ზედ კედლებ ქვეშ მიდის. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და დაიღუპება ხალხი და, ვინ იცის, როდის-ღა ეშველება ხელ-მეორედ გაქელილსა და განადგურებულს სამშობლოს. არა, გველს შიგ თავის სოროშივე უნდა დაჭკრა ქვა და გაუქეჭყო თავი.

ა ნ ა ნ ი ა: როგორ მოვახერხოთ ეგა, დედოფალო?

ზ ე ი ნ ა ბ ი: სოლეიმანს არ ეშინიან გაქელილისა და იარაღახდილის ხალხისა. იმას ფადიშაის წყრომისა ეშინიან, ერევნის სარდლის დასმენის ფიქრი აქვს, თვით ირანში არავინ ამომითხაროს ორმო, არავინ-რა მიმტროსო. სოლეიმანს მე გავართობ, მოვუყვე-

ბი, რა ამბებიც მოჰხდა, რა საჩუქრები უნდა გაეგზავნოს ფადიშასა. ოთარი კი ამ დროს თითოეულ სადარაჯო რაზეს, თითოეულ კარებს ჩვენს კაცებს მიუჩენს. ჩვენიანი კაცები შემოერტყმიან სოლეიმანის სასახლეს და დაიჭერენ ყველა შესავალ-გასავალს. მე და ოთარს ხელში გვეჭირება გველის ბუნაგი, ხოლო შენ, ერეკლე, შვილო ჩემო, ამოჭგლეჯ შხამიან ნესტარს. ანანია, შენ გადაარჩინე სიკვდილს ერეკლე და შენვე ეახლები თან და გაუძღვები წინ ამ დიდებულ ლაშესაც. ამის მეტით ვერაფრით დაგაჯილდოვებ ჯერ-ჯერობით, ჩემო ერთგულო მოხუცო.

ა ნ ა ნ ი ა: (სიხარულით აღტაცებული) მიბრძანე, დედოფალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: რა გზითაც მაშინ ბავშვი გაიტაცე, იმავე გზით წაიყვან მეტეხში ძლიერს მებრძოლს.

ა ნ ა ნ ი ა: დიალ, დედოფალო.

ზ ე ი ნ ა ბ ი: მაგისმა მარჯვენამ უნდა ააფეთქოს ის საწყობი ტყვია-წამლისა. მაგან უნდა გაუნათოს ცეცხლის სვეტით გზა ჩვენს ჯარს. მაგან უნდა აანთოს დიდი სანთელი თავისუფლებისა ტანჯულის ქვეყნისათვის.

ოთარ-ბეგი და ანანია: დიაღ, დედოფალო, დიაღ, დიდებულო დედოფალო.

ზეინაბი: (დიდის გრძნობით) ჩემო შვილო, ის ღმერთმა იცოდეს, რასაც მე ცეცხლში ვიქნები ამაღამ შენის გულისათვის! თვით ულმობელს სიკვდილს გამოჰგლეჯს დედა ხელიდან ავადობით დაუძლურებულს და ნუთუ ლოცვითა და ვედრებით ვერ გამოვთხოვ ღმერთს გამარჯვებას შენთვის? შენთვის გასწირა დედა შენმა სახელი და პატიოსნება, დაიმძიმა და წაიწყმიდა თავისი უკვდავი სული! შენთვის მოკვდა უმანკო ბავშვი! სამეფო გვირგვინს დაგადგავს უფალი თავზედა და ხელში მოგცემს მახვილს თავის ჯვარის დასაცველად. დაიმსახურე ის გვირგვინი, გამოისყიდე შეუბრალებლად დაქცეული უმანკო სისხლი, გაამართლე დედაშენი უფლის სამსჯავროს წინაშე.

ერეკლე: (გაოცებული და გაშტერებული) დაიცა... დედოფალო. მამა... ვის ეუბნევი მაგას, ვინა ვარ განა?..

ზეინაბი: (დაიჩოქებს) შენ ხარ მეფე და შვილი ჩემი. ეგ ბორკილები დღეს შენი სამეფო სამოსელია. ცოდვათა მოსანანიებელ

ჯაჭვად გადავაკეთებ, კისრად დავიდებ მაშინ, როცა გვირგვინი დაიწყებს ბრწყინვას შენს შუბლზედ და შენთვის ვილოცავ დაუღალავად, დაუსრულებლად (წამოდგება), მაგრამ ხვალ არ იტყვის განთავისუფლებული ხალხი, ეს ჭაბუკი რად არის ჩვენი მეფეო? ძლიერი მხსნელი სამშობლოსი, როგორც ღვთის ანგელოზი, ისე ავა მამა-პაპის ტახტზე და დიდება საქმეთა შენთა იქნება პორფირი შენი. და დაგლოცავ ხვალ მეფედ ისე, როგორც დღეს გლოცავ საბრძოლველად. (ჰლოცავს)

ერეკლე: (აღტაცებული) მე ვარ შენი შვილი? მე ვარ მეფე საქართველოსი? დედოფალო! დედაო ჩემო! ავასრულებ ყოველსავე, რაც მიბრძანე! ოჰ, ჩქარა უნდა მოვიშორო ეს ბორკილები! ლოდივით მაწევს გულზედ!

ოთარ-ბეგი: (დაიჩოქებს) შემინდევ, ხელმწიფეო, რაც დანაშაული მიმიძღვის შენს წინაშე. ამაღამ გამოვისყიდი ყველა ჩემს შეცოდებას.

ანანია: (დაიჩოქებს) იყავ მამა ერისა, ისე როგორც ერი იყო შენი მამა და აღმზრდელი, ხელმწიფეო! დაიფარე ერი შენი ისე, როგორც ჩემმა შვილმა დაგიფარა ჟამსა განწირულებისასა.

ე რ ე კ ლ ე: (ათრთოლებულის ხმით) ოჰ, ნეტავ ერთი ჩქარა მომაშორებდეთ ამ ბორკილებსა! დედა ჩემო, ბრძანე, რომ მალე, მალე გავემართოთ გზად... მეფე ვარ და ბორკილები-კი მადევს! ოჰ, მალე, მალე!

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (წამოდგება) ახლავე, მეფე ბატონო.

ე რ ე კ ლ ე: მე მეფე ვარ! მე! ლამის ჭკუაზე შევიშალო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: (შეკრთება უნებურად) ანანია, გაუფრთხილდი ამალამაც ისე, როგორც ამ ოცს წელიწადს უფრთხილდებოდი!

ა ნ ა ნ ი ა: ფიქრი ნუ გაქვს, დედოფალო. მერწმუნე, რომ ამას არა დაუშავდება-რა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ცრემლებს იწმენდავს) წავიდეთ, ოთარ. მშვიდობით, შვილო, მშვიდობით, ჩემო ანგელოზო. ღმერთი დაიფარავს თავის მსახურსა. (მიდის)

III

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დარაჯნო! შემოერტყეთ პატიმართ! გიგა! (გიგა და დარაჯნი მოდიან) შენ გაუწევ უფროსობას. (მნიშვნელოვანებით) ხალხო, გაუფრთხილდით ამათ და გახსოვდეთ ჩემი

ბრძანება. აგერ მივდივართ. (მიდის კულისებს იქით. ვიდრე დარაჯნი შუაში ჩაიყენებენ ერეკლესა და ანანიას) ამხედრდით! ერთი მუქარა გზა-ლაა! (ლრუბლები მეტად ირევა. ბნელდება. გრგვინვა ქუხილისა თანდათან ძლიერდება. კულისებს უკან ყვირილი და ხმაურობაა ჯარისა, რომელიც გზად გასადგომად ემზადება. სცენაზედ წამ და უწუმ გარბიან და გამორბიან გუდა-ნაბდიანები და ჩოხიანი ჯარის კაცები. მათ შორის შემოდის რუქაია, გრძელი ნაბადი ასხია და ყაბალახი ისე აქვს შემოხვეული, რომ პირისახეს თითქმის ნახევრობით უფარავს)

ხ მ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს უ კ ა ნ: ამხედრდით! დარაჯნო, ბარგს გაჰყევით! მოართვით ცხენი დედოფალსა! ქალების ურმებს შემოერტყით და ისე იახელით!

ხ მ ა ო თ ა რ ი ს ა: გაიყოლე შენი კაცები და დაწინაურდი, რომ გზა დაათვალიერო! (ყველა ლაპარაკობს და ისეთი ხმაურობაა, რომ კაცი ველარას გაარჩევს. ისმის თქარა-თქური ცხენებისა, ყვირილი მეურმეებისა, ჩხარა-ჩხური იარაღისა)

ს ც ე ნ ი ს ს ი ღ რ მ ე შ ი 1-ლი ხმა: თქეშს ვერ გადვურჩებით ამალამა.

მე-2 ხ მ ა: სად არის ჩემი ავშარა?

მ ე-3 ხ მ ა: სოსიკო, ცხენი დამიჭირე, წყალი მინდა ავავსო.

მ ე-4 ხ მ ა: მოხსენი თოფრა ჩქარა, შე

ძალლი'შვილო. (ბესო გამოივლის სცენაზე მარცხნი-დან მარჯვნივ და შეეფეთება რუქაიას. ამავე დროს დარაჯთ გამოჰყავთ პატიმარნი)

IV

ბ ე ს ო: (ტიკჭორითა და სანოვაგე-გამოკრულ ხელსახოცით შეეფეთება რუქაიას) ეი, ძმობილო! არ გაგიგონია, 'ოთარ-ბეგი ხომ არ ეძახდა ბესოსა?

რ უ ქ ა ი ა: (საჩქაროდ გაცქრიალდება დუქნის-კენ) არა.

ხ მ ა ო თ ა რ-ბ ე გ ი ს ა: სად არის ბესო? ეი, ბესო. (ისმის ძახილი: ბესო)

ბ ე ს ო: (გარბის) აქ გახლავთ ბესო, დიდო ბატონო, აქ გახლავთ. ყველგან დაგეძებ. (რუქაია, როგორც გაივლიან დარაჯნი, შეერევა ხალხ-ში დარაჯთა მახლობლად)

გ ი გ ა: (მრისხანე ხმით) იქით ხალხო! აქ პა-ტიმარნი არიან! (ხმალს ისე შემოატარებს, თითქო წრე შემოავლოვო) ჩამოდექით! (დაიჭექებს საშინ-ლად, ძალიან დაბნელდება)

ხ მ ა ო თ ა რ-ბ ე გ ი ს ა: (კულისებიდან) გიგა!

ყ ვ ი რ ი ლ ი სცენის იქიდან: გიგა! ბატონი გიბრძანებს.

გ ი გ ა: აქ გახლავარ, ბატონო!

ხ მ ა ო თ ა რ-ბ ე გ ი ს ა: გაუფრთხილდი

პატიმართ! ბნელი ღამეა ძლიერ! (ხმა შორიდგან მოდის. მოისმის მათრახების ტყლაშუნი და ყვირილი მხედართა, სცენაზედ მხოლოდ ჯგუფია დარაჯთა და რუქაია)

გ ი გ ა: ფიქრი ნუ გექნება, ბატონო! (რუქაია შეირბენს მიტოვებულ დაცარიელებულ დუქანში და იმალება. ხმაურობა ნელნელა მისწყდება შემდეგს სცენაში)

გ ი გ ა: (ჩუმად) მოიშორეთ ბორკილები?

ა ნ ა ნ ი ა: (ჩურჩულით) მოვიშორეთ.

გ ი გ ა: (ჩუმადვე) მიიმალენით ბუჩქებში. აგერ გაიარეს უკანასკნელმა რაზმებმა.აბა, ჩქარა! წმინდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი, (ხმა მაღლა) კარგად შემოერტყით პატიმართა! უკან მიჰყევით რაზმსა! (მიჰყავს დარაჯნი. სცენა თითქო ცარიელდება. დუქანში მარცხნივ მიმალულია რუქაია. მარჯვნივ ბუჩქებში მიმალულნი არიან გლახა და ერეკლე. კულისების იქიდან უფრო და უფრო სუსტად მოდის ხმა მიმავალ ჯარისა. ბნელდება. ქუხილი გრგვინავს შორიდან, თუმცა ხანგრძლივად და ძლიერებით)

V

დ ა თ ო: (გამოდის ბუჩქებიდან და მივა დამალულ მამასთან და ძმასთან) მამა...

გ ლ ა ხ ა: (აჩქარებით) დათო!

ე რ ე კ ლ ე: (ისიც აჩქარებით) ძმაო!
(რუჭაიას უნდა გამოვიდეს, მაგრამ, რაკი ხალხს შენიშნავს, ისევ იმალება და მხოლოდ ოდნავ შეჰკივლებს თავ-შეკავებით)

დ ა თ ო: (აჩქარებით) დაბინდებისას შეუმჩნევლად შევუერთდი ჯარს. ჩვენები სულ სათითაოდ მიადგნენ ციხეს და შემოერტყნენ გარს.

გ ლ ა ხ ა: ბლომად არიან?

დ ა თ ო: ვინ დასთვლის! ყველანი წამოვიდნენ. სტოვებენ ,ყოველსავე და მოდიან. მარტო ჩვენის მხრიდან წამოვიდნენ ათასობით. ოთარიც ჩვენსკენ არის! ,ჰეი, დიდი სეირი იქნება! (გახარებული იცინის თავ-დაკავებით)

ე რ ე კ ლ ე: ციხეში შეხვალ?

დ ა თ ო: დედოფლის ჯართან ერთად. მოთმინება მეკარგება, გული ცეცხლივით მაქვს ანთებული. მინდა ახლა ვიყო. ჩვენები შეცვივდებიან ნაშინ, როცა მეტეხს ააფეთქებენ. ვინ ააფეთქებს, არ იცით?

ე რ ე კ ლ ე: მე და მამა-ჩემი.

დ ა თ ო: (შური აღეძვრის) მეც თქვენთან წამოვალ!

ა ნ ა ნ ი ა: (გაჯავრებით) გამეცალე აქედან, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია! უიმისოდაც

კინალამ დაგვღუპე, გადარეულო! რა გინდა, აქ რას დაძვრები?

დ ა თ ო: საქმე მაქვს, მამა. ციხეშიაც-კი გამოჩნდება. მშვიდობით იყავით. უნდა შევერიო ჯარში, ვიდრე შორს არ წასულან. შეგხვდებით, როცა თამაშა დაიწყება. (მირბის)

VI

ა ნ ა ნ ი ა: ბატონიშვილო, აი, ასაფეთქებელი პატრუქი. ერთი ამისთანა პატრუქი მეცა მაქვს, გიგამ მომცა, ბატონს მიუცია. ტალკვესი ხომ გაქვს?

ე რ ე კ ლ ე: სულ მუდამ ქამარზე მაქვს გაკეთებული.

ა ნ ა ნ ი ა: (ჩუმად) სსუ... ჩუმად ილაპარაკე. ხმაურობა მისწყდა. შეიძლება ზოგი უკან ჩამორჩა...

ე რ ე კ ლ ე: წავიდეთ, ტივი ვიპოვოთ.

ა ნ ა ნ ი ა: ჯერ ადრეა. ტივით მაშინ უნდა წავიდეთ, როცა ძრიელ დაბნელდება, რომ ნაპირიდან არავინ შეგვამჩნიოს. ერთს საათში ჩავალთ ქალაქსა, კიდეეაც ადრე. ჯარი-კი ორს საათს მოუნდება ჩასვლას. საჭიროა,

იმან ჩაგვასწროს. ტივზე ხალხი იქნება. გამიგონე, სანამ ჩვენ ორნი ვართ მარტო.

ერეკლე: მითხარი.

ანანია: ტივიდან მეტეხის შორი-ახლოს გადავიდეთ და ცურვით მივიდეთ კედლის ძირამდე. ძალიან ჩქარია იქ წყალი, მაგრამ ჩვენ ადიდებულ არაგვშიაც ბევრჯერ გავსულვართ ცურვითა. პატრუქი და ტალ-კვესი ქუდქვეშ შეინახე, რომ არ დასველდეს.

ერეკლე: კარგი.

ანანია: კლდე-კლდე ავიდეთ ხვრელამდე, რომელიც ბუჩქნარით არის დაფარული. მხოლოდ თითო-ოროლა დროულმა კაცებმა ვიცით მაგ ხვრელის ამბავი. მაგ ხვრელით ავა კაცი მეტეხის ტაძრის ხარომლვიმეში. მაგ ხვრელით წამოგიყვანე, როცა სოლეიმანმა თბილისი აიღო და შენი მოკვლა უნდოდა. ამავე გზით დავბრუნდებით ახლაც, იმის დაღუპვის ღამეს.

ერეკლე: და იმასაც გამოვგლეჯავ ხელიდან.

ანანია: (გაოცებული) ვინ იმასაც?

ერეკლე: (გონს მოვა) ვისა და დედა-ჩემს.

ანანია: დიაღ, ბატონიშვილო, დედასაც

და მთელს შენს ერსაც! მაგრამ გამიგონე, როცა პატრუქს ცეცხლს მოუკიდებ, იმავე გზითვე უნდა გამოიქცე. მეც უკან დაგედევნები. ჩემი ფიქრი მაინც ნუ გექნება. (შინჯავს პატრუქს) ერთს საათს ვერ დაიწვის, ჩვენ ნახევარი საათიც გვეყოფა, რომ შიში აღარაფრისა გვქონდეს. გავალთ მტკვარს გაღმა და იქ ვსახავთ ჩვენებს ან სემბატისა და ან ორბელიანის ჯარებში. იმათთან ერთად შევცვივდებით ჩვენც ციხეში, როგორც-კი იფეთქებს და ავარდება ჰაერში მტრის ბურჯი.

ერეკლე: ვიდრე მზე ამოვიდოდეს, ის ჩემთან იქნება, გულში მეყოლება ჩაკრული! მამა! ლამის გავგიჟდე! ლამის გული გამისკდეს სიხარულით. ერთი რამ მითხარი, მეფეს... მეფეს შეუძლიან, ვინც უნდა, ის შეირთოს?

ანანია: (ეცინება) ეჰ, ბატონიშვილო, ვაი რომ ერეკლე არა ხარ ისევა! აბა, რა დროს ცოლის შერთვაა ახლა? მოიცადე დილამდე! მაგრამ რას იზამ, სისხლის ბრალია! განსვენებული მამაშენიც... მაგრამ, რა სალაპარაკოა! მოკვდა-კი, როგორც გმირი, იბრძოდა

თავ-განწირულებით. გეტყვი ბარემ: დედოფალი გიმზადებს ისეთ სასძლოს, ისეთია, როგორც მოწყვეტილი ვარსკვლავი!

ერეკლე: (ხელს დაუჭერს) ვინა? ვინ არის!

ანანია: გაიანე, ოთარ-ბეგის ქალი! ეჰ, ჯერ რა გვეთქმის? დღეს სისხლი ვსვათ, და მერე ვნახოთ, იქნება ღმერთმა ინებოს და მეფის ქორწილში ღვინოცა ვსვათ. ნუთუ არ მოიღებ მოწყალებასა? ერთი თავისუფლად არ ამოვისუნთქავთ ამდენის ტანჯვის შემდეგ? ნუთუ ერთს არ დავტრიალდები და შენს ქორწილში ჩვენებურად არ ჩამოვუვლი ლეკურსა?!

ერეკლე: (თავზარ-დაცემული) გაიანეო? ოთარ-ბეგის ქალი?

ანანია: (სასტიკად) მომიტევე, ბატონიშვილო, მაგ ლაპარაკის დრო არ არის ახლა. მივათვალიერ-მოვათვალიერებ, ხომ არავინ არის უკან ჩამორჩენილი, რომ გზაში არ შეგვეფეთოს, როცა ტივისკენ წავალთ. აქ დამიცადე და ყურადღებით იყავი. როგორც კი გაიგო ნელი სტვენა, წამოდი წყლისკენ. ეგ იმის ნიშანი იქნება, რომ დროა და გზაც თავისუფალია. (ფრთხილად მიიპარება მარცხნივ)

VII

ერეკლე: (სდგას ხის ქვეშა დუქანს ახლო და თავისთვის ბუტბუტებს) არა, ეგ შეუძლებელია... ოთარ-ბეგის ქალიო? დათომა სთქვა... გაიანე...

რუქაია: (ჩუმად) ერეკლე!

ერეკლე: (შეკრთება) რა ამბავია? (გული ელევა)

რუქაია: ერეკლე! მე ვარ, რუქაია!

ერეკლე: (თავ-შეკავებულის სასიხარულო შეკივლებით გაქანდება დუქნისაკენ, შემოჰხვევს ხელებს რუქაიას, ჩასცქერის თვალებში ხმა-ამოუღებლივ, თითქოს უცებ მუხლთ მოეკვეთაო, დაეცემა ქალის ფეხ-ქვეშ გრძნობა დაკარგული)

რუქაია: ფონს მოდი, ერეკლე, გამოერკვიე! მე ვარ, რუქაია! (ჰკოცნის. ერეკლე გამოერკვევა და თვალებს გაახელს).

ერეკლე: არა, ეს სიზმარი არ არის... მოჩვენება არ არის... შენა ხარ აქა! ჩემთან! ოჰ, რომ იცოდე, რა ცეცხლში ვიყავ ამ ხუთს დღეს! ახლა-კი... შენა ხარ... ეს შენი ხელებია... შენი სახეა, შენი სუნთქვა მესმის... შენი... შენი... (უკოცნის პირს, ხელებს, მუხლებს)

რუქაია: (გაიბრძოლებს, რაც ძალი და ღონე აქვს, გაინთავისუფლებს თავს და უფლებამოსილივით

დაადებს თავზედ ხელს) მოითმინე, ყოველივე წუთი ძვირფასია ახლა. აჰა, ჯერ-ჯერობით გაკოცებ უკანასკნელად. (ჰკოცნის გულის თქმით და ხანგრძლივის კოცნით, მერე უცებ მოშორდება და თვალებში უცქერის) ახლა-კი ჩემი ხარ, შენი სული სულ მე შევისუნთქე.

ერეკლე: (სიხარულით გადარეული შესცქერის თვალებში) მართლა შენა ხარ... შენა.

რუქაია: მე მინდა, რომ მუდამ ჩემი იყო და ესეც იქნება. ღალატი ელის მეფე სოლეიმანს. ისე ვყავდით ამ ხუთს დღეში, როგორც ტყვე. ერთის შიკრიკის გაგზავნა ვერ მოვახერხე ვერას გზით. ალ-რაზაკის მოკვლა რომ საჭირო არ ყოფილიყო, იმას გავგზავნიდი და შევატყობინებდი ყველაფერს. მაგრამ იმის მოკვლა აუცილებელი იყო. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, თვითონ მე მომკლავდნენ.

ერეკლე: ოჰ, ნულარაფრისა ნუ გეშინიან: შენ არ იცი, ვის უყვარხარ! ისე გავჭყლიტავ შენს სოლეიმანს, როგორც ია-ამ თიხასა! (სრესავს ფეხით ტალახს)

რუქაია: შენა? (იცინის ისე, თითქო განგებ გული უნდა გაუსიოს ადამიანსაო) შენ უკვე იცი

კოცნა, ვიდრე იმანა, მაგრამ ხალხის გასრესა-კი იმან უკედ იცის. არა, გაჭყლეტა კი არა, ეხლავე უნდა გავიქცეთ იმასთან. ყოველივე გავიგე, ყოველივე ვიწვრილე. იმათ უნდათ შევიდნენ ქალაქში და კარი გაულონ აჯანყებულებს. არა, მე იმათზედ ადრე ვიქნები იქა. ისე ვიცი სირბილი და ხტომა, როგორც ქურციკმა, ისინი კი ტაატით მიდიან თავიანთ ბარგი-ბარხანითა. ისინი გზას ვერ ასცდებიან, მე-კი, აი, ამ მთას გადავალ და გათავდა.

ერეკლე: რუქაია, მოიცა, შენ არ იცი... არც გაგიშვებენ. იქ სულ ჩვენები არიან ჩასაფრებულნი.

რუქაია: მართლა? „საბა-ბერიც“ რომ ვსთქვა, არც მაშინა? (იცინის) ოჰ, დედოფალო ზეინაბ! შენ ცბიერი ხარ, მაგრამ მე უფრო ცბიერი ვარ შენზედ. გაჯობე, მოგატყუე, ყოველივე გავიგე. ჩუმად მოვიპარებოდი ხოლმე შენთან და ვისმენდი, რასაც ელაპარაკებოდი იმ შენს წყეულს დედაბერსა. ისიც გავიგონე სახლის ბანიდან, რას ეუბნებოდა მოღალატე ოთარ-ბეგი მაწანწალა საბა-ბერსა! ჩემ ხელთ არიან ყველანი! აგერ

ქალაქამდე მომიყვანეს. შენს სილამაზეს არა ევნოს-რაო, ურემში ჩამსვეს, მარტოკა, არავინ მოისყიდოსო და საპატიო ყარაული მომიჩინეს. (იცინის) და აი, ჰხედავ? ეს ნაბადი და ყაბალახი ჩემის ერთ-ერთის დარაჯისაა. მხოლოდ ციხეში გავახსენდები მე იმათა, მაგრამ მეც იქ მივეგებები! უნდათ შევიდნენ, შევლენ კიდეც, მაგრამ იქ ყველას აჰკუწავენ, ყველას, დედოფალსაც. ოჰ, დედოფალს ახლა პატივით მოექცევიან; ჩემის ფეხით გავუჭყლეტ იმ გოროზს თვალებსა. ამ ფეხ-ქვეშ ამოვართმევ მე იმას სულსა! რა დაგემართა?

ერეკლე: (გაფითრებული, მკვდრის ფერი ადევს, გაგიჟებულივით უცქერის რუქაიას) არა, რუქაია, შენ არ იცი...

რუქაია: რა არ ვიცი? მე ის ვიცი მხოლოდ, რომ შენ თავისუფალი გნახე. პირდაპირ გავექანებოდი, მაგრამ ასე სჯობიან... საშინლად მინდოდა შენი დანახვა... ახლაკი... ორივენი გავქანდეთ მეფესთან. მე ვეუბნები, რომ იმან მიშველა, უამისოდ ვერ გამოვიქცეოდი-მეთქი, რომ მოღალატეებმა შეიპყრეს, რაკი შენი ერთგული იყო-მეთქი და

ერთგულობას საქმითაც !დაგიმტკიცებს" მეთ-
ქი. მეფე დაგაჯილდოვებს, დედოფალი გავხ-
დები, მეყვარები და გაგაბედნიერებ, აღგა-
მაღლებ. აბა, გავიქცეთ! იმათ ნახევარი გზაც
არ ექნებათ გავლილი, რომ ჩვენ უკვე იქ
ვიქნებით. სწორედ დროა ახლა. (ავარდება დუქ-
ნის კედელზედ და გაიყურება) ჯარი დალმართზედ
ჩადის, აიგერ შავად მოსჩანს... ოჰ, ისე ვხე-
დავ, როგორც კატა. იმასაც-კი ვგრძნობ, ბა-
ლახი როგორ იზრდება. (იცინის თავის ჩვეულებ-
რივას სიცილით) წადით, წადით... მანდ დაგ-
ხვდებით... (გაქანებული შემოექნება ერეკლეს ყელ-
ზედ) ვითომ რუქაია იმათ მიჰყავთ... ხა-ხა-ხა
ავადმყოფი რუქაია... ხა-ხა-ხა! დარაჯებით
გარშემორტყმული! ქალაქის კართან დედო-
ფალი ასწევს ჩარდახიან ურმის ფარდაგს და
იკითხავს. (აჯავრებს) ახლა კარგადა ხარ, მშვე-
ნიერო? ოჰ, ნეტა ერთი მაჩვენა, როცა გა-
ლიას ცირიელს დაინახავს! გვიან-ღა იქნება!
არა, გავფრინდეთ ფრინველივით. კარგად ვი-
ცი, რომელი ბილიკი საით მიდის... გავფრინ-
დეთ ბედნიერების საპოვნელად... და გახ-
სოვდეს საბა-ბერი, ხა-ხა-ხა! (უნდა გაიტაცოს)
გეშინიან, არ გინდა წამოსვლა!..

ერეკლე: მოიცა, რუქაია! არ შეიძლება, შეუძლებელია...

რუქაია: (გაოცებით) რა არ შეიძლება?

ერეკლე: შენ არ იცი, მე ვინა ვარ და რა უნდა მოვიქმედო... შენ არ იცი, ვინ გინდა დაღუპო! ის ხომ დედაჩემია, რუქაია!

რუქაია: რაო?! შენ ჰბოდავ!

ერეკლე: (გულითა და სულით) არა, რუქაია, მაგ მეფე სოლეიმანმა მოჰკლა მამა ჩემი... უნდოდა ჩემი მოკვლაცა... სიკვდილს გადამარჩინა გლახამ, აიმ ბერი-კაცმა... მამა ჩემი მეფე იყო... თვით დედოფალი, თვით ოთარ-ბეგი და ის მოხუცი ეს-ეს არის ეხლა დაჩოქილნი იყვნენ ჩემ წინაშე... ყოველივე მზად არის, რუქაია, ყოველივე. მე დღეს უნდა ავაფეთქო მეტეხის ტყვია-წამლის საწყობი... ჩემი ხალხი შეცვივდება დანგრეულ ციხეში და შენი სოლეიმანი დაიღუპება მთელის თავის ჯარით. მე ავალ მამა-პაპის ტახტზედ და შენც ჩემ გვერდით იჯდები...

რუქაია: (ცქერად გადაქცეული) ხომ არ გაგიჟდი?

ერეკლე: არა, ჩემო სიცოცხლე! არა, ჩემო მზეო! პირველი ჩემი ფიქრი, გავიგე თუ

არა, ვინცა ვარ, შენ იყავი. იმათ უნდათ ოთარ-ბეგის ქალი შემრთონ ცოლად...

რ უ ქ ა ი ა: (უნებურად აღმოხდება გულიდან ხმა ეჭვიანობისა და მძულვარებისა) ოჰ!

ე რ ე კ ლ ე: მაგრამ ვის შეუძლიან გაჰბედოს და უთხრას მეფეს, ეს შეირთე, არა ისაო? შენთვის დაიწყებს ბრწყინვას გვირგვინი ჩემს თავზედ. შენ ფეხ წინ მოიხრის თავს ჩემთან ერთად მთელი ჩემი სამეფო.

რ უ ქ ა ი ა: მოიცა... მოიცა... (ფიქრობს გამწარებით წარბ-შერჭმული) შენ, ბავშვი... მეფე ხარ? შენ მეფე?! დედოფალი ზეინაბი შენ გვერდით იყოს... და მე... (გადიხარხარებს გულიანად)

ე რ ე კ ლ ე: ნუ იცინი, რუქაია! ბავშვი არა ვარ, შენ არ იცი ჩემი ძალა!

რ უ ქ ა ი ა: (საჩქაროდ) მოუტყუებიხართ! გაუცურებიხართ, ყმაწვილო. შენ მეფე ხარ! განა მეფეს ისეთს საქმეს მიანდობენ, საცა სიჭვდილი აუცილებელია?.. შენ იმის შვილი ხარ? განა დედა ბორკილ-დადებულს დასტოვებს შვილს მთელს კვირას? განა დედა მისცემს ნებას თავის შვილს, კლდის ნანგრევებ-ქვეშ დაიღუპოს?

ერეკლე: (მერყეობს შეფიქრიანებული და არ იცის, რომელ ერთს დაუჯეროს) არა... არა... ანანია მოდის ჩემთან ერთად... ანანიას უყვარვარ...

რუქაია: შენ არა სთქვი, რომ იმისი შვილი არა ვარო? მაშ, რისთვის შეგიბრალებს, რად დაგინანებს ანანია? იმისი ღვიძლი შვილი გაიქცა და შენ-კი შეგიპყრეს...

ერეკლე: ოჰ და... მე კაცი მოვკალ და იმან იკისრა ჩემი დანაშაული...

რუქაია: და გაიქცა კიდეც, შენ-კი დაგიჭირეს. ეხლაც შენი მამობილი აგაფეთქებინებს ციხეს, თვითონ გაიქცევა და შენ-კი ნაკუწ-ნაკუწ ქცეულს ჰაერში აგიტაცებს ნალმი. კიდეც ამისთვის გამზადებდნენ... ვის რად უნდიხარ? ვის უყვარხარ? მარტოდ-მარტო მე. (ჰკონის უეცრივ) მოიცა. მაშ, შენა ხარ? მაშ, შენზედ ჰქონდათ ლაპარაკი ოთარ-ბეგსა და დედოფალს?

ერეკლე: (თავ-გზა-დაკარგული) რა სთქვი?

რუქაია: ისა ვსთქვი, რასაც ეს არის ეხლა მივხვდი. მოიცა. მოვიგონო ერთი, (ვითომ აგონდება) „ნაბუშარი ააფეთქებს მეტეხს“...

ერეკლე: (გველ ნაკბენივით) ნაბუშარი?!

რუქაია: სწორედ, სწორედ... მე-კი ეგ ნაბუშარი მეფეებს მირჩევნია! მაგის ნებას არავის მივცემ, რომ შენ კისერი მოგატეხონ! მე მოვჩეხავ იმათ კისერს! მე ვიძიებ შურს... შენ მაგიერ! ოჰ, ჩემო სასურველო, ოჰ, ჩემო გულის გასალებო. ჩემო სულის დგმავ! (ჰკოცნის. იცინის თავის ჩვეულებრივის სიცილით) თუნდ მეფეც რომ იყო... განა დედოფალი ზეინაბი ჩემს თავს ცოცხალს მოგცემს შენა? მე, მონას, მხევალს შენ მოგისვამს გვერდით? მაშინვე ხაწამლავს დამალევინებს! მაგრამ ეს ხომ ყოველივე ტყუილია... ზეინაბს დიდი ხანია ოთარ-ბეგი ჭყვარს, ის უნდა გახადოს მეფედ—მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი მესმის, გავიგონე იმათი ლაპარაკი... მაგრამ ვერ წამართმევენ შენს თავს... ვერ დაგლუპავენ, ვიდრე პირში სული მიდგია... მე დაგიხსნი შენა... შენა ხარ ჩემი ყველა, ჩემი ქვეყნიერობა, ჩემი სამეფო.

ერეკლე: (უყურებს თვალებში) მომატყუილეს, მომაღორეს! დიაღ... ოჰ, წყეულებო! (შორიდან ისმის ნელი სტვენა)

რუქაია: ეს რა ამბავია?

ერეკლე: გლახა მეძახის...

რუქაია: სადა?

ერეკლე: ტივით წასასვლელად...

რუქაია: (ყელზე შემოეკვნება) დაე გიძახოს. ხომ ჩემთან წამოხვალ?

ერეკლე: ერთხელ კიდევ, რუქაია. ჰფიცავ, რომ გიყვარვარ?

რუქაია: რომ არ მყვარებოდი: არც სიკვდილს გადაგარჩენდი! (ჰკოცნის. მეორეჯერ ისმის სტვენა) უსტვინე! უშენოდაც ვიპოვით გზას. (გარბიან ორნივ ერთად თავ-დალმართისაკენ)

ფარდა

მოქმედება მეხუთე

მდიდრულად მორთული ოთახი სოლეიმანის სასახლეში. სცენის სიღრმეში დოლაბივით კარაპანია, რომელსაც ფერადის შუშების კედელი აქვს და გაჰყავს კაცი აივანზედ, ანუ ტერასაზედ, მავრთა გემოვნების სვეტებით შემკულზედ. წყალ გალმა მოსჩანს მეტეხის კლდე, ციხის კედელი ბურჯებითა და სათოფურებით; აგრეთვე მეტეხის ტაძარი, სწორედ ისე, როგორც პირველს მოქმედებაში. კედლებზე გაკრულია ხალები, კამარებიანი ჭერი მოხატულია, კედლებს დატანებული აქვს უკარო ღრმა განჯინები და თითო განჯინაში თითო მაღალ-ყელიანი ჭურჭელი სდგას. ჭერიდან ჩამოკიდებულია ჯაჭვებით სასინათო ლამპრები. კედლებთან მიდგმულია რბილი ტახტები, დაგებული ხალიჩებითა და ბალიშებით. ხალიჩებსა და ბალიშებზედ გადაფარებულია ოქრომკედითა და აბრეშუმის ძაფით ნაკერი ქსოვილები. მარცხნივ კედელთან სდგას დიდი სამეფო ტახტი და ზემოდ, კედელზე დამაგრებულია იარაღი-დამბაჩები, ხმლები, შუბ-ნაჯახები და გრძელტარა შუბები. მარცხნივ და მარჯვნივ კარები, შუას გარდა, სცენის პირველ პლანზეა. ოთახის შუაგულ აუზია ფერადის მარმარილოსი. ღამეა. ხშირ-ხშირად ელავს. ხანდახან ყრუდ მოისმის ძლიერი ჭექა-ქუხილი.

I

სოლეიმან-ხანი მხარ-თეძოზეა წამოწოლილი

ყარა-იუსუფი წელში ოთხად მოხრილი სდგას მის წინაშე, როგორც შეჰფერის ყურ-მოჭრილ მონასა და ყმას. სილრმეში, აივანხედ, მოსჩანს ისახარი.

სოლეიმან-ხანი: მზვერავთა რაზმებმა დღეს ბევრნი შეიპყრეს ქალაქის მახლობლად?

ყარა-იუსუფი: ოთხმოც-და-ათი კაცი, შვენებაო ქვეყნისა. ეს-ეს არის ახლა გიახლათ ოთარ-ბეგის შიკრიკი და მოიტანა ამბავი, მოვდივარ და მომყავს ორმოც-და-ათი კაცი შეპყრობილიო.

სოლეიმან-ხანი: რითი არიან შეიარაღებულნი შეპყრობილები?

ყარა-იუსუფი: უფრო თავ-დალურსმულ კომბლებითა, ჩაქუჩებითა და ნამგლებით. ხმალი და ხანჯალი ცოტასა ჰქონდა. თოფი ხომ სულ ოთხს აღმოაჩნდა.

სოლეიმან-ხანი: და მერე მაგ იარაღით მოდიან... ჩემ საწინააღმდეგოდ?! რას ამბობენ ჩვენების ჩამორთმევაზედ? რად ვიკრიბებითო?

ყარა-იუსუფი: რიგი მოგახსენებს— ჩემი საკუთარი საქმე მაქვსო, რიგი ამბობს, სავაჭრო საქმეზედა ვარ ჩამოსულიო, მძლეველო სამეფოთა. მხოლოდ ერთმა ვერ აიტანა წამება და დაიწყო დამუქრებით ყვირილი... (იცინის)

სოლეიმან-ხანი: რაო, რას იმუქრებოდა?

ყარა-იუსუფი: სისულელესა, მპყრობელო მპყრობელთაო! მიჰქარავდა, რომ ჯვარი დათრგუნავს ყველას, ვინც იმის წინააღმდეგ მიდისო... მოახლოვდა რისხვა ღვთისაო... აივსო ფიალა მოთმინებისაო... სიკვდილ წინად ხშირად იციან ასე ბურტყუნი. (დაიქუხებს)

სოლეიმან-ხანი: დედოფალმა მაცნობა დღესა, რომ ორბელიანი და სემბატი მოსკოველ მეფესთან გაიქცნენ, უნდათ შეეეედრონ და შველა სთხოვონო.

ყარა-იუსუფი: შორს არის მეფე მოსკოვისა, ძლევა-მოსილო მპყრობელო ქვეყნებისაო.

სოლეიმან-ხანი: კავკასიის იქით, ჩრდილოდ კერძოდ სცხოვრობს გოგი და მაგო-

გიო, სწერია ყურანში. მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის დასასრული ისლამისა!

ი ს ა ხ ა რ ი: (აივნიდან) აღარ არის შორს...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: რა სთქვი, ისახარ?

ი ს ა ხ ა რ ი: დედოფალი შორს აღარ უნდა იყოს-მეთქი... თითქო მესმის შორიდან ცხენების თქარა-თქურის ხმა...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ყარა-იუსუფ, დედოფალმა მაცნობა, რომ რამდენჯერმე დაეცნენ თავს ხარჯის ამკრებთაო, რომ ალ-რაზაკის მკვლელნი ჰბედავენ და პირში მაგინებენ, მლანძღავენო!

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: დედოფალმა გაცნობათ? მე გადმომცეს ისინი, ბატონო, და მე ვიცი, როგორც მოვუგრეხ კისერსა. (სჭუტავს თვალებს) მიბრძანეთ, თქვენს მზესა, რუქაიას-კი არაფერი უცნობებია?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: რუქაია მაცნობებს, რომ დედოფალს ეშინიან ოთარ-ბეგის ქალის სილამაზისაო. ოთარ-ბეგი ემუდარება დედოფალს, მოახსენე სოლეიმან-ხანსა, რომ ფადიშაი იმის ქალს ზედაც არ შეხედავსო. ახლა-ხანს კიდევ ბრმივიდა ამბავი, დედოფალი აუტეხს რასმე იმ ქალის სილამაზესაო. (დაცინვით) დედაკაცის ფიქრი ის არის, რომ

ვითომ ქვეყანაზედ იმის სილამაზის მეტი სხვა ალარა არსებობს-რა!

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: დიდება შენსა გულთამხილაობას, თვალოო სიბრძნისა.

ი ს ა ხ ა რ ი: დიდება შენსა გულთა მხილაობას!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: დაბრუნდა რაზმი, რომელიც ორბელიანის ბრბოთა გასაფანტად იყო გაგზანილი?

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: არა ჯერა, რისხვაო ურწმუნოებისა.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: მესამე დღეს ვუბრძანე დაბრუნება და აგერა უკვე მეხუთე დღეა.

ყ ა რ ა-ი უ ს უ ფ ი: მეხუთე გახლავთ, სავანეო სიმართლისა. თქეშმა და ქარიშხალმა გააფუჭა გზები, წყლები ადიდდა და წალეკა ქვეყანა...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: მხდალო ძაღლო, მაგისთანა თქეშსა და ქარიშხალში გავცურე მდინარე ჰინდისა ათასის ბედუინით და სულ კუდით ქვა ვასროლინე ათასს სპილოს. (ფიქრი წაიღებს) ეგ კია, რომ მაშინ მზე ბნელი არ იყო და დღევანდელივით შავად არ მეჩვენებოდა.

ისახარი: მზე ისევ ბრწყინვას დაიწყებს.

სოლეიმან-ხანი: რას ამბობ, ისახარ?

ისახარი: იმას მოგახსენებ, რომ მზე ისევ ბრწყინვას დაიწყებს-მეთქი... ამალამის ჭექა-ქუხილის შემდეგ.

სოლეიმან-ხანი: ღრუბლები-კი არ გადაჰფარებია, ის-კი არ აბნელებს, არამედ ღალატი! (გულ-დამშვიდებით) ყარა-იუსუფ, რასა გწერს სარდალი ერევნისა?

ყარა-იუსუფი: (მკვდრის ფერი დაედება შიშითა, ხმა ვეღარ ამოუღია; მუხლები უკანკალებს)

სოლეიმან-ხანი: (ყინულივით ცივად ეკითხება კვალად და არ-კი უყურებს) რასა გწერს სარდალი ერევნისა?

ყარა-იუსუფი: მოც... მოცილეო ვარსკვლავთა, მე წერილი არ მიმიღია...

სოლეიმან-ხანი: მაშ, ახლა მიიღე... დიდი ხანია ელოდები ამ პასუხსა. (აძლევს წერილს. ყარა-იუსუფს ფეხები უკანა რჩება, მაგრამ მაინც ვაი-ვაგლახით მიუახლოვდება, გამოართმევს წერილს და ფეხ-ქვეშ ჩაუვარდება სოლეიმანსა)

ისახარი: (თავისთვის) სახლს რომ ცეცხლი გაუჩნდება, ვირ-თაგვები გარბიან ხოლმე. (ხმა-მაღლა) ხელმწიფეო, დაუძახო ჯალათსა?

ყარა-იუსუფი: (ძლივს ლუღლუღებს) სამ-

კაულო... ნათელო ქვეყნიერებისაო... მოლალატე არა ვარ... მინდოდა მხოლოდ შემეტყო იმათი განზრახვა..: შემიწყალე.

სოლეიმან-ხანი: რადაო? (დაიჭექებს)

ყარა-იუსუფ. (ფორთხავს მის ფეხ-ქვეშ) შენი მონა ვიყავი, მოსამსახურე... შემიწყალე!

სოლეიმან-ხანი: მე შენა გკითხავ — რადა-მეთქი? სად არის შენი სიბრძნე, ყარა-იუსუფ, ვეზირო ჩემო? იქვეა, საცა ერთგულება განა?

ისახარი: დავუძახო ჯალათებსა, ხელმწიფეო?

სოლეიმან-ხანი: (ფიქრში წასული და თავპირ ჩამობნელებული) ჰლირს განა სიცოცხლე ხვეწნა-ვედრებად? ყოველივე გარდავა, გაჰქრება, არ არსებობს დრო და ჟამი. არსებობს მხოლოდ საუკუნოება. რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის. რაც ხვალ იქნება, ორ დღეს უკან ისიც გაჰქრება. აღარ არის უკვე ის, რაც გითხარი, როცა ლაპარაკი დაგიწყე. მაშ რად გინდა შეწყალება? ყოველივე გადივლის, გაჰქრება.

ყარა-იუსუფი: გაუწყებ, გეტყვი შენის

ძტრების ყოველსავე ღვარძლიანობას, ბოროტს ზრახვას. (უკოცნის ფეხებს)

სოლეიმან-ხანი: (ზიზღით) მითხარი,

ყარა-იუსუფი: (გიჟივით შეჰყვირებს სიხარულით აღტაცებული) მპყრობელო ქვეყნიერებისაო, ყველაფერს მოგახსენებ. მალე მოვა აქ ელჩი ფადიშასი. ჩვეულებისამებრ ციხის გარედ უნდა მიეგებო. უნდათ აგკუწონ, ხელმწიფეო.

სოლეიმან-ხანი: ნაადრევად მეუბნევი მაგას, ყარა-იუსუფ (წამოდგება და გულ-დამშვიდებით) გამომყე, (მივა აივნის კარებთან და გააღებს) შენ ჩემთვის საჭირო აღარა ხარ, ყველაფერი სთქვი უკვე. აღსრულდეს მართლ-მსაჯულება. ჩემის ღალატისათვის შენ დაიმსახურე სიკვდილით დასჯა, ხოლო იმათის ღალატისათვის შეწყალება. ალლაჰი გადასწყვეტს, ვინ გაიმარჯვებს. თუ მოკვდები, მე დავრჩები გამარჯვებული, თუ ცოცხალი გადარჩები და – ისინი, აი შენი გზა! (ანიშნებს ძირს მდინარეს)

ყარა-იუსუფი: ხელმწიფეო, იქ ღურღუმია! წვეტიანი კლდეებია... ეგ სიკვდილით დასჯაა, მპყრობელო ქვეყნიერებისაო!

სოლეიმან-ხახი: თუ ხსნა გიწერია, გადარჩები სიკვდილს... (იუსუფი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდება) სიტყვა ჩემი—ხმალია ჩემი! (ყარა-იუსუფი გადავარდება მდინარეში)

ისახარი: ეს მეორე! ძირსა სცვივა შხამიანი ფოთლები!

II

სოლეიმან-ხანი: (ძირს ჩაიცქირება) დაილუპა! დაილუპებიან ჩემი მტერნიცა (ხელს გაიწვდის მეტეხისაკენ). ვიდრე. მეტეხი თბილისს დასცქერის, ვერავინ-რას დამაკლებს.

ისახარი: გაუფრთხილდი მეტეხს, ხელმწიფეო, გაუფრთხილდი მეტეხს.

სოლეიმან-ხანი: (მოტრიალდება და აცქერდება ისახარს) რა სთქვი?

ისახარი: მე მოგახსენე, მეტეხს გაუფრთხილდი-მეთქი. იქ არის მთელი შენი ჯარი. იქ არის მთლად შენი ტყვია-წამალი. გაუფრთხილდი მეტეხს. შენ ამბობ, არც დროა, არც ჟამიო, არის მხოლოდ საუკუნოებაო. მაინც ჯერ მეტეხს გაუფრთხილდი!

სოლეიმან-ხანი: (ხელში სტაცებს ხელს) სთქვი, ბებერო, თუ იცი რამე.

ი ს ა ხ ა რ ი: (უგულოდ იცინის) ხელმწიფეო! ჩემს ძვლებს დიდი ხანია სამარე ენატრება, ჩემს ხორცს წამებისა არ ეშინიან. სანანური აღარა მაქვს-რა ამ ქვეყნად. დიდი ხანია ქვათა ვარ გადაქცეული. რითი შემაშინებ?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (უფრო ძლიერ უჭერს ხელს) რა იცი-მეთქი?

ი ს ა ხ ა რ ი: უძლეველო სოლეიმან! ნახევარ ქვეყნიერობასა სძლიე, მაგრამ მე კი ვერა მძლევ. როგორა სძლევ არარას? მე არარა ვარ.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (ხელს გაუშვებს) არარა?

ი ს ა ხ ა რ ი: შენც ჩემსავით არარა გახდი და შიში აღარ გექნება აღარც სიკვდილისა და წამებისა, აღარც ღალატისა და აღარც ფადიშასი. მეც მეშინოდა, როცა მებადა რამე, რასაც უნდა გავფრთხილებოდი. მყვანდნენ შვილები და ვშიშობდი მათთვის, მყვანდნენ ქალები და ვუფრთხილდებოდი მათს სახელსა და ნამუსს, მქონდა სახლი და მიყვარდა ჩემი სახლი და კარ-მიდამო... ჩემი შვილი გასრისეს...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: შენი შვილი?

ი ს ა ხ ა რ ი: დიალ... ამოდენა იქნებოდა.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: როდის იყო ეგა?

ი ს ა ხ ა რ ი: დიდი ხანია. ჩემს ქალებს ნამუსი აჰხადეს, სახლი, ოჯახი დაქცეულია. ახლა სულ თავისუფალი ვარ: არა მაქვს-რა და მეც თვითონ არარა ვარ. (იცინის) არც ღალატია საჭირო, არც ბრძოლა... მხოლოდ ცდაა საჭირო.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ბებერო, დაანებე თავი მაგ სულელობას. სთქვი, რა იცი?

ი ს ა ხ ა რ ი: (გადიხრება მისკენ) წადი მეტეხში. იქ შიში არაფრისაა. შენი მხედარნი იქ არიან. ცოცხლები იქ ვერას გავნებენ, ხოლო მკვდარნი... (ანიშნებს ღრუბლებს მეტეხის თავზე) ისინი აიმ ღრუბლებში არიან. ისინი მეტეხს დასტრიალებენ თავს. იმათი დაძლევა მაინც, სულ ერთია, არაფრით შეიძლება.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (უნებურად შეკრთება) შენ სიცხე გაქვს და ჰბოდავ, მგონი.

ი ს ა ხ ა რ ი: იმათი დაძლევა არ შეიძლება, საწყალო, უძლეველო სოლეიმან. ხალხისა-კი თუ გეფიქრება, მეტეხში წადი. (შემოდის ზეინაბი და ოთარ-ბეგი ჩაფხუტით, რომელსაც დოლბანდი აქვს გარშემოხვეული)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (გაექანება და ფეხ-ქვეშ ჩაუვარდება სოლეიმანს) ძლივს, ძლივს მელირსა და კვლავ ვეხვევი შენს მუხლებს, ჩემო ხელმწიფეო! ოჰ, წყეულიმც იყოს დღენი ჩემის მოშორებისა შენგან! ვერც გრიგალმა და ვერც თქეშმა ველარ დამაკავა შენს ნახვას მოწყურებული.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: (შემოსვლისთანავე დაიჩოქებს) ძლევა და გამარჯვება ნუ მოგაკლოს, ძლიერო ხელმწიფეო.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (გულდაძშვიდებით და მედიდურობით) კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ზეინაბ, (ზეინაბი ხელზე აკოცებს და ფეხზე წამოდგება) ვინ მოჰკლა ალ-რაზაკი?

ზ ე ი ნ ა ბ ი: რუქაიამ მოჰკლა და გაიქცა.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (დააცქერდება ზეინაბს) როდის?

ზ ე ი ნ ა ბ ი: ამ ორი საათის წინად ვნახე უკანასკნელად, როცა ერთი მუქარა გზა-ლა გვქონდა დარჩენილი თბილისამდე. სამს დღეს იავადმყოფებდა თავს ის გველი, ისა! სალამოჟამდებოდა, როცა გამოვემართეთ ქალაქი-

საკენ. რუქაია სულ შფოთავდა და სულ წყალსა თხოულობდა, დამალევინეთო. დარაჯნი, საპატიო დარაჯნი ჰყავდნენ მიჩენილნი. ვერ გავბედე და ბორკილები ვერ დავადებინე. შენ გებრძანებინა, ზეინაბს თვალი არ მოაშორო, გამუდმებით ზვერეო. ან იქნება გგონია, რომ მე ვერას მივხვდი?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: გაგექცათ, მაშინ, როცა ათასი ჯარის-კაცი თანა გყავდათ, ოთარბეგ!

ზ ე ი ნ ა ბ ი: მე მაგის ქალს ვუგდებდი ყურსა, ხელმწიფეო, ოქროსა და ვერცხლსა, პატიმართა, მერე თვით მაგასაცა. ველარას გავხდი... მოვიღალე, მგზავრობამ ცალკე დამტანჯა, შენმა დარდმა და ნაღველმა კიდევ ცალკე... მე შენს ნახვას ვისწრაფოდი... სადღა მეცალა, რომ საზიზღარ მონასათვის, ჩემის მზვერავისათვის მეგდო კიდევ ყური. გეფიცები, სოლეიმან, შენი სურვილი რომ კანონი არ იყოს ჩემთვის, გარყვნილი რუქაია შენ ფეხ წინ ეგდებოდა ბორკილებ-დადებული. მაინცა და მაინც გალავნის კარს რომ მოვუახლოვდით, ერთხელ კიდევ მივედი მის ჩარდახიან ურემთან და იმის ამბავი მინდო-

და გამეგო. ურემი ცარიელი-კი დამხვდა. ვხედავ, ერთს დარაჯს აღარც ნაბადი ასხია და აღარც ყაბალახი აქვს. მაშინვე ვუბრძანე იმისი შეპყრობა და თვალებსა და ლაპარაკზე შევატყე, რომ შენს საყვარელს და შენის ნდობით მოსილს რუქაიას შეეცდინა!

ს ო ლ ე ი მ ა ნ- ხ ა ნ ი: რუქაიამ თვით მოჰკლა ალ-რაზაკი? შენ თვითონ ჰნახე?

ზ ე ი ნ ა ბ ი: არა, ხელნწიფეო. მკვლელი გაიქცა. შევიპყარით იმისი მამა და... (ხმა შეუკანკალდება) ძმა. (აჩქარებით დაუწყებს ლაპარაკს და ბჟირივით აყრის სიტყვებს) შებოჭილ-შებორკილებულები მოვიყვანე და ვუბრძანე დილამდე მეტეხის ციხეში ჰყვანდეთ. ან იქნება ეხლავე ინებო და ჩვენება ჩამოართვა? ვუბრძანებ დაუყოვნებლივ მოიყვანონ (უნდა წავიდეს ბრძანების მისაცემად)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ეგ მერეც მოესწრება.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოჰ, უნდა გენახა რუქაიას გველური თვალები, როცა დამნაშავეებს ვაპატიმრებდით. ნეტავ გაგეგონა იმის მოჯადოებულის ტყუილებით შეზავებულის ხმის მიმოქცევა... მაშინვე ენაზე ვიკბინე და ეჭვმა

ელვასავით გამიარა გულში... მაგრამ იმის თვალები ამას ამბობდა—მე თვით მეფისაგან ვარ მოჩენილი შენ დასაზვერავადაო... (იცინის ბოროტის სიცილით) თითქო არ შეიძლებოდეს ნდობა დედოფალ ზეინაბისა! თითქო შენს თვალწარბში ცქერა, შენი სუნთქვა, შენის წამწამების მოძრაობა მუდამ კანონი არ იყოს საწყალ ზეინაბისათვის... ამიტომ ხელი ვერ ვახელი შენს გარყვნილ რუქაიას... ახლა ხომ დაინახე, ვის მიანდე თვალი ედევნებინა ჩემთვის?! ოჰ, რა შეურაცხყოფაა! თუ-კი აგრე ენდობოდი რუქაიას, რატომ მარტო იმას არ მიანდე ყოველივე?..

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: საჩუქრები შეაგროვეთ?

ო თ ა რ-ბ ე გ ი: სულ, ხელმწიფეო, ოქრო, ვერცხლი, ცხენები და ქალწულნი... ყოველივე მეათე დღესვე მზად გახლდათ.

ზ ე ი ნ ა ბ ი: ხელმწიფეო, ყოველივე საჩუქარი ღირსია უმაღლესის კარისა. მაგრამ ქალი, ამისი ქალი! ოჰ, ბატონო, ირანის მფლობელი ერთის იმის შეხედვისათვის შეკრულ-შებოჭილს დაამხობს შენ ფერხთა ქვეშე ერევნის სარდალსა... ყველა საჩუქრის დათ-

ვალიერებას ხვალაც მოასწრობ, მაგრამ ქალი-კი ეხლავე ჰნახე. მიბრძანებ შემოვიყვანო? (სოლეიმანი თავს უქნევს ნიშნად თანხმობისა) ოთარ-ბეგ! (დიდ-მნიშვნელოვანებით) შემოიყვანე შენი ქალი და დააყენე ყარაული... ცხენებსა და ბარგს. ისახარ, წაჰყევი და ერთად მოიყვ:-ნეთ ქალი. (ოთარ-ბეგი და ისახარი მიდიან)

IV

ზ ე ი ნ ა ბ ი: (აჩქარებითა და აღელვებით) ოთარ-ბეგი სიკვდილამდე შენი ერთგული იქნება ახლა. თავისი გაიანე სიცოცხლეს ურჩევნიან. ჩვენთვის კი ახლა საჭირონი არიან ერთგული კაცები. საქართველო ჰღელავს.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ალ-რაზაკი მოჰკლეს. მკვლელი ვერ შეიპყრეს. რუქაია გაიქცა. საქართველო ჰღელავს. ყარა-იუსუფი სიკვდილით დაისაჯა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: დაისაჯა? რადა, რისთვის?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (დააშტერდება) ღალატისათვის! დედოფალო ზეინაბ! დედოფალო ზეინაბ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი: (ტანჯულის სახით ეხვევა მუხ-

ლებზედ) რა! რას მიბრძანებ, ჩემო თვალის სინათლევ? რად მიყურებ ისე, თითქო გაქრობა გინდა ჩემიო? გარშემო ღალატსა ჰხედავ, იმან შეგაშინა და იმიტომ ალარ ენდობი შენს მონას?... დიალ, მონას, მონას მთელს თავის სიცოცხლეში, მაგრამ მე მონა ვარ, ხმლით დამორჩილებული და არა ოქროთი სყიდული, არა ნაჩუქარი... მე მონა ვარ შენის მრისხანე თვალებისა, შენის ლომ გულისა, შენის რკინის მარჯვენისა... (კილო მისი ლაპარაკისა უნებურად იცვლება და მძულვარებითა და გულის წყრომით განაგრძობს) შენს მეტი რაღა შემარჩინე? შენ შეიწირე ჩემი შვილი, სამეფო, სარწმუნოება... (იცვლის კილოს) შენ დაიმორჩილე და გაანადგურე ყოველივე და მე, როგორც ტრედი, ისე ვიბუზები არწივის ფრთეთა ქვეშე... სად უნდა გავიქცე შენს იქით? სად უნდა გავფრინდე? ყოველივე შენ გიჭირავს ძლიერის ბრჭყალებითა... და სწიწკნე მაგ ბრჭყალებით ყველა და არა მე... (კიდევ გული ვერ უთმენს) სწიწკნე, ვიდრე შენი ბრჭყალები... (დაიჭექებს საშინლად და გაიელვებს ძლიერ) უი!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: რა დაგემართა?

ზ ე ი ნ ა ბ ი: (დაიმშვიდებს გულს) შემეშინდა, გული გამიწვრილდა ამდენის წუხილითა და შენთვის ზრუნვითა... და შემეშინდა... ნუ მიყურებ მაგრე.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ხმაზე გატყობ სიყალბეს.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (გულ-მოსული) მაშ, აიღე და მომკალი... მორჩები და მოისვენებ. ხმაზე მატყობს სიყალბესა! გარყვნილ რუქაიას რალას ატყობდი ხმაზედ? სიმართლესა? მოლალატე ყარა-იუსუფსა, სიმართლეს ატყობდი ხმაზედ? სოლეიმან, მე-კი არა, შენი გულისყური გლალატობს, შენი თვალები, შენი ყურები გატყუებს. ვარსკვლავები შავად გეჩვენება და მაშ ეს ღრუბლები გინათებენ ღამესა? მომკალ, მომკალ! სიხარულით მოვკვდები, ოღონდ-კი შენი გული დამშვიददებოდეს! ორში ერთი: ან მენდე და მერწმუნე, ან მომკალ და გამათავე.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (მორბილდება, მაგრამ თავ-პირი მაინც ჩამობნელებული აქვს) აქამდე სიკვდილი მხარ და მხარ დამდევდა, წინ მისწრობდა და არას დროს თვალებში ყურება არ დაუწყვია ჩემთვის. ახლა ჩემსკენ იბრუნა

პირი... ჩემს მტრებს ზურგი შეექცია და მის თხემიდან ისე დაჰბერს სიცივე, თითქო იალ-ბუზის საყინულეაო. (ზეინაბი ისე უყურებს, თითქო სიკვდილი შესცქერისო) მე ჩემი გზა განვლე. რისხვით იყო იგი მოსილი, როგორც ისლამი და დიდებით გაშუქებული, მაგრამ მაჰმადმა სთქვა: ვის ფერხნიც მოუცვამს ალლაჰისათ-ვის გადახდილ ომის მტვერს, უფრო შორს იქნება გენიაზედ დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, ვიდრე ის მანძილი, რომელსაც ქარივით ფეხმარდი ცხენი გაივლის ჭენებით ბთას დღეშიო. (შემოდის ოთარ-ბეგი, იმას შემოჰ-ყვებიან ისახარი და გაიანე, პირ-ბადით მობურვილი, ისე რომ მხოლოდ თვალები უჩანს)

V

ზ ე ი ნ ა ბ ი: (გაექანება მისკენ) დაანებე თავი მაგ ფიქრებსა, ძლიერო და დაინახე ეს შვენიერება. (გადახდის პირ-ბადეს გაიანეს და მიიყვანს სოლეიმანთან. გაიანე გაფითრებულია, პირგამეხებული. ზეინაბი სწრაფად მოავლებს თვალს ოთარ-ბეგს)

ო თ ა რ ბ ე გ ი: (ოდნავ გასაგონის ხმით) ჩვე-

ნებმა დაიჭირეს ალაყაფის კარები. ორბელიანი უკვე გალავანშია.

ზ ე ი ნ ა ბ ი: დაინახე ამისი თვალები, ხელმწიფეო... ახლა გაბოროტებით ცეცხლსა ჰყრის... გაგარეულებულია, დამფრთხალია... მაგრამ როცა გულის-თქმა გაუბრწყინებს ამ თვალებს, (ყური გარედ უჭირავს და ისე განაგრძობს ლაპარაკს, თითქო არც-კი ესმის, რას ამბობს) როცა ალი ტრფობისა აღეგზნება და სიამით დათრობის სურვილი დაუწყლიანებს ამ მშვენიერ თვალებს... ეს თმები ლა?.. ეს საროს ტანი?...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (სტკბება გაიანეს ცქერით) ფადიშა მადლიერი იქნება.

გ ა ი ა ნ ე: (წკრიალა ხმით) არა.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (ყურადღებას არ აქცევს გაიანეს) ზეინაბ, შენ თვითონ წაჰგვარე ფადიშასა.

გ ა ი ა ნ ე: მხოლოდ მკვდარი.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (ისახარს) წაიყვანე.

ი ს ა ხ ა რ ი: (უნდა ხელი გამოართვას) წავიდეთ, ქალო.

გ ა ი ა ნ ე: ხელს ნუ მკიდებ! წამიყვანე და მაჩვენე, სად არის ჩემი საპყრობილე.

ი ს ა ხ ა რ ი: გაჩვენებ. (მიჰყავს გაიანე)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ოთარ-ბეგ! მადლიერი ვარ, შენის გულმოდგინებისათვის. თვითონ დედოფალი წაიყვანს შენს ქალს ისპაანს.

ო თ ა რ-ბ ე გ ი: დიდია წყალობა შენი, ხელმწიფეო და ვეცდები სამაგიერო გადაგიხადო.

ს ო ლ ე ი მ ა ნ - ხ ა ნ ი: ხვალ მეამბოხეთა ბრბონი გაფანტე, თუ სადმე დაძრწიან თბილისის ახლო-მახლო. წადი, ოთარ-ბეგ. (ოთარ-ბეგი დაბლა თავს დაუკრავს და გავა მარჯვნივ)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (გაიანეს გააცილებს) რა ჭექა-ქუხილია! ხელმწიფეო, მოლალული ვარ... ლამის წავიქცე! ოჰ, რამდენი დარდი და მწუხარება გამოვიარე ამ მცირე ხანში! (სოლეიმანი მეტეხისკენ იყურება) რას უცქერი ამ სიბნელეში?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: მკვდრებისა გეშინოდეს, ცოცხლებისაგან-კი მეტეხი დაგიფარავს. წადი იქ.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (კანკალებს შიშით, ისე შეძრწუნდება) მეტეხს? რადა? რომელ მკვდრებისას ამბობ?

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: არაბეთის უდაბნოში აღვიზარდე, დავიპყარი სინდეთი და ჯებალი,

ჰინდის წყალით განვიბანე წმინდა რჯულისამებრ და მხოლოდ მას შემდეგ შემოვიტანე მახვილი ისლამისა კავკასიაში. ჩემი გული მუდამ ამას მეუბნებოდა ჩურჩულითა: სოლეიმან, გეცვას წვრილ-თვალა რკინისა, გეხუროს ჩაფხუტი, ამოწვდილი გქონდეს მახვილი—მტერი შენი ახლოა, აი, აქეეა, მთას უკან, ჩალიანებში, წყლის ნაპირად, უდაბნოს ქვიშაში მიწოლილა და გიყურებს. და მეც, ვიდრე მხედარი ვიყავ, სიბნელეშიც ეხედავდი, გამხმარის ფოთლის ფაჩი-ფუჩიც კი მეყურებოდა და, როგორც ქორი წამოვიდეს მაღლიდან და დაჰქროლოს ჩიტს, ისე დავეცემოდი ხოლმე მტრებს თავსა. ახლა-კი ოცის წლის უმოქმედობით ყოფნამ მომადუნა, გამაბრუა. ვგრძნობ საფრთხესა, მაგრამ ველარ მივმსვდარვარ, საიდან მოდის. (მარცხნივ აივნიდან ისმის ხმა რუქაიასი: „ღალატი! მეფეო, ღალატი!“ სოლეიმანი იცნობს თუ არა რუქაიას ხმას, წელში გასწორდება უცბად, გველნაკბენივით და, მიხვდება-რა, როგორც არის საქმე, ხელში სწვდება ზეინაბს)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: გველო!

ზ ე ი ნ ა ბ ი: გამოჩნდა! აგერა გველი! შაგას უნდა ჩემი სიკვდილი! (შემოვარდება რუქაია)

VII

რ უ ქ ა ი ა: (ნაბად-წამოხურული, მოიგლეჯს ყაბალახს, თმები ჩამოეფინება პირისახეზედ და მხრებზედ) ხელმწიფეო, დროზედ მოვასწარ მოსვლა! დაგიხსენი სიკვდილისაგან... დედოფალმა გიღალატა.

ზ ე ი ნ ა ბ ი: (მხნედ, სცდილობს დრო გავიდეს) ღალატი და ორგულობა შენს გულშია დაბუდებული, უნამუსო მონავ! ცილის წამებით გინდა მიაფუჩეჩო შენი გარყვნილება! სად არის შენი საყვარელი, ვისთან გაიქეცი?

რ უ ქ ა ი ა: (გაცოფებით) ჩემი საყვარელი? ჩემთან არის! (გაექანება აივნისაკენ და შემოჰყავს ერეკლე გაჩქარებით) აგერა!

ზ ე ი ნ ა ბ ი: (განწირულის გაბრძოლებით გაეშვებინება სოლეიმანს, გაექანება შვილისაკენ და განგრძობილის, გულის სილრმიდან წამოსულის აღმოოხვრით დაეცემა ძირს)

რ უ ქ ა ი ა: (ქასქასებს და სული ყელში ებჯინება) შიში ნულარაფრისა გაქვს, ხელმწიფეო. კვალ და კვალ ვსდიე მელას... ძლივს მოვახერხე აქ შემოსვლა... ციხის გარშემო აუარებელი ბრბოა ხალხისა... კედლებს შემოხვევიან... მთა-გორებში ირევიან... სახლის ბანებზედ

დაგროვილან... ყველგან მრავლად არიან... მათი ნიშანია—„საბა-ბერი“... უამისოდ... (ხმა ჩაუწყდება)

ს ო ლ ე ი მ ა ნ ი: ვინ არის ეს კაც... (დააკვირდება ერეკლეს და ნელ ნელა უკან იწევს, თითქო მოჩვენება მოელანდა და ეშინიანო) მკვდარნი სდგებიან სამარიდან!

რ უ ქ ა ი ა: შენი ერთგული ყმაა... ამაზე გასცა ყველანი. ამას უნდა აეფეთქებინა მეტეხი. მუქარით აიძულებდნენ, მოატყუეს, მეფის ძე ხარო... მაგრამ მე ვუთხარი, გავიქცეთ ხელმწიფესთან, ვუამბოთ ყოველივე... მეფურად დაგაჯილდოვებს-მეთქი...

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (გონს მოვა, წასწვდება სასწრაფოდ ხეინაბს, გააჯანჯღარებს და წამოაყენებს ზეზე) ეს შენი შვილია?

ზ ე ი ნ ა ბ ი: (თავ-ზარდაცემული, გათახსირებული) არა.

რ უ ქ ა ი ა: (ერეკლეს) გესმის?!

ე რ ე კ ლ ე: (უკიდურესის გააფთრებით) არა, მეფეო, მე ბუში ვარ, გამზარდეს იმიტომ, რომ დავეღუპნეთ. როგორც კურატი ისე უნდა დავეკალით და სისხლი თქრიალით მდენოდა... ჩემს გვამზე უნდა დაედგა ფეხი

ოთარ-ბეგს და ისე ასულიყო სამეფო ტახტ-ზე...

რ უ ქ ა ი ა: (წაჰგლიჯავს ასაფეთქებელს პატრუქს გულიდან) აი, ხელმწიფეო, რა მისცა ამ კაცს შენმა ერთგულმა ზეინაბმა. შენი ბურჯი-ცლიერება—მეტეხი—ჰაერში იქნებოდა ასროლილი, მე რომ არ ჩამეხედნა მაგის ცრუ გულში. მე დაგიხსენი.

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ზეინაბ, მე მაღლა ვდგევარ. ჩემზე მაღლა კიდევ ღმერთია. ღალატი ძირსა გდია. დაე, შემიპყრას, თუ შეუძლიან. (შეჰყურებს ზეინაბს) ვინ გიხსნით ახლა თქვენ?

ზ ე ი ნ ა ბ ი: მეფე სოლეიმან, რა შავ-ქვად მინდა ახლა ხსნა? ხომ ხედავ, ვინც გამყიდა... რაღა საჭიროა ხსნა? (ერეკლეს მიმართავს ნელის ხმით და გამოუთქმელის მწუხარებით) დიაღ, შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა! მე მინდოდა დამელუპე... კარგი, მაგრამ შენი სამშობლო? შენი ძმები?.. ჯვარი შენს საზიზღარ გულ-ზედ?.. ნუთუ ყოველივე... ყოველივე უნდა გაგეყიდნა მაგ მონის ალერსისათვის... იმის წყალობისათვის, ვინც შენის ქვეყნის სისხლი დალია?! იცი-კი, რა მოიქმედე? ოჰ, უკეთესია მოვკვდებოდე და ამას-კი არ გაიგებდე!

იცი, რა მოიქმედე? შენ დააბნელე მზე ამოსელის წინად! შენ გაამეფე უკუნეთი ღამე შენს სამშობლო ქვეყანაში!

ერეკლე: რუქაია! გონება მებნევა... რუქაია! სიმართლის ხმა მესმის.

რუქაია: მე დაგიხსენი, ხელმწიფეო.

სოლომან-ხანი: (სტკბება ზეინაბის გათახსირებით) ზეინაბ! ეს არის შენი შურისძიებელი? გცოდნია ამორჩევა. (კარებისაკენ მიმართავს) ეი, დარაჯნო! შეიპყარით ოთარბეგი და ამ წუთშივე აქ მომგვარეთ! დაჭკათ! ნაღარა... მთლად ამოსწყვიტეთ დედოფლის ჯარი! (ხელჩართული ბრძოლაა სცენის უკან. საშინელი წივილ-კივილი ისმის, ჩხარა-ჩხური იარაღისა)

ზეინაბი: (მიიჭრება ერეკლესთან) დაიხსენი თავი საშინელის სირცხვილისაგან! წადი, იქ შენთვის თავსა სწირავენ. გასწირე შენც იმათთან თავი. ო, ნულარ იცოცხლებ თავს! ნულარ იცოცხლებ! ხალხი არ შეგინდობს, არ მოგიტევებს... იქნება ქრისტემ... შენგან გაყიდულმა... ავაზაკის მიმტევებელმა... გასწი! გასწირე თავი!

ერეკლე: (განწირულებით შეჰკივლებს) რუქაია!

რ უ ქ ა ი ა: (არ უყურებს ერეკლეს) მე დაგიხსენი, ხელმწიფეო!

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (მრისხანებით) ზეინაბ! სამასხაროდ არ შეუქმნია ღმერთს ქვეყანა და სათამაშოდ—ცა. ვიდრე მოგაკვდინებენ, კვლავ იხილავ ყოველსავე, რაც იხილე ოცი წლის წინად. ხელმეორედ ჩაუნგრევ შენს შვილს გულ-მკერდსა, მაგრამ ჯერ ხალხმა უნდა გაიგოს, როგორ გაჰყიდა შენმა შვილმა ერი თვისი და დედა თვისი. მეტეხის სიმაღლიდან დაინახავ, როგორ დაიწყებს სისხლი თქრიალს მის კედლებ ქვეშა. შენ მოუყარე თავი შენს ერს და შენვე დაადებ მოკიდებულ პატრუქს მის ამოსაჟლეტად მიმართულ ზარბაზნების ფალიას. (ფანჯარა განათდება საშინელის წითელის ალით. მოიმის ყურთ-წამღების აფეთქების გრიალი. სჩანს, როგორ ადის ჰაერში აფეთქებულ ციხის ნანგრევნი. საშინელი წივილ-კივილია და თოფ-იარაღის ჩახა-ჩუხი. რუქაია გარბის განწირულის წივილ-კივილით)

ზ ე ი ნ ა ბ ი: ოჰ, ანანია! დაგიხსნას და დაგიფაროს ღვთის მშობელმა დედამა!

ე რ ე კ ლ ე: (გაექანება კარებისაკენ) დედა! ნუ მიუტევებ ცოცხალსა, ილოცე მკვდრისათვის! (გარბის)

VIII

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: (გაშეშებული შიშითა და ძრწოლითა, ეცემა კედელს, საცა თოფ-იარაღი ჰკიდია და სტაცებს ხელს დამბაჩას და ხმალს) მოვედით ჩემდა, მხედარნო ალაჰისანო! (გაცხარებული ბრძოლაა თითოეულ კარებში და აივანზედ. აივნიდან შემოვარდება ხმალ-და-ხმალ დათო და ეცემა მისკენ გაქანებულს სოლეიმანს)

დ ა თ ო: მგელო, გამოდი შენის ბუნაგიდან! (გულ-და-გულ დაეტაკებიან ერთმანეთს და დასცემენ მახვილს)

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ავან-სცენაზე დაჩოჭილი ამ შებრძოლების დროს) ყოვლად წმინდაო ღვთისა დედაო! შენს განგმირულს გულს მოვმართავ ჩემის ვედრებით! მარტო მე მკითხე ცოდვა ჩემის შვილისა, მარტო მე მკითხე, მე გადამახდევინე! (დათო ჩაიგდებს ფეხ-ქვეშ სოლეიმანს, დააჭერს მუხლს მკერდზე. შემოცვივიან: ორბელიანი, მაღალ-მაღალი, ბელოტი მოხუცი, სემბატი ჭალარაშერეულის წვერითა, სხვა წინამძღოლნი, გლეხ-კაცნი. საბა შემოდის და ცალ-ხელში კვერთხი უჭირავს. ხოლო მეორეში—ამოწვდილი ხმალი. ბრძოლის ყიჟინსა და ხმაურობას ემატება ზარების რეკა. მარცხენა კარებიდან შემორბის გაიანე, მას მოსდევს ისახარი)

ყ ვ ი რ ი ლ ი კ ა რ ე ბ შ ი: ციხე ჩვენს ხელშია, მტერი გარბის. გაუფრთხილდით დედოფალს. სად არის სოლეიმანი? სიკვდილი სოლეიმანს!

გ ა ი ა ნ ე: დათო!

დ ა თ ო: (გაძაგრული ჰყავს სოლეიმანი მუხლ-ქვეშა) წინამძღოლნო! სოლეიმანი აქა მყავს გათანგული!

ი ს ა ხ ა რ ი: ჩაუნგრიე გულმკერდი ისე, როგორც მაგან ჩაუნგრია გულ-მუცელი შენს ძმასა! გაჰქელე როგორც მაგან გაჰქელა შენი ქვეყანა! (ბიკა ტახტზედ დანარცხებულ სოლეიმანთან) ჰხედავ თუ არა მკვდარს ყმაწვილს, უძლეველო სოლეიმან? იმის ძმის მუხლი გინგრევს მკერდს ისე, როგორც შენის ცხენის ფეხმა ჩაუნგრია იმას გულ-მუცელი, უძლეველო სოლეიმან! (სტაცებს ხელს ახლო მდგომარე მხედრის ამოწვდილს ხანჯალს) დაე, შენმა სისხლმა ისე დაიწყოს თქრიალი, როგორც იმისი თქრიალებდა, უძლეველო სოლეიმან! (ბოულერებს ხანჯალს ჩასაცემად)

ს ა ბ ა: (სასწრაფოდ დაუჭერს ხელს) შესდექ!

ვის შეუძლია განკითხვა ამისი, როცა დედოფალი თამარ აქა ბრძანდება? ყმაწვილო, აუშვი ხელი. ახლა ეგ საშიში ალარ არის. (დათო მუხლს მოაშორებს. ბრძოლის ყიჟინი ნელდება, სოლეიმანს გააკავებენ)

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი: (დაადებს მხარზედ ხელს სოლეიმანს) მე, ორბელიანმა, მემკვიდრეობით ქართველთა მხედრობის სარდალმა, უნდა ავყარო მტარვალს ხმალი.

ს ე მ ბ ა ტ ი: (მიჰხდის დოლბანდს) მე, სემბატი, მემკვიდრეობით ჩემდა მონიჭებულის უფლებით ვადგამ გვირგვინს მეფეთა, ხოლო ამ ავაზაკსა და მაწანწალას ვხდი ამ დოლბანდს და ვთელავ ფეხ-ქვეშა. (შესდგება ზედა და სთელავს)

ხ ა ლ ხ ი: დასთხარეთ თვალები! აჰკუწეთ ონავარი მხეცი! (სოლეიმანი სდგას თვალებ ზეაპყრობილი)

ს ა ბ ა: (წინ დაუდგება სოლეიმანს და მაღალის ხმით) მოითმინეთ, ხალხო! დედოფალი და მეფე გადასწყვეტენ მაგის ბედს.

ხ ა ლ ხ ი: დედოფალმა გაასამართლოს, გაუმარჯოს ბატონიშვილს გიორგის!

ოთარ-ბეგს, დაოსებულს მრავალის ჭრილობებით, სხვებთან ერთად შემოაქვს სასიკვდილოდ დაჭრილი. ერეკლე.

ოთარ-ბეგი: (ძლივს სდგას ფეხზედ) დედოფალო... შენი შვილი მოჰკლეს. (ერეკლეს დედოფლის წინ დაასვენებენ. დედოფალი არ უყურებს შვილს. ყოველივე სდუმს)

ზეინაბი: გმადლობ, შენ უფალო!

ერეკლე: მომიტევე... დედა... (კვდება)

ზეინაბი: (დაიხრება ხმა ამოუღებლივ მისის გვამის წინაშე, დიდხანს დაჰყურებს. მერე ნელ-ნელა წამოდგება, მიდის სოლეიმანთან, მის წინ გაჩერდება და თვალს თვალში გაუბნევს)

სოლეიმან-ხანი: (თავი მაღლა აქვს ამართული, მაღლა იცქირება, დამშვიდებით) გამარჯვება შენ დაგრჩა, ზეინაბ! უბრძანე მომკლან.

ზეინაბი: მოგკლან? განა შენ მომკალი, როცა გაიმარჯვე? შენ წვეთ-წვეთობით დალიე ჩემი სისხლი, ნელ-ნელა ამომხადე სული, გამითახსირე რჯული, შეჰლახე ჩემი პატიოსნება! ოცი წელიწადი ჰქელავდი და შეურაცხყოფდი ჩემს ერს, ჩემს ღმერთს და ახლა, როცა დადგა სანეტარო დრო გამარჯ-

ვებისა და სიხარულისა, მე, დედოფალი, ვიწვი სირცხვილითა და სახელის გატეხითა. მხოლოდ ერთი ვარსკვლავი აშუქებდა ჩემ სიბნელით მოცულს ცხოვრებას. (გულამოსკვნილი ქვითინი შეუწყვეტს სმას) თეთრად ვათენებდი ღამეს და სულ ერთსა და იმავეს ვეველრებოდი ღმერთს... იზრდებოდა შურის მაძიებელი მიყრუებულ ალაგას, სილარიბესა და სილატაკეში... და თვალ-წინ მედგა ის დრო, ის საათი, როცა დაევმბობოდი მის ფეხ-ქვეშ და ის გამიკითხავდა ჩემის სიცრუით, ტყუილით აღსავსე ცხოვრებისათვის, ჩემის შერცხვენისა და გათახსირებისათვის... ის იყო განმანთავისუფლებელი ჩემის ქვეყნისა, ის იყო მეფე ჩემის ერისა, გულადი, წმინდა... და შენ, შენმა გარყვნილმა ჰარამხანამ... შენმა ისლაბმა... დამმონებელმა და ულმობელმა... (ხმა შეუწყდება) წამართვა ჩემი უკანასკნელი თვალის ჩინი... ჩააქრო ჩემი ვარსკვლავი და ყოველ ამისათვის ბოლოდ სიკვდილი? ხალხო და წინამძღოლნო ერისანო! ყოველ ამ ტანჯვა-ვაების სანაცვლოდ მაჩუქეთ სიცოცხლე ამისი! (ხმა დრტვინვისა) ხალხო და წინამძღოლნო, იძიეთ შური თქვე-

ნის დედოფლისათვის! არა სიკვდილით, არ წამებით! რა არის წამება და სიკვდილი ურჯულო მტარვალისათვის? არა! ეგ უძლეველი, ეგ მძლავრი, ეგ გულ-ზვიადი მიუგდეთ ფეხ-ქვეშ თავის ბატონს ცოცხლივ, ძლეული, შემუსვრილი, მიწასთან გასწორებული! ულელ-დადგმული მიჰგვარეთ თავის ბატონს. დეე ნუ გაიზიარებს დღეს აქ დახოცილთა დიდებას! დეე, შერცხვენა, მონობა და თავ-ლაფ-დასხმა მიეზღოს ნაცვლად ჩემს შერცხვენისა, თქვენის მონობისა და... ამის საძრახისის სიკვდილისა. (ანიშნებს შვილის გვამს) დღეს მოკვდა თქვენი მეფე!.. შვილი ჩემი!.. ძე ჩემი! (საერთო დრტვინვა)

ს ო ლ ე ი მ ა ნ-ხ ა ნ ი: ძე შენი მოღალა...

ზ ე ი ნ ა ბ ი: (ბრძანების კილოთი) ხმა ჩაიწყვიტე, მონავ, საკუთარი დედოფალი ტყუილს არ იკადრებს თავის ერის წინაშე! ხალხო და ერის წინამძღოლნო! ამ ყრმამ, დღეს მოკლულმა ჩემმა შვილმა და შვილმან თქვენის მეფისამან გიღალატათ თქვენ. მართალია, ბოსტყუვდა, მაგრამ მაინც გიღალატათ. მე ვუბრძანე მოკვდი-მეთქი და ისიც მოკვდა. დეე, უფალმა ორნივ ერთად განგვიკითხოს!

(გულს იგმირავს. ყველას აღმოხდება გულიდან ხმა საშინელის შეძრწუნებისა და შემდეგ ჩამოვარდება დიდი მდუმარება)

ს ა ბ ა: გაწირეთ მშვიდობით, სიკვდილი-თ ცრურვისა დამთრგუნველნო! უფალი მიგელით თქვენ ზეცად!

ფ ა რ დ ა

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

ა. სუმბათაშვილი—იუჟინი და მისი „ღალატი“—
წინასიტყვაობა გ. ბუხნიკაშვილისა . . . V

წინასიტყვაობა ავტორისა XXI

ღალატი 1

Ал. СУМБАТАШВИЛИ

ИЗМЕНА

Перевод Г. Кипшидзе

(На грузинском языке)
Изд-во „Сабчота Мцерали"
10 Тбилиси 48

* *

რედაქტორი: გ. ბუხნიკაშვილი

ტექრედაქტორი: შ. დემეტრაძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3|VII 1948 წ., წიგნის ზომა 4×6,1/4, საავტორო ფორმა 6, სასტამბო 14 ფ. 12 გვ., ტირაჟი 5120
შეკვ. № 630 უე—10584

* *

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი"
სტამბა, თბილისი, ჰლეხანოვის, 181